

საქართველო

ფასი | დარი

მსოფლიო

info@geworld.net

გამოდის თხზულებებით

მანქანაძირის მანი //

2 **თურქეთი საქართველოს არხემდგარ სხელმწიფოდ გამოხსადაზა ჯალაპაკდა**

ჩაუნანაზ რა აქმანა //

რატომ გააქრო ხელისუფლება ტელევიზიონიდან „იანანას“ რეკლამები

მთხმანია //

ანაკლიას და ულავს ქიმიური ჭურჭების „სასაფლაოდ“ იყენებდნენ

ადამიანის უფლებები //

საქართველოში პატივრების რიხხვის კოლოსალური ზრდა «აიპაპის» პროგრამას და უხსოვრ ბრანტებს უკავშირდება

ნატოს წევრმა თურქეთმა რამდენიმე კვირის განმავლობაში შავ ზღვაში არ შეუშვა საქართველოსკენ მომავალი ამერიკული სამხედრო გემები. ბოლოს მხოლოდ რამდენიმეს დართო შემოსვლის ნება გარანტიის მიღების შემდეგ, რომ ისინი იარაღს არ შემოიტანდნენ. ამკარა გახდა, რომ რუსეთი და თურქეთი კავკასიაში გავლენის სფეროებს ინანილებდნენ, ხოლო ამერიკამ საქართველო თურქეთს გადააბარა.



ნუთუ ეს უნდა სააკაშვილს? თუ ახალი, ამჯერად უკვე საზღვაო ომი, რომლის შემდეგ რუსები სამეგრელოს ნაილებენ, ხოლო თურქები – აჭარას? ამავე დროს, სომხებს რომ თვალი ჯავახეთზე უჭირავთ, უკვე აღარავისთვისაა საიდუმლო. გარდა ამისა, 2 სექტემბერს სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ სომხეთი თურქეთთან საზღვრის გახსნის შემთხვევაში არ ცნობს 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თავის საზღვრებს!

კავკასიური კორიდა

„ნახება“ მიხვალაული შეიწყალას!...



18

მრუდე სარკაების საეფო, ანუ აქუ, ბაბუ და სხვები...

12

სიპარტლის თქმისთვის მონაე სასაპარტლოს შენობასთან დააკავენ

10

მთავარი პოლიტიკური განტოლება – ბრძოლა შავი ზღვისთვის

19

რა გაუხილა „საქართველო და მსოფლიოს“ უშიშროების ვებტრანემ ნუზარ საჯიანს, რუსლან ბილაევისა და «რუსთავი 2»-ის შესახებ



იყო შეთანხმება ჩვენს სახელისუფლებო სტრატეგიატთან, რომ ჩვენ მებრძოლთა ეს რაზმი გადავიდოდა აფხაეთში, გაათავისუფლებდა დასახლებულ კუნძებს. მათ კვალზე შევიდოდნენ ან პარტიზანები, ან ჩვენი სამხედროები, რომლებიც დაიკავებდნენ ჩვენების მიერ გავლილ ტერიტორიას და იქ გაეაგრძებოდნენ...

16

ბიოსაფანები საქართველოსთვის



2

ბიოსაფრენი საქართველოსთვის რა საიდუმლოს გალავს ქართული ლაბორატორიები



„საქართველო და მსოფლიომ“ (№12, 2009) პირველმა ატეხა განგაში მკვლელი ვირუსების ხელოვნურად გავრცელების საშიშროებაზე და გამოაქვეყნა მასალა „რა აკავშირებს ალექსეევს ლაბორატორიას ლორის გრიპთან“, სადაც უცხოური მედია არა ერთხელ მიაჩნებდა ქართული ბიოლაბორატორიების „წვლილს“ შესახებ. ამჯერად გთავაზობთ კიდევ უფრო საგანგაშო ინფორმაციას, რომელიც გამოძიების შედეგად მოიპოვეს ჩვენმა კოლეგებმა, დამოუკიდებელმა ჟურნალისტებმა: გოჩა თოფურიამ, ლუდვიკო ბლუამ და იენს ბორტკომ.

საერთაშორისო ექსპერტთა შეფასებით, ახალი სკანდალური ფაქტები, რომლებიც უკვე გახმაურდა, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან შედარებით უფრო საშიშია და პოლიტიკურ პროცესებზე სერიოზულ ზეგავლენას მოახდენს როგორც კავკასიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მიხეილ სააკაშვილისა და მისი ამერიკელი კურატორების გაუთვალისწინებელმა ქმედებამ შესაძლოა, ეპიდემიოლოგიურ კატასტროფამდე მიგვიყვანოს, რაც მთელ მსოფლიოს სავალალო შედეგს მოუტანს.

ზე უფრო საშიშ კვალს. ზოგიერთი პირდაპირი და ირიბი სამხილი საიდუმლო სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოს ტერიტორიაზე. პირველი ნიშანი გამოძიების დასაწყებად არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დაფიქსირდა — საერთაშორისო ეპიზოოლოგიური ბიუროს წყაროების ცნობით, გაირკვა, რომ მათი ქართველი პარტნიორები 2002 წლიდან არ აგზავნიან ყოველწლიურ ანგარიშებს იმ ლაბორატორიათა საქმიანობის შესახებ, რომლებიც ამერიკელმა სპეციალისტებმა მოაწყვეს მთელი რიგი ვირუსების შესასწავლად. აღმოჩნდა, რომ ეს ვირუსები საერთაშორისო კონვენციის მიერ აკრძალული ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის სიაშია მოხვედრილი.

საერთაშორისო დონის სპეციალისტების შეფასებით, სწორედ მის ბაზაზე კონცენტრირდება პროგრამის მონაწილე ქვეყნებში მეგრელები ბიოლოგიური მასალები, რომელთაც მერე აწვდიან აშშ სამხედრო ბიოლაბორატორიებს. საქართველოში მცხოვრებმა მეცნიერებმა მიკრობიოლოგიის დარგში, რომელთაც გასაგებ მიზეზთა გამო ემინიათ თავიანთი ვინაობის გამხელა, გვითხრეს, რომ 2003 წლიდან ისინი ყოველწლიურად გადიან სტაჟირებას აშშ სამხედრო ობიექტებზე. არსებული ინფორმაციის თანახმად, პროგრამას ამოვარებული ამერიკელები ცდილობენ, ამოუქმედონ მთელი თავიანთი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალი, რათა მიზნად საქართველოს, სომხეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის ქირის საწინააღმდეგო დასეპტულაციების მექანიზმები და სპეციალისტები, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ზემოაღნიშნულ პროექტს კუთრდება აშშ სამხედრო კვლევისა და განვითარების ფონდი, რომელმაც ვაშინგტონის ადმინისტრაციისგან მიიღო ნებართვა ამ სამუშაოს შესრულების თაობაზე. საქართველოში „ჭირიანი პროექტის“ რეალიზების ფარგლებში რიგი ობიექტები უკვე მოქმედებს. ესაა თბილისის ინფექციურ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი,

რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ზედაცული ლაბორატორიით. მისი ანალოგი მდებარეობს ქალაქ ქუთაისში. თბილისის შემოგარენში, სამხედრო ბაზაზე განთავსებულია ძალიან საშიში ბიოსუბსტანციების საცავი და საფრთხის შემცირების მხარდამჭერი ცენტრი. 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ზოგიერთი ქართველი მეცნიერი მოშობდა, რომ ლაბორატორიები დაინგროვდა და მწვევად დაავადებათა გამომწვევები გავრცელდებოდა და მათივე ქვეყნის ტერიტორიაზე. უცხოელ ჟურნალისტებს უთხრეს, რომ 2006 წელს საქართველოს შსს სპეცქვედით ერთად შემოიტანეს ვირუსების ქვესახეობები, რომლებიც ადრე არასოდეს შეხვედრილიყო ყოველ საბჭოთა კავშირში. მეცნიერთა შემოფთობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ჩამოტანილი ნიმუშებზე უკვე შემუშავებული ვაქცინები არ მოქმედებს. უფრო მეტიც, ერთობლივი ამერიკულ-ქართული კვლევების დროს შეიქმნა სახიფათო დაავადებებისა და მწვევად მიმდინარე გამაღვიანებლების ბანკი, რაც კი ოდესმე საქართველოს ტერიტორიაზე შეგვიძლია. მოსაზრებათა თქმით, მისი ჩამოყალიბებით ამერიკელებს ყველაზე მეტად აინტერესებდა ის დაავადებები, რომლებიც გამოვლინდა სეპარატისტული აფხაზეთის საზღვრებთან. სერიოზულ შემოფთობებს ინვესტის ფაქტიც, რომ არასტაბილური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოში ზემოაღნიშნული ბიოლოგიური ნიმუ-

შები შეიძლება მოხდეს საერთაშორისო ტერორისტების ხელში და მაშინ ლორის გრიპზე უფრო საშიში და კაცობრიობისთვის დამლუპველი დაავადებები მოედება ქვეყნებზე. კესპერტა აზრით, ამერიკელები შეეცდებიან, შანსი გამოიყენონ და ბიოლოგიური იარაღის ნიმუშები შეიტანონ ირანის ტერიტორიაზე. ისინი ააშუშავენ საქართველოს ხელმძღვანელების კავშირებს კრიმინალური და ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერთან. ნარმანის ქვეყნებში ვაშინგტონი მოითხოვს თეირანის იარაღის აკრძალვის საერთაშორისო კონვენციაში მოხვედრილი ნივთიერების წარმოებასა და გამოცდას. ვიქტორ ბუტკოვი შემოფო-

თებას გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ საფრთხე უკრანისა და დაემუქრება, რადგანაც ეპიდემია ჯერ ყირიმს მოედება, მერე კი — მთელ ქვეყანას. ის შიშობს, რომ იარაღით მოვაჭრე უკრანელები მოისურვებენ „ქართული ჭირის“ შექენას, რადგანაც მომგებიანი საქმეა. კავკასიიდან მისი წაღება კი, მოგეხსენებათ, ძალიან იოლია.

დამოუკიდებელი ჟურნალისტები მთელ მსოფლიოს და, პირველ რიგში, დიდი რეივანის ქვეყნების ლიდერებს მიმართავენ წინადადებით, ჩატარდეს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ქიმიური და ბიოლოგიური ობიექტების საერთაშორისო ინსპექცია, რათა უზრუნველყონ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული შეთანხმებები.

ნიკო პოპიაშვილი

P.S. საქართველოს ხელისუფლებისგან ასეთი უფუნური ნაბიჯის გადადგმა მოულოდნელი სულაც არ არის. არც ის არის მოულოდნელი და შეუძლებელი, რომ ვაშინგტონს სააკაშვილის მარიონეტული რეჟიმის ზემოაღნიშნული მისწრაფებისთვის გამოყენება ჰქონდეს გამიზნული.

ცხადია, რომ ვაშინგტონის მეცადინეობით უკვე მეზობელთან, მათ შორის, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, თურქეთთან და ირანთანაც, დღითიდღე გვეძაბება ურთიერთობა. ეს ტენდენცია ერთდერო მიზანს ემსახურება — საქართველოს საბოლოოდ უნდა აღმოჩნდეს საკუთარი ბეცი პოლიტიკისა და სამეზობლოს ტყვე, რათა მორჩილად და უსიტყვოდ შეასრულოს რეჟიმში აქამდეც უსიტყვოდ ასრულებდა, მაგრამ როდესაც ამ მითითებებისა თუ „თვითმოქმედების“ გამო რუსეთთან ურთიერთობა ომში გადაგვეზარდა, ხსნა არც ვაშინგტონიდან მოსულა და არც ანკარადან...

ხიფათსა და რისკებზე, რომელთაც სააკაშვილის რეჟიმის უფუნური პოლიტიკა და მეზობლების მტრად გადაკიდების თავსმოხვეული ტაქტიკა შეიცავს, შემდეგ ნომერში ვრცელ მასალას შემოგთავაზებთ.

განათიქაზის გვი

თურქეთის გასაგებია საქართველოს არხეიმდგარ სახელმწიფოდ გამოცხადებაზე ალპარაკდა

მინა იძრა სამშაბათ ღამეს საქართველოში ან როგორ უძლებდა აქამდე მშვიდად ჩვენს ბოზოქარ სისულელეებს?! რომელთა შორის მოყვარე მეზობლის მტრადმოკიდება, ჩვენს შორის დარჩეს, უგუნურების მწვერვალია, საჯარო განცხადებისთვის კი დაპოლიტიკური ოვალური სიბლანტეში მოვაქციეთ და ვთქვათ: იმპულსური საგარეო პოლიტიკის დროებითი წარუმატებლობის ნიშნების შემცველია.

ვატრიალოთ დახშულ წრეში ჩვენი თავდაჯერებულობა, როგორც სათამაშო რკინიგზის მატარებელი და ალტაცებულებმა შიგა და შიგტამიც დაეცხოთ ჩვენი ნინსვისისა და გამარჯვების ნიშნად.

რალა ჩვენზე აღსრულდა სახარების წინასწარმეტყველება — „...ბევრნი პირველნი უკანასკნელი იქნებიან, ხოლო უკანასკნელი — პირველნი“ (მათ. 19.30; მარკ. 10.31). ვისაც არ სჯერა, რომ ერთ დროს ლიდერი ქვეყანა მაჩანჩალა სახელმწიფოდ ვიქცეით, გავატაროთ, ხელი-სუფლების სტრუქტურებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნვის რეალური პერსპექტივა გარანტირებული აქვთ.

დანარჩენებმა კი ვალია-როთ: აზერბაიჯანთან საკმა-

ოდ გრილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, სომხებმა, მართალია, ორდენი დაგვიკიდეს კისერზე, მაგრამ, ძალიან რომ ჰგავს მახრჩობელა მარყუჟს, ამას რა ვუყოთ? ახლა თურქეთთანაც გავდივართ გეოპოლიტიკური დაპირისპირების ფრონტზე ძალების მოსასინჯად. ძალის გამოყენების პოინერების (იგივე „პატრიოტების“) როლში საქართველო და მისი საზღვაო ძალები გამოვლიან, რისი დემონსტრირებაც ახლახან კიდევ ერთხელ დავიანახეთ, როცა ჩვენმა სასაზღვრო კატარღებმა თურქული ტანკერი დააკავეს.

ნუ განვსვით, კანონიერი იყო ეს დაკავება თუ არა, სად მიცურავდა და მიჰქონდა თუ არა კონტრბანდული საწვავი... უჩვენოდაც გაარკვევენ. სხვა კუთხით შევხედოთ ამ ფაქტს.

1994 წლიდან მოყოლებული საქართველოს მესაზღვრეებმა ასამდე თურქული გემი დააკავეს, ძირითადად, თევზსაჭერი. ყველა ეს გემი ან აუქციონზე გაიყიდა, ან ჯართად დაიჭრა. დღეისთვის დაკავებული რჩება უცხოეთის 10 გემი (მათ შორის, თურქულიც) და ეკიპაჟების 21 წევრი.

თურქეთის მხარე ადრე არ კამათობდა, რომ საქართველო — მისი პარტნიორი ქვეყანა (რომელთანაც სამაგალითო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა) მეგობარ სახელმწიფოს უკანონობას არ აკადრებდა, დარწმუნებული იყო.

მაგრამ გაიცრია ჩვენი ავტორიტეტი, შეიცვალა ძალთა თანაფარდობა რეგიონში, უფრო ზუსტად, სიმპათია-ანტიპათიის საკითხები და, ვერ გატყვევით, რაოდენობრიობა ხარისხობრიობაში გადაიზარდა თუ აივსა ანკარის მოთმინების ფილა, მაგრამ ფაქტია, რომ 16 აგვისტოს ტანკერ Buket-ის დაკავებას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა. 2 სექტემბერს ეკიპაჟი 40 ათასი აშშ დოლარით დააჯარიმეს და კაპიტანს ჩვენმა სასამართ-

ლომ 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; ეკიპაჟი (13 თურქი და 4 აზერბაიჯანელი) პატიმრობაში რჩება.

ანკარის რეაქცია მყისიერი იყო. მეორე დღესვე თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად არ ეთანხმება Buket-ის კაპიტანისთვის გამოტანილ განაჩენს და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ გემი ნეიტრალურ წყლებში დააკავეს... მაგრამ ამ თემას, როგორც შევთანხმდით, არ ჩავუღრმავდებით.

ორიოდ დღის წინათ თბილისს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ ავეტოლლუ ეწვია და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყნის ხელმძღვანელების წინაშე სწორედ ეს საკითხი დააყენა.

ანალიტიკოსები თვლიან, რომ თბილისის ასეთი მოქმედება თურქეთს არა მხოლოდ მატერიალურად, არამედ პოლიტიკურადაც აზარალებს. ვის ვეჭმებთ?! ხომ ცნობილია, რომ თურქეთის დღეისთვის უძლიერესი ფლოტი ჰყავს შავი ზღვის აკვადრონიში და რეგიონული ლიდერის პრეტენზია გააჩნია?! ფაქტი, რა თქმა უნდა, ფრი-

ად არასასიამოვნოა, მაგრამ იცით, რა არის ყველაზე მეტად დასაფიქრებელი? ვაითუ, მართალია საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტების ვარაუდი, რომ თურქეთის საქართველოს დამოკიდებულების გაუარესება ერთგვარი შირმაა თურქეთის ინტერესის დასაფარავად... აჭარის მიმართ (!).

მართალია, ისინი ამბობენ, რომ ოფიციალური პირების მიერ ტერიტორიული პრეტენზიების განცხადებამდე საქმე არ მისულა, მაგრამ თურქეთის მასშტაბში მუდმივად მუსიარებს აჭარელი მუსლიმანებისა (?) და ეთნიკური აზერბაიჯანელების (?) დისკრიმინაციის თემა და არაორაზროვნად ლაპარაკობენ მათი ინტერესების დაცვაზე თურქეთისა (და აზერბაიჯანის) პროტექტორატის დანესების შესახებ საქართველოში მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში.

ურესაში იმასაც იხსენებენ, შარმანდელი აგვისტოს ომის დროს ბათუმის ნავსადგურში რედზე თურქეთის სადესანტო გემები რომ იდგა საზღვაო ქვეითების დანაყოფებით ბორტზე.

ერთ-ერთი ვერსიით, ამ მომენტში თურქეთის ხელმძღვანელობა ინტენსიურ მოლაპარაკებას ანარმოებდა მოსკოვში. მაგრამ არა იმისთვის, რომ საზღვაო ქვეითებს დაეცვათ „ვარდების რევოლუციის“ მოწაპოვარი. საგარეოდ, რომ ისინი აჭარაში შევიდოდნენ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის თანხმობას მიიღებდნენ.

უფუნადლებოდ არ უნდა დავტოვოთ ერთი გარემოება, რომელსაც მიმომხილველები განსაკუთრებულად ხაზს უსვამენ. მარმანდელი აგვისტოს შემდეგ თურქეთის მმართველ წრეებთან დაახლოებული მასმედის საშუალებები ასეთ პროექტზე ალაპარაკდა: **გამოცხადდეს საქართველო არხეიმდგარ სახელმწიფოდ და დაიყოს თურქეთის, რუსეთისა და აზერბაიჯანის ბავშვების ზონებად...**

აჩის გაპონებას მარჩივსა, მინა ჩამატოლა და თან ჩამატანაო, იტყვიან.

მინა იძრა საქართველოში!

არაფე საწაბლიქა


მიუხედავად

„გიორგიმ თავი ჩაჰქინდრა. აგურის იატაკს დააშტერდა. თითქოს რაღაც დავარდნაო და ახლა ეძებს მანდ.“
„დიხ, ძალიან ერთგული ცხოველია ძალი...“
სიტყვა „ერთგული“ სამსჭვალავით შეერჭო მამამხეს გულში. ნათელი იყო: ძალის ერთგულადან ერთი ნაბიჯი და დარჩენოდა მას მამამხისა და ჭიბურის ორგულობამდის.“
(კონსტანტინე გამსახურდია, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“)

არა!
ეს ის არ არის, რასაც თქვენ ფიქრობთ!
მიშას მთავარი უბედურება ისაა, რომ კაცი კი არა, ძალიც არ ჰყავს ნამდვილად ერთგული, ასლან ბაბუს ბასმაჩივით საჭმელზე მაინც რომ თქვას უარი პატრონის ერთგულების გამო.
ძალი იქით იყოს და, კაცმა რომ თქვას, სტალინს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომი მოიგო და ფაშისმი შეაჩერა, სტალინს, რომელმაც გამარჯვებისთვის შეიღო განილა — სტალინს არ ჰყოლია ერთგული კაცი და მიშას ეყოლება?
მიშამ ომი წააგო, ამბობენ!
მიშა რომ ომს ვერ მოიგებდა, ეგ ყველაზე კარგად მიშამ იცოდა. მაგრამ მართო მიშას რომ წაეგო, რა უჭირდა — საქართველომ წააგო ეგ ომი და წააგო იმიტომ, რომ თავისუფლება ძალდასხვაობით კი არა, ლობთა ხეობითა!
ლომები კი, როგორც ამბობენ, მხოლოდ ცირკში და აფროკაში დარჩნენ!
ომი დაეუბრუნდეთ — იყო ბნელი და უკუნი, მერე მოვიდა მიშა, განათა ქვეყანა, გახსნა კარნი და გამოუშვა ცხოველები კიდობნიდან და შეყარა შიგ ადამიანები, ჩაუქეტა კარი გარედან და იქცა მიშა ყვარყვარედ... ძან გაუჭივ, ხო იცი!
ჰოდა, გავიხარდა მიშას გაპრეზიდენტება, „უსტყვით, ახლა მხარე გავიხარებოდა“, „გადასახლების გადახდა დავიწყეთ, ჯარის ასაღორძინებლად გავვირმავა მი-

შამ, გულანთებულები და კუჭგამხმრები გავდიოდით ალღუმებზე და ალფროთვანებით შევცქეროდით ჯარისკაცებს, რომელთაც უკვე ცალ-ცალი ჩექმის მაგიერ ორივე ფეხზე ერთნაირი, ამერიკიდან ჰუმანიტარული დახმარებით მიღებული შოკოლადი მოხმარების ბატინკები ეცვათ!
მერე პარლამენტმა ბიუჯეტიდან დაფინანსება გაუზარდა თავდაცვის სამინისტროს და ჩვენც სიხარულისგან კიდევ ერთხელ დაგვაინყდა ჩვენი გამოხვეტილი ჯიბეების გამო შარვალში ამტყდარი „სკვოზნიკი.“
მერე თავდაცვის სამინისტროში იმდენი ფული დაგროვდა, რომ აღარ იცოდნენ, სად წაეღოთ, ამიტომ ტელევიზია გახსნეს, „საქართველო“ დაარქვეს და ყოველდღე აჩვენებდნენ, როგორ შენდებოდა და ძლიერდებოდა ქართული არმია.
ერთ დღესაც მოხდა მოსახდენი და ხუთი ათასმა ჯარში ძალად წაყვანილმა რუსმა სალდათმა კუდით ქვა ასროლინ ჩვენს კარგად შეიარაღებულ, დაბანოლ, დავარცხნილ და ურყული „პაიოკით“ გამოძღვარ არმიას.
მერე დინყეს ვიშვიში „ზემოთ“, რეფორმებმა არ გააძვინდო, რეზერვმა ჩანისვარაო, ავიაციამ გვიქნა, რაც გვიქნაო და ა. შ.
მოკლედ, ასეა თუ ისე, ყველაფრის შედეგი ის იყო, რომ ომიდან ზუსტად ერთი წლის თავზე მიშამ თავდაცვის მი-

ნისტრად ბაჩო ახალაია და-ნიშნა და ურეშიც გადაბრუნდა!
გამოჩნდა, რომ მიშას არც არასდროს ნდომებია ჯარის საქართველოსთვის გაძლიერება და განმტკიცება. ახლა, როცა ახალაია მინისტრია, ყველა იცის, რომ ეს კარგად ჩაცმული „ძლიერი“ ჯარი მხოლოდ მიშას ძალაუფლების გარანტიაა და მეტი არაფერი.
ქართული ჯარი გაძლიერდა მიშასთვის და ამერიკისთვის, რომელიც მას ხან ერყმები იყენებს და ხან — ავლანთში.
და ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მიშამ, რა თქმა უნდა, თავისი „ერთგული“ ახალაია დანიშნა.
ლოგიკურად ჩნდება კითხვა — ამხელა პასუხისმგებლობა და ამხელა გავლენა რომ მოიპოვა, ახალაია მიშას ხომ არ მიუტრიალდებოდა გოლემივითაო?
არაო!
იმიტომ, რომ მიშას გირგვლიანის საქმე ისევე უჯარში უდევს და არ გადაუგდიაო, რომელშიც ბაჩოს ძმა არის მოხსენიებულიო!
ჰოდა, ეს საქმე მიშას საყვარელი იყო აქვს ბაჩოსთვის ამოღებული და რასაც უნდა, იმას გააკეთებინებდა! უნდა, ავლანთში გააგზავნიდნენ ჯარისკაცებს და უნდა, კიდევ რუსთაველზე გამოსულ 250 000 ოპოზიციონერს დროშებს გაუჭივთებოდა ერთადგობის თავისი შეგარონიანად!
ახლა ბაჩო ყველაზე დიდი ცვლილება იყო და ბაჩოთი



იმიტომ დაინყე მიშას „ერთგულზე“ საუბარი.
მიშას კიდევ ბევრი ჰყავს ასეთი „ერთგული“.
ამ „ერთგულების“ გამო იყო სწორედ ცოტახნის წინათ ტელეკომპანია „იმედის“ გენერალური დირექტორად დანიშნულმა, პრეზიდენტის უახლოესი გარემოცვიდან „ურთგულესმა“ გიორგი არველაძემ უკვე დაიწყო პარტიის მიერ მიღებული ხუთწლიანი გეგმის პირნათლად განხორციელება და „ტელემედი“ პირდაპირ საპატრიარქოს წინააღმდეგ დაგემა, ხოლო საქართველოს ყველაზე დიდი ცოცხალი ქვემოქმედი — პაატა ბურჭულაძე ხალხის მტრად გამოაცხადა!
ასეთივე „ერთგულებითა“ გამოჩნული ჩასარეცხთა შორის უჩინარეცხისი ჩასარეცხი, მაგრამ ჯერ კიდევ გასაგებ მიზეზთა გამო არჩაჩრეცხი ბუბა (ვახტანგ) კიკაბიძე, რომელიც იგივე პაატა ბურჭულაძეს რუსეთში წასვლისა და სიმკერისთვის კიცხავდა (რუსული გამოთქმა არსებობს ასეთი: „Гнилая интеллигенция“).
მაგ ლოგიკით რომ მიყვებით, რაც ბუბა კიკაბიძეს რუსეთში აქვს ნამღერი, რო-

გორც მინიმუმ, სამუდამო პატიმრობა ეკუთვნის სამშობლოს ღალატის ბრალდებით!
მე რომ მიშას ადგილზე ვიყო, ამათ დიდი ხნის წინათ ჩავრეცხავდი, თანაც ზედ „დომესტოს ულტრას“ მივაცოლებდი, რომ არსად დარჩენილიყვნენ, მაგრამ, ალბათ, ამიტომ არ ვარ მიშა!
რატომ ჩარეცხავს, როცა თავისი ძალაუფლების საფუძველი სწორედ ეს სამთავანი ცერებერია, რომელიც, წესიერი ხელისუფლება და სწორი აზროვნება რომ გვექონდეს, როცის გვირბათან უნდა იჯდეს და არც შიგნით უშვებდეს შეიარაღებულ კაცს და არც — გარეთ!
მაგრამ რას ვიზამთ, როგორც იტყვიან ხოლმე: „ძალი ყვეს და ქარავანი მიდის!“
ჩვენც ვცხოვრობთ ასე, კინოცეფალების (ბერძნულად „ძალისთავიანს“ ნიშნავს, ისე ქართველები „ძალთაპირსაც“ უწოდებენ ხოლმე) გარემოცვაში და რეჟისორს, და გვემინია, რომ ერთხელაც ან ამ ძალებმა არ აინყვიტონ და არაფერი მოგვჭამონ, ან კიდევ ვინმე არ მოვიდეს და არ შემოგვძახოს, როგორც „ტელემედი“ მიერ გადაღებულ ერთ-ერთ ქართულ სერიალში:


„ძალების პარადი დამთავრდა — ესლა იწყება მგლების ხორცი!“
და თვითონ კინოცეფალებსაც მინდა, ვუთხრა — არ გეგონოთ, მიშას რომ თქვენი საჭმელი ძვლები გამოეღვეს, კანჭის ხორცს გამოიჭრის და იმას გადმოგვიგდებსო — არც მიშაა მზეჭაბუკი და თქვენც ფასკუნჯები კი არა, ჩვეულებრივი ძალები ხართ! მიშას თუ თქვენი საჭმელი გაუთავდა, ერთს მოქაჩავს მაგ თქვენს საყელურს და ისევე დაგტოვებთ უთავოდ, როგორც აქამდე არაერთი დაუტოვებია! იდეით მერე რუსთაველზე და იყევით — ნა-დი! ნა-დი! ვაჟ!
„მახმუტი სდუმდა. ბიის გონებაში სულ სხვა სახეები, სულ სხვა პირები ისატებოდნენ.“
— იქნებ დაჭრილია? — შენიშნა ერთმა.
— კაცო, რას გაჩერებულხარ? — მედგრად დაეკითხა ახმუტი. — ვერ გამოიგია, რას დასჩერებხარ ამ გაიურის ლეშს! ახლა ნახე? ვენციელი ასისთავია, ვილაძე ძალი ძალღერათ ჩაატალებულა!“
(უიარაღო (კონდრატე თათარაშვილი), „მამულუკი“)

ლავა ბიორბიკა

მირ-პეისიდან ბინ ლადენამდე,

ანუ რა ჯანდაბა გვინდა ავლანეთად წოდებულ ჯანდაბაში?

ჯანდაბა — იყო ძველად ასეთი დასახლების ქალაქი და ქართულში დღემდე შემორჩენილი გამოთქმები: სად ჯანდაბაში მიდიხარ? რა ჯანდაბა გინდა? ჯანდაბაშიც წასულხარ! და ა.შ. სწორედ იმ დროიდან არის. ამ გამოთქმების შინაარსი რომ კარგს არაფერს მოასწავებს, მგონი, არც ეს უნდა იყოს სადავო, თუმცა არა „ნაცების“ სანოტარო კანტორისთვის, რომელსაც პარლამენტსაც ვეძახით ხოლმე, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ სულ ურა-ვაშაით მიიღო დადგენილება ავლანეთში ქართული 1000-კაციანი საჯარისო შენაერთის გაგზავნის შესახებ.



ავლანეთში, სადაც ჩვენი ისტორიული ბედუკუღმართობის გამო არა ერთ ქართველსაც მოუქნევია ხმალი, ჯერ კიდევ გიორგი სააკაძე ეხმარებოდა შაჰ-აბასს თავისუფლებისმოყვარე ავლანელი ტომების დამორჩილებაში. მოგვიანებით კი, 1709 წლის გაზაფხულზე, საქართველოს ისტორიაში ბოლო დიდმა გიორგიმ, მეფე გიორგი XI ჰოვა აღსასრული. ქართლის მეფის ბედისწერას სახელად ერქვა მირ-ვეის, ავლანთა ერთ-ერთი ტომის ბელუჯების ბელადი, რომელმაც მეფესთან ერთად ათასობით ქართველ მეომარს გაუთხარა სამარე ავლანეთის უდაბნოს ცხელ ქვიშებში.

ზუსტად 300 წელი გასულა იმ დღიდან, მაგრამ ისტორიის გაკვეთილები ხომ იმისთვის არსებობს, რომ არავინ არაფერი ისწავლოს, განსაკუთრებით — ჩვენ, ქართველებმა.
მას შემდეგაც არა ერთმა და ორმა დამპყრობელმა ცდა ავლანეთისა და დღესაც კი მისი ნახევრად ველური ხალხის დამორჩილება, მაგრამ — ამაღე. სიძლიერის ზენიტში მყოფმა ინგლისის იმპერიამ ავლანეთში „მოიმტკრია კბილები“. იგივე ბედი ეწია სსრ კავშირს, რომელიც 10 წლიანად ომობდა, ე.წ. „ограниченный военный контингент“-ით ასრულებდა ასევე ე.წ. ინტერნაციონალურ ვალს, რამაც მრავალი ათასი ჯარისკაცის (მათ შორის, ქართველებისაც) სი-

ლია და ოდენ სსრ კავშირის მიმართ ლოიალური რეჟიმის არსებობას დასჯერდა.
მაშ, რა უნდა ამშ-ს, ამ მსოფლიო მასშტაბის „არამკითხე მოამბეს“ ავლანეთში და ავლანელებისგან? დემოკრატიის დამყარება? უკაცრავად პასუხია და, დემოკრატია ისე უნდათ ავლანელებს, როგორც მიცვალებულს — ოყენა, რადგანაც მათ, როგორც მუსლიმანებს, შარიათი ურჩევიათ და ალაჰმა მშვიდობაში მოახმარათ. ისედაც,
ზოგადად თუ ვიტყვით, როგორც ისლამურ ქვეყანაში თუ არსებობს დემოკრატია, მხოლოდ გაკავებული დოჯით და ნუკავის იქნება იმის ილუზია, რომ ალაჰის ნილხედარ ქვეყნებში იქნება

კლასიკური დემოკრატია დაეყარება.
საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვიან? ის, რაც მტატებისთვის ტერორიზმია, ავლანელებისა და დანარჩენი ისლამური სამყაროსთვის თავისუფლებისთვის ბრძოლა! როგორც და რა მეთოდებითაც შეუძლიათ, ისე ებრძვიან საკუთარ მიწაზე მემოქრულ მტერს და შურისმგებლურ ტერორისტულ აქტებს აწყობენ ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე.
ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, შემზარავი და მოუღებელია ქრისტიანული კულტურის ჩვეულებისთვის, მათ შორის, სწორედ ქართველებისთვის, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ არ ვამართლებ „მაჰიდის ქამრებს“ თუ 11 სექტემბერს, მზად ვარ, ამ ყველაფერს ახსნა მოვუძებნო...
და ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ალბათ, დროა, დავსვათ მთავარი კითხვები, რომელთა გამოც ეს წერილი დაიწერა: ჩვენ, ქართველებს, რა გვინდა, რას ვე-

ძებთ, რა დავკარგეთ ავლანეთად წოდებულ ჯანდაბაში, რომ სამგლე გოჭებივით ამტყდარი სასიკვდილოდ ვაგზავნით ჩვენს შვილებს?
ანუ მოკლედ და წერილის ქვესათაურად:
რა სარბამლოვას ნახავს ჩვენი ქვეყანა ავლანეთში დაღვრილი ქართველი სისხლით?
ისევე მირ ვეისი...
მაშინ, 300 წლის წინათ, როცა ჩვენს ამომგდებ სპარსელებს ვეხმარებოდით, ერთი დადებითი შედეგი მაინც მოიტანა ათასობით ქართველის დაღვრილმა სისხლმა — დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, ირანის გავლენის სფეროდ მიჩნეულ ქართლ-კახეთში შედარებითი მშვიდობა იყო, ხოლო გიორგი XI, თუ არ ვცდებით, მისიველი ვახტანგ VI, ქართლის ჯანიშინის, ვალის, ანუ იგივე მეფისნაცვლის ტიტულით ბიბის არყოფნაში მართავდა და განაგებდა ქართლის სამეფოს.
სწორედ ვახტანგ VI რუსულებით მიმდინარეობდა

«ანგარიში სელსს», ანუ სწორება მიუაზა

9 აპრილიდან 23 ივლისამდე, ანუ სანამ ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის მიერ „თითდაქნულმა“ ოპოზიციამ დემონსტრაციები არ შეწყვიტა, ხელისუფლება პროტესტანტი საზოგადოების მიმართ სასტიკი ანგარიშსწორებით იყო დაკავებული. დღეს კი, როცა ჩაილურის წყლით გაჭყვილი ოპოზიციის წინააღმდეგობის ძალა და უნარი აღარ შესწევს, „ნაცების“ სტრატეგია, ბუნებრივია, „მნიშვნელოვნად“ შეიცვალა — ანგარიშსწორება უფრო „მომხივლელი“, გარეგნულად დემოკრატიული „ანგარიშით“ ჩაანაცვლეს, რითაც ვარდოსნებმა, თავიანთი აზრით, მთელი მსოფლიოს თვალში კიდევ ერთი გვირგვინი დაადგეს სააკაშვილის მმართველობას...

დიახ, სწორედ გვირგვინი და სკიპტრალა აკლია პატივცემულ პრეზიდენტს და მის მოსაპოვებლად იმასაც არ „თაკილობს“, რომ საზოგადოებას ანგარიში ჩააბაროს; იმ საზოგადოებას, რომელთანაც სულ რაღაც სამი თვის წინათ ლაპარაკს არ კადრულავდა, რომელსაც კრემლის აგენტს უწოდებდა და დღემდე სამჯერ არბევდა მიტინგების მსვლელობისას.

როგორც ჩანს, გაჭირვებანახი მართლაც კარგად გარბის, რაშიც თავად ბატონმა სააკაშვილმაც დღემდე არა ერთხელ დაგვარწმუნა. ამჯერად კი ხალხისადმი თავისი „ანგარიშით“ (რომელსაც მე მაინც ანგარიშსწორებას დავარქმევ) არა მხოლოდ დაგვარწმუნა, არამედ „დაგვანახა“ კიდევ, რომ მისთვის ღირსება და თავმოყვარეობა იქ მთავრდება, სადაც მისი ხელისუფლების სათავეში ყოფნა სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება...

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, სხვა ვერაფერს ვიტყვი იმაზე, რაც 4 სექტემბერს რუსთაველის გამზირზე ხდებოდა, რაც საზოგადოებისთვის სახეში შეფურთხების, სილის განვინისა და ღირსების შელახვის ტოლფასი იყო...

დიახ, ყოველგვარი გადა-

ჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართველობა უკიდურესად ღირსებაშელახულია, მით უფრო შეურაცხყოფილია, როცა ქვეყნის უმაღლეს მთავარსადგულად პერსონა ნონ გრატად შერაცხილი პიროვნება უზის დამსგან „თეთრად მოჩვენებული შავის“ უსიტყვოდ ატანა უწევს. 4 სექტემბერს აქციას (რომელმაც თურმე, როგორც ხელისუფლების მესვეურებმა განაცხადეს, ქართული დემოკრატია ათი თავით აღამალა) ამის ნათელი დადასტურება იყო, როცა მრავალჭირნახულ რუსთაველის გამზირზე „ნაცმოძრაობამ“ პატარძლის თეთრეულივით გამოფინა სამინისტროების ბოლო მიღწევები. მინისტრებიც ისეთი სიამაყით დაიბეჯდნენ თავიანთ პავლიოვნებთან, გეგონებოდათ, პოდიუმზე პოზირებდნენ, თუმცა მათთვის, ალბათ, პოდიუმსა და სამინისტროს შორის დიდი განსხვავება არც არის. აქციის წინა დღეს, ანუ 3 სექტემბერს, ტელევიზიით ერთი ამბავი ატეხეს ვარდოსნებმა: ხვალ ჯერარნახულ აქციას ვანყობთ, ხელისუფლებასა ქუჩაში გამოდის და მოსახლეობას საშუალება ექნება, მინისტრებს პირისპირ ელა-



პარაკოსო. ბევრმა, ალბათ, დაიჯერა კიდევ, რომ მართლა ასე იქნებოდა, მაგრამ ვაი, რომ ჩვენს მინისტრებს ხალხში გამოსაჩენი პირი არ აქვთ... პავლიონებთან კი იდგნენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყოველ წუთს იმის „მოლოდინში“ იყვნენ, რომელი უმკაცროდ მოქალაქე არ მოხივდება „ნაცმოძრაობის“ ჯიბიდან ლაყე კვერცხებს.

ამის მიუხედავად, პატივცემულ მინისტრებს სახეზე მინიშნები არ ეტყობოდათ. პირიქით, ზოგი ისეთ განცხადებებსაც აკეთებდა, სიმართლე გითხრათ, „მემშინდა“, რომ ვინმეს მართლაც ლაყე კვერცხების სკენ არ წაიცივებოდა ხელი, თუმცა არა — მოსახლეობა მშვიდად ისმენდა ნაერთი ამბავი ატეხეს ვარდოსნებმა: ხვალ ჯერარნახულ აქციას ვანყობთ, ხელისუფლებასა ქუჩაში გამოდის და მოსახლეობას საშუალება ექნება, მინისტრებს პირისპირ ელა-

დაახლოებით ასეთივე განცხადება გააკეთა განათლები და მეცნიერების მინისტრმა, ბატონმა ნიკა გვარამიამ, რომელიც დაყინებით არწმუნებდა მის ირგვლივ შეკრებილ ადამიანებს: ჩვენი განათლების დღევანდელი სისტემა მსოფლიოში აპრობირებული და ერთ-ერთი საუკეთესოაო... აპრობირებული, შეიძლება, მართლაც არის, მაგრამ საკითხავია, რომელ ქვეყნებში? რომ ჩამოვთვალოთ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, რომ ამ სისტემის გადასწორებასა და სწორედ სულ მალე, ალბათ, მხოლოდ სახელწოდებასა მერჩება ქართული.

თუმცა ამასაც ვინ ჩივის, ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად ბატონი გვარამია იმასაც ამტკიცებდა, რომ განათლების სამინისტროს მიერ რეკომენდებული სასკოლო სახელმძღვანელოები საუკეთესო შედეგებს იტანს მთელი მსოფლიოში. ამით კიდევ უფრო შევლანახებული „ნაცები“ კი სულ უფრო ხმამაღალ განცხადებებს აკეთებდნენ და ერთ-ერთმა მათგანმა (რომლის ვინაობა ვერ დავადგინე) ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პავლიონთან დადგმულ სახლთან სიამაყით შენიშნა: აი, ასეთი სახლები აუშენეს სამაჩაბლოდან დევნილებს, ოპოზიცია კი გაიძახის, ლტოლვილები საქართვებში შესახლესო...

პასუხი უდავოდ გულწრფელი იყო; იმდენად გულწრფელი, რომ მასში ნათლად ჩანს, რამდენად ადარდებით გვარამიას უწყებაში მომავალ თაობათა განათლებისა და კულტურული აღზრდის საკითხი. განსაკუთრებული ხალხმრავლობითა და, შესაბამისად, ხმაურითა და მანაც მინაგან საქმეთა სამინისტროს პავლიონი გამოირჩეოდა. მერაბიშვილის უწყების „ქუჩურ ვარიანტთან“ უამრავი ადამიანი იყო თავმოყრილი და გაფაციცებით ისმენდა ყოველი სიტყვის მინისტრის რიხიან მონოლოგს.

ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, საზოგადოებისთვის მაქსიმალურად გამჭვირვალე იყოსო, — განაცხადა პატივცემულმა ვანო და იქვე დასძინა: სწორედ გამჭვირვალეობის სიმბოლოა ის, რომ ჩვენ მიერ აშენებული პავლიონის საქმიანობა შეუშებიათ.

მგონი, ამ განცხადებას არანაირი კომენტარი არ სჭირდება. საზოგადოებისთვის ისედაც ნათელია, რამდენად გამჭვირვალე და საქტიროს მერაბიშვილის კანტორის საქმიანობა. საინტერესო ის უფროა, ვისთვის აკეთებს ასეთ განცხადებას ბატონი მინისტრი, რომელმაც თვითონ ყველაზე კარ-

გად იცის, რომ მის სიტყვასა და, მით უფრო, დაპირებას საზოგადოებისთვის ჩალის ფასიც არ აქვს. ეს რომ თვით მიხეილ სააკაშვილს ეთქვა, ალბათ, არავის გაუვირდებოდა, მაგრამ, როცა ცხრა „კლდე“ გადამსტარი მერაბიშვილი ასეთ რამეს ამბობს, უნდა ვიფიქროთ, რომ „ნაცმოელი“ ბიჭები თავს ნამეტნავად უსაფრთხოდ გრძნობენ.

საზოგადოების აზრი, იგივე სააკაშვილისთვის და, განსაკუთრებით, მერაბიშვილისთვის, უკვე იმდენად უმნიშვნელოა, რომ ისინი ყველაზე შეურაცხყოფელი და ცინიკური განცხადებების კეთებასაც არ ერიდებიან. არ თაკილობენ იმის თქმას, რომ პოლიცია, რომლის დანახვაც მოსახლეობას შიშისა და დაუცველობის განცდა ეუფლება, ხალხის საყვარელი დანაყოფია.

არ მგონია, ან ერთმა, ან მეორემ არ იცოდეს, რომ საზოგადოებას არაფერი დაინყებია, რომ ყველას, დიდსა და პატარას, გუშინდელ დღესავე ახსოვს 7 ნოემბერი, 6 და 15 მაისი — დარბევები პოლიციის სამმართველოსთან და ყველა ის სისხლიანი ანგარიშსწორება, რომელთა გადაფარვასაც ახლა ეს ჩვენი ხალხზე გამარჯვებული ხელისუფლება, რაღაც უაზრო და ერთობ უნიჭოდ მოფიქრებული „ანგარიშით“ ცდილობს.

უნდა აღინიშნოს, რომ ვერანაირი მსგავსი მცდელობა „ნაცმოძრაობას“ ჭეჭყსა და ტალახს ვერ ჩამორეცხავს, მით უმეტეს, საკუთარი ხალხის სისხლისგან ვერ განბანს, რომელშიც ვარდოსან თავკაცთა სინდისი და ნამუსი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე თავფეხიანად ამოივარა.

ჰოდა, რაში გჭირდებათ, თქვე მამაცხონებულებო, ეს დავიძარბა, ხომ იცით, რომ თქვენი არავის სჯერა, თანაც, უკვე იმდენად, რომ თქვენი ნათქვამი სიმართლეც კი ტყუილად აღიქმება. გასაგებია, რომ ძალაუფლებასთან გამოთხოვება ნარმოუდგენლად მიგანჩნიათ, მაგრამ არც 2013 წელს მთლად შორეული მომავალი და ისე არ მოეფიქრებოთ, რომ „დასასრულ“ ერთმანეთს გააჰყვიროდეთ: „თხა თხაზე ნაკლები მეგლემა შექამოსო“...

ჭაბა ჭაბანი

ქართლში მეტ-ნაკლებად შესაძლებელი აღმშენებლობა, რაც წინა საუკუნეების განმავლობაში ნარმოუდგენელი იყო საქართველოსთვის. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ დროს დაიბეჭდა პირველი აგეგმვის ტყაოსანი“. აღარაფერს ვამბობ სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობაზე.

ახლა, XXI საუკუნეში, რას მოგვიტანს კარგს „მამლუქობა“? ნატოში მიგვიღებენ, ვეროკავშირში თუ ობამა მოაბამს საქართველოს აფხაზეთს თუ სამაჩაბლოს? ზემოთ კი ვუნოდე ავღანელებს ნახევრად ველურებში, მაგრამ არა იმიტომ, რომ ზოგადად განათლებასთან მწყრალად არიან, არამედ მათი სისასტიკის, დაუნდობლობის გამო. წერა-კითხვის დეფიციტის მიუხედავად, სამაგიეროდ, ისტორიული მემკვიდრეობა აქვთ და კარგად ახსოვთ მირ-ვიცისცა და ქართველებიც.

ავღანელები არც დღეს განიცდიან ალპთან შეფიცული გმირების ნაკლებობას მირ-ვიცის მემკვიდრეობის სახით, სავსე მეთაურები იქნებიან თუ მათი მამამთავრები, მსოფლიოს №1 ტერორისტი უსამა ბინ ლადენი. იქ გაგზავნილი არა ერთი და ორი ქართველი რომ სიკვდილს იპოვის, „ეგ არაფერი“. ვინმე მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ბინ ლადენი თბილისშიც არ იძი-

ებს შურს? მე შენ გეტყვი და, ჩვენი „დასკვაზნიაკული“ საზღვრები ისეა დაცული, რომ უკითხავად ჩიტიც ვერ შემოფრინდება.

ვითომ გაუჭირდებათ თბილისში, თუნდაც, მეტროში, ისეთი ტერაქტის მოწყობა, რომ 11 სექტემბერი ზღაპრად მოგვეჩვენოს? და ვინ აგებს ამაზე პასუხს, თუ ასე მოხდა — აკაკი მინაშვილი, ნუგზარ ნიკლაური, ხათუნა ოჩიაური, ეკა ხერხეულიძე?

ერთადერთი სარგებელი ჩვენი ქვეყნისთვის ის იქნება, რომ ამ ყველაფრის შედეგად „ნაცების“ ხელისუფლება, სულ მცირე, 2013 წლამდე დაიშლება. როგორც ჩანს, ავღანეთში ჩვენი ბიჭების ჩახოცვა ის ფასი, რომლის გადახდასაც აპირებს საქართველო შტატების მიერ „ნაცების“ ხელისუფლებისთვის ცალსახა მხარდაჭერის სანაცვლოდ. ესეც არ იყო, თუ იქიდან ამოვალთ, რომ ჩვენ, ქართველები, საკუთარი დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით, რამდენად სამართლიანი, ზნეობრივი ის, რომ იმავე ღირებულებებისთვის მებრძოლი ხალხის წინააღმდეგ ვებმარებით თუნდაც ჩვენს „სტრატეგიულ პარტნიორ“ ამერიკის შეერთებულ შტატებს? მიუხედავად იმისა, რომ აპირირი ბოლომდე არ გვესმის და ვიღებთ ავღანელების ბრძოლის ხერხებს თუ მეთოდებს.

დავით მხეიპა

Мимин, который голландских кур грузил... ანუ, აქა აგზავნი მიუას ქოფაკებისა

ასეთ ხალხს ბოლომდე ვინ ჩამოთვლის? მათი ზუსტი რიცხვის დადგენა ერთობ რთული საქმეა, რადგან მეტად ფართო დიაპაზონს მოიცავს: ხათუნა ოჩიაურიდან ეკა ხერხეულიძემდე, ნუგზარ ნი(ნ)კლაურიდან აკუნა მინაშვილამდე (ენაცვალის სიდედრი) ანდა, მურთაზ ზო(ნ)დე(რ)ლავა და ა.შ.

ეს და მათი მსგავსი ხალხი, როგორც იტყვიან, საჭირო დროს, საჭირო ადგილზე არიან ხოლმე და ერთმანეთისგან „დამოუკიდებლად“, მაგრამ უნისონში, კუდის ქინციან და ყეფა-წყმუტუნით უმტკიცებენ პატრონს ერთგულებას. ბოლო პერიოდში წინა პლანზე თავდაცვის მინისტრად „ალაბორანტებულმა“ ბარო ახალაიამ და პალიკო კუბლაშვილმა წამოიწიეს: პირველი ავზნიანი ღმილის თანხლებით უბრიალებს თვალებს ქართული ჯარის

ნარჩენებს, ხოლო მეორემ, ამას წინათ ე. წ. უდოთი განთავისუფლებული პატიმრების შესახებ ისეთი რამე იკადრა, ყველაფრის მკადრებელი ნაცებისგანაც კი მოულოდნელი იყო — სანდრო გირგველიანის მკვლელები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიიღო და ისინი უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ერთი ნელინადი მონასტრული, ბერული ცხოვრებით იცხოვრებენო. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოკალათებულ „ხლისტებს“, საქართველოს დედა

ეკლესიაც საკუთარი „კანტორა“ ჰგონიათ! საპატრიარქო მსვლიერის განცხადება გააკეთა, რომ მსგავსი არაფერი ყოფილა და რომ საპატრიარქოს გირგველიანის მკვლელების არც განთავისუფლებასთან და არც მათ შემდგომ „მოღვაწეობასთან“ არანაირი შეხება არ ჰქონია.

გუშინ იყო და ჰოლანდიური ქატიმების სტაფიანმა „გრუზჩიკმა“ პაატა ბურჭულაძის ნიშნით ჩატარებული საქველმოქმედო კონცერტის გამო „უკბინ-შეღრინა“ — ყველა თავისი ჭკუა უნდა ჰქონდეს, მოსკოვში ოკუპანტებთან სიმღერა როგორ შეიძლება. შინაარსით ეს ბრძანა „მინომ“, რომელსაც მხოლოდ მიმას დამტყნარი ვარდების სუნთქვა ამღერებს. ამას წინათ არ იყო, როცა 26

ავგისტოს, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლად ცნობის წლისთავის ზემოთ, ბათუმში რომ დაამღერა: „მე რა მამღერებს, ვარდების სუნთქვაო...“

მართლაც, რა ამღერებს ამ მთაწმინდელ ბუბა-კიკას, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ძალიანაც უნდოდა, პაატა ბურჭულაძის გვერდით მოსკოვში „ჩიტო გვერდით“ თუ არა, „мой год, мое богатство“ მაინც ემღერა, მაგრამ „Мимин, который голландских кур грузил“, საკუთარი ხელით მოიჭრა მოსკოვში ჩასასვლელი გზები და თბილისში — თავი. ჰოდა, ბუბაჯან, капитесь-ка вы колбаской по Малой Спасской!

დავით მხეიპა

ჰაი გიდი, რა გიდი ვიყოვეთ!..

ამ ბოლო დროს ჩვენი პრეზიდენტის შემხედვარე ასოციაციურად ორი ლიტერატურული შედეგის მახსენდება ხოლმე. პირველი — გოგლა ლეონიძის „ნატურის ხის“ გმირი ციციკორე, რომელიც „აქ რომ მგონია, იქ არის. იქ რომ მგონია, აქ არის“. იმდენს დაქრის ზევიტ-ქვევიტ ჩვენი მიზა ბატონი საქართველოს დახშულ წრეზე, რომ გაგიკვირდება. და მეორე — ილია ილიასა და ევგენი პეტროვის „ოქროს კერპის“ ფინალი, სადაც ოსტაპ ბენდერი ამბობს: „Графа Монте-Кристо из меня не получилось. Придется перекалцифицироваться в управдомы“, ანუ მსოფლიოში ყველაზე კეთილშობილი აფერისტისა და ავანტიურისტის ოსტაპ ბენდერის ნათქვამს მცირე პერიოდით თუ არანაკლები აფერისტისა და ავანტიურისტის მიზა სააკაშვილისკენ მივმართავთ, ადვილად მიხვდებით ჩემს სათქმელს.



სამწუხაროდ, არ გამოვიდა მიზსაგან დავით აღმაშენებელი, დემეტრე თავდადებული, დიდი მხედართმთავარი... ჰო-და, ადგა და ცერემონიასტერად, ექსკურსიამძღოლად, იგივე გადად გადაკვალიფიცირდა.

არადა, ეს ორივე ლიტერატურული ასოციაცია ერთი მეორედან და პირიქით, ბუნებრივად გამომდინარეობს. შინ და გარეთ, მტერ-მოყვრისთვის, ყველასთვის ცნობილია ჩვენი პრეზიდენტის დაუოკებელი ტემპერამენტი, ულვეი ენერჯია თუ „პაეზდ-კების“ სიყვარული. და ვინაიდან მას უკანასკნელ პერიოდში აგვისტოს ომის შემდეგ პრაქტიკულად აღარსად ინვესტ, მიზა, როგორც „нелка в кувалде“, ისე წრიალებს საქართველოს დახშულ წრეში.

ამიტომ არის, რომ დილას ტელევიზორს ჩართავ და მუხრან მაჭავარიანის უკითხავს ლექსებს, შუადღეს მაკრატელი უჭირავს ხელში და სადმე, მაგალითად, წეროვანში ნითელ ლენტს ჭრის, ხოლო საღამოს ბათუმიდან ტურიზმის ბუმით „გვაბოლებს“. ერთი სიტყვით, მაკრატელი იქნება თუ მის გარეშე, სულ რაღაცას ხსნის და გვიხსნის, სულ ვიღაცას აგინებს და ამუნათებს (ამ ბოლო დროს არა მხოლოდ რუსებს), სოფლის მასწავლებელით სულ დაფასთან დგას და საქართველოს ჯერარნახულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ

წარმატებებზე გვესაუბრება. მოკლედ, როგორც იტყვიან — ჰაი გიდიო, ეგრეა საქმე! — მიზა საქართველოსნაირი პატარა ქვეყნის, თანაც, მისი კეთილი ზრახვების ვერგამგები უმადური ქართველების პრეზიდენტი უნდა იყოს? მოკლედ, ჩემი მკითხველო, თითქოს რაღაც უნდა გავეკვირებინეთ მე და შენ, მაგრამ შენი არ ვიცი და, „რედისონის“ პრეზენტაციას თუ ლენტის გაჭრაზე ჩვენმა გიდად გადაკვალიფიცირებულმა დიდ-გორში შერცხვენილმა მიზამ კიდევ ერთხელ გამოცა, რადგანაც ეს მისი გიდიობის აპოგეა იყო.

კოვუნისტური კოლორიტი, აოსტკოვუნისტური სირცხვილი და თანამედროვე საპარტიო სიამაყე

აი, ამ შინაარსის სარეკლამო რგოლით პიარდებოდა „რედისონ-ივერის“ პომპეზური გახსნა, რომელიც სახელისუფლებო ტელევიზიებში ტრიალებდა ტექსტის შესაბამისი კადრებით; კოლორიტთან — თავის დროზე სასტუმრო „ივერისას“ ფოტო; სირცხვილთან — აფხაზეთიდან ლტოლვილების მიერ „გაბოშებული“ იგივე შენობა; ხოლო სიამაყესთან — დღევანდელი 5-ვარსკვლავიანი სასტუმრო. თუმცა „ივერია“ რა შუაში იყო, ძნელი გასაგებია.

თავის დროზე თბილისის პირველი „ცათამბჯენის“ რემონტის მიმდინარეობისას არა ერთხელ ვცადე მისი ახალი დასახელების წაკითხვა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი ინგლისურის ცოდნის დონე არ აღმოჩნდა საკმარისი ბოლო სარტულზე წარწერის წაკითხვად. ამიტომ მაძლობა ჩვენს ჰაი გიდი პრეზიდენტს, რომ რადი-სო-ნი დამიპარცულა, მაგრამ ვიმეორებ — „ივერია“ თუ ჰქვია, ესეც დაენერათ „რედისონის“ გვერდზე, რა მოხდებოდა? როგორც სასტუმროს უცხოურად „მოჭიკ-ჭიკ“ ერთმა მუშაკმა გვამცნო, „ივერია“ იქ არსებულ კალინინის რევილუციის ეროვნულ „რედისონ-ივერის“ ერთად ხსენების მიზეზი. ჰაი გიდი პრეზიდენტის

ჩვეული ბრახაბრუხის შემდეგ აღმშენებლობისა და, ზოგადად, ჩვენი ეკონომიკური აღმავლობის შესახებ მას, როგორც მოსალოდნელი იყო, კვერი დაუკრეს ტოპომოდერალმა ბუბა-მიმინომ და გოპბიზნესმენმა თემურია-კოკა-კოლამ. ხოლო გოპდუტუტატი-მა რუსუდან ტუიფენა კერვალიშვილმა, არც მეტი, არც ნაკლები, ასეთი ბედნიერი დიდი ხანია არა ვყოფილვარო (ალბათ, თვით შარშან აგვისტოს ომში გამარჯვების შემდეგაც კიო, — ავტ.). თუმცა მთავარი უსინდისობა-უტიფრობა წინ იყო, როცა აფხაზეთიდან ლტოლვილების ფერად-ფერადი ნიფხვებით აჭრელებული იავარქმინილი სასტუმრო „ივერის“ ფოტოს ფონზე გაბადრულმა პრეზიდენტმა იმ

რომ ქალაქის ცენტრში ლტოლვილთა საცხოვრებელი იყო იმის გარანტია, რომ ხელისუფლებას ახსოვდა აფხაზეთი. ახლა რა გამოვიდა? ლტოლვილები თანდათან ისეთ გარემოში, ისეთ პირობებში სახლდებიან, რომ თანდათან უქრებათ იქ ცხოვრების დროებითობის განცდა და ვეჭვობ, ასეთები აფხაზეთ-სამაჩაბლოში დაბრუნებაზე კიდევ ფიქრობდნენ. ერთი სიტყვით, „ნაცების“ ხელისუფლებამ დედაქალაქში თითქმის მოავგარა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემა. ერთი სასტუმრო „აფხაზეთი“ დარჩა და იქიდანაც რომ გაასახლებენ ლტოლვილებს, დასრულდება თბილისის „პოტიომკინის სოფლად“ შენების პროცესი, ანუ ლამაზი ფასადებისა, რომელიც გარედან მტერს სთხრის თვალს და შიგნიდან — მოყვარეს. ისიც მინდა, იცოდნენ იმათ, ვინც არ იცის, რომ 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების მშენებლობები სულაც არ ნიშნავს „აღმშენებლობას“, რითაც, რომ იტყვიან, თავი ნავაჭამა ჰაი გიდი მიზამ. 5-ვარსკვლავიანი სერვისის განხორციელებას ერთ სტუმარზე, როგორც მითხრეს, 4 მოსამსახურე სჭირდება. ასე იყო თავის დროზე ჩვენსავე პატარა კუბაში, რომელიც დღემდე ერთი დიდი საროსკიპოს — ბორდელის სიმბოლოა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მიზას ტყუილები გამართლდეს და საქართველოს მილიონობით ტურისტი მოაწყდეს. ასეთ შემთხვევაში ხომ დიდიან-პატარაანად მრეცხავეზად, დამლაგებლებად, შეიცარებად, პროსტიტუტკებად გადაკვალიფიცირება მოუწევს მთელ ქართველ ხალხს. გვინდა თუ არა ასეთი დასაქმება და სამუშაო ადგილები? ამის განსჯა თქვენთვის მომინდა, მკითხველო.

დავით მხიპია

რაგდენი თეთრი შეიტანა თამაზ გაიაშვილმა გაყიდული თვითმფრინავიდან ბიუჯეტში?



როგორც „საქართველო და მსოფლიო“ იუწყებოდა, პრეზიდენტის ბრძანებულება №440 მავანთა მიერ უხეშად გაყალბდა, რის შემდეგაც დაინტერესებულმა ხარზმა ადამიანებმა სააკაშვილისგან ჩალის ფასად იჩუქეს და შემდეგ უსინდისოდ გაყიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ შექმნილი ორი ახალი საჰაერო ხომალდი ЯК-42, რომლებიც ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე იყო აყვანილი და მათი იმჟამინდელი საბაზრო ფასი 5 მილიონ 800 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენდა.

ჩვენი გაზეთის საშუალებით, მკითხველმა შეიტყო ისიც, რომ აჭარაში 2 თვითმფრინავის ექსპლუატანტი შპს ავიაკომპანია „აჭარა“ იყო, მაგრამ სხვისი ქონებით თვალდაბინდულმა ადამიანებმა თანამზრახველების დახმარებით ავიაკომპანიის ხელმძღვანელები სატუსალოებში გამოკეტეს და შემდეგ საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგეს მათი იმჟამინდელი და საბოლოო ბედი! არადა, დაავიწყდათ, რომ ცეცხლი თივაში არ იმალება და რომ ის მალე კოცონად იქცევა (კარგად იქნებოდა, მაშინვე გახსენებოდათ!). „საქართველო და მსოფლიომ“ შემოგთავაზათ მთელი პაკეტი აბ-

სურდულ-კრიმინალური დოკუმენტები და ამონარიდებით, რომლებსაც შპს „აირზენა“ უდავოდ ვილაცის დიდი მხარდაჭერით ახორციელებდა, მაგრამ იმჟამად როგორც ვიუწყებოდით და ეს დღეს ჩვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდანაც ჩანს, თვითონ შპს „აირზენა“ ამ სახელწოდებით უკვე აღარ არსებობდა, რადგან 1995 წლის 26 დეკემბერს დაარსდა და დარეგისტრირდა ქ. თბილისში ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ 2004 წლის 15 სექტემბერს, შერწყმა შპს „ჯორჯიან ეარვეისს“ და რეგისტრაციაც ისევ ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში გაიარა! საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შპს ავიაკომპანია „აჭარას“ ადვოკატ ვლადიმერ სანიკიძეს 2009 წლის 4 მაისს ოფიციალურად დაუდასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არც „აირზენა“ და არც „აირზენა საქართველოს ავიასაზენა“ ქ. თბილისის რეგიონული ცენტრის ერთიან კომპიუტერულ ბაზაში არ იქნებნება! ანუ, რასაც ჩვენ ვიუწყებოდით, „შერწყმა-შემორწყმის“ შესახებ, ოფიციალურად ფინანსთა სამინისტრომ დაგვიდასტურა და იქვე მიგვითითა, რომ რეგისტრაციის №7/4 2398 ეკუთვნის შპს „ჯორჯიან ეარვეისს“! ვისი საკუთრებაა ეს შპს, ჩვენ ამის შესახებაც გაუწყვეთ და ახლა, ვისაც უნდა მიმართონ გენერალური პროკურატურიდან, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიდან, საგადასახადო ინსპექციიდან და, შესაძლოა, სააკაშვილის ადმინისტრაციიდანაც კი, ვფიქრობთ, ნათელია!

მართალია, შპს „ჯორჯიან ეარვეისმა“ და მისმა პრეზიდენტმა თამაზ გაიაშვილმა თითქმის ორი თვის განმავლობაში წაუყრეს ჩვენ მიერ გა-

მოქვეყნებულ უტყუარ დოკუმენტებს, მაგრამ ღრმად მზამს, რომ მის „იგნორირების პოლიტიკას“ ყავოლი მალე გაუყვანა ფრთები, რომელიც აქამდე მალა ფრენაში ეხმარებოდა, დიდი მაკრატლით მოეკვეცება! ზვალ, 2009 წლის 10 სექტემბერს, შპს ავიაკომპანია „აჭარას“ ადვოკატს (თითქმის ბოლომდე გამოძიებული) საქმე შეაქვს გენერალურ პროკურატურაში, სარჩელსაც წარადგინებს და ფიქრობთ, მავანთა ჩადენილ უკანონოებას ახლა გენპროკურატურა, ფინანსური პოლიცია, „კუდი“ და სხვა უწყებები გამოიტანენ საამჟამაოზე! რადგან „საქართველო და მსოფლიოს“ ეკუთვნის ექსკლუზივი ორი საჰაერო ხომალდის გარემო, იმედს ვიტოვებთ, რომ აღნიშნული უწყებები არ დაგვზარდებენ და საქმის კურსში ჩაგვყენებენ გამოძიების მსვლელობის დროს აღმოჩენილ სხვა კანონდარღვევებზე შესახებ და შესაბამის კომენტარებსაც გააკეთებენ! ისე კი, ჩვენი წყაროებით დადავინეთ, რომ საქართველოს სახელმნი-

ფო საკუთრებაში არსებული 2 თვითმფრინავიდან ერთ-ერთი ბატონმა თამაზ გაიაშვილმა ყაზახებს მიჰყვანა და დღეს ეს თვითმფრინავი სწორედ ყაზახეთის რესპუბლიკიდან დაფრინავს! ხოლო მეორე თვითმფრინავის მფლობელი ვინ არის ამჟამად, უფრო კომპეტენტური უწყებებისთვის მიგვინდა გამოსაძიებლად! რამდენი თეთრი შეიტანა გაიაშვილმა გაყიდული თვითმფრინავებიდან ბიუჯეტში, ამას ზემოთ ჩამოთვლილი უწყებები მალევე დაადგენენ (სურვილის თუ ვილაცის ბრძანების ნყალობით), თუმცა იქამდე, ალბათ, ასევე, საინტერესო იქნებოდა თავად პრეზიდენტ სააკაშვილის თუნდაც მცირედი კომენტარი იმის შესახებ, როგორ გახდა მავანმა, მისი ხელმოწერილი ბრძანებულება №440 საკუთარი შეხედულებისამებრ ჩაესწორებინა ანდა ნაჩუქარი თვითმფრინავების ჩუმი გაყიდვა როგორ „მოახერხა“ მისმა ერთ-ერთმა დავორიტმა თამაზ გაიაშვილმა?!

ირინა ბოგოსლავილი

რატომ გააქრო სელისუფლებამ ტელევიზორიდან „ინფორმაცია“ რეკლამები და რაზე მიიღო პაატა ზურაბიანი პატრიარქის ღოსვა-კურთხევა

6 სექტემბერს მოსკოვში გრანდიოზული საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა მსოფლიო ბანამ — პაატა ზურაბიანიმაც მიიღო. პატრიარქმა პაატაზე, მის მიერ განვლილ პროფესიულ გზაზე საუბარი შორს წაგვიყვანს და ამჯერად თქვენს ყურადღებას მხოლოდ მის საქველმოქმედო საქმიანობაზე შევაჩერებ. პაატა ზურაბიანის ფონდი „ინფორმაცია“ ბევრი ქართული ოჯახისათვის ისეთივე მშობლიური, ისეთივე მზრუნველი და თბილი აღმოჩნდა, რასაც თვითონ სიტყვა „ინფორმაცია“ გულისხმობს...



სწორედ უსახლკარო და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის იქცა ფონდი „ინფორმაცია“ ერთადერთ ხელისგამწვანებელად, თორემ ინჟინერ-პოლიციელ ვანო მერაბიშვილის უწყებამ რა ხარისხისა და რა მასშტაბების „გეტოები“ ააგო გორისკენ მიმავალ ტრასაზე, გამგელელ-გამომგელელიც კარგად ხედავს!

რატომ გაქრა ქართულ არხებზე („კავკასიის“ გარდა) რეკლამა: „დარეკეთ 30-30“? — ძნელი დასაჯერებელია, რომ რეკლამის საფასურის გადაუხდელობის გამო. მაშ, რაშია საქმე? — იკითხავს მკითხველი და დარწმუნებულად ვარ, უმალ იმას გაიფიქრებს, რაც მე გავიფიქრე, ვიდრე მეტად ავტორიტეტული წყარო ამბის მოყოლას შეუდგებოდა ჩემთან.

„არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიღოთ მონაწილეობა 6 სექტემბერს მოსკოვში დანიშნულ საქველმოქმედო კონცერტზე!“ — საკმაოდ მკაცრი ტონით მიუმართათ პატრიარქი პაატა ზურაბიანისთვის „ამათ“(!). „კი, მაგრამ, როგორ? პროგრამა დიდი ხნის შედგენილია, მე პოლიტიკოსი არ ვაქვარ, ვართ, მომღერალი ვარ...“ — უპასუხია ზურაბიანი.

ბისთვის იმღერებთ, ფონდი „ინფორმაცია“ პრობლემებს შეუქმნით. გასაგებია? — უფრო მკაცრად გაუფრთხილებით მსოფლიოში „ბრაგო“ და „ბისზე“ ყურმილებული ბატონი პაატა და ყურმილი დაუგდიათ!

„რა ვქნა, როგორ მოვიქცე, უარი როგორ ვთქვა საქველმოქმედო კონცერტზე, რომელიც ინვალიდი ბავშვების დასახმარებლად ეწყობა?“ — ამ სიტყვებით მიუმართავს მისი უწინდესობისათვის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ისთვის ზურაბიანი.

ქველმოქმედებას ვერც ერთი პოლიტიკოსი წინ ვერ აღუდგება, მათ შორის, ჩვენთანაა!

მოკლედ, ზურაბიანი ქველმოქმედებას მონაწილეობის აუცილებლობა უწინდესობის ნებართვით განამტკიცა! როგორც კი ეს ამბავი შეიტყვეს, ამ ჩვენს ქვეყნის დამაქცევებმა საკუთარ ტელევიზორებზე უბრძანეს: „ინფორმაცია“ რეკლამები ეთერიდან სასწრაფოდ გააქციეთ!“ ჰოდა, გაქრა კიდევ.

რადგან ფონდის დირექტორის — პატრიარქის ახალაქის მობილური ტელეფონის „მომსახურების ზონიდან გასულია“; ხოლო ოფისის ტელეფონზე: 37-46-95 მთელი დღეების განმავლობაში არავინ იღებს ყურმილს!

ვინც მოსკოვში კონცერტში არმონაწილეობის სურვილი ღიად დააფიქსირა და ვინც თქვა: ჩემი მოქალაქეობრივი, პატრიოტული ვაჟი ასეთი ფორმით გამოვხატო, ნინო სურგულაძე გახლდათ, რომელიც ბათუმში ერთი დღით ჩამოაფრინეს და რომელმაც „ასწლოვანი მნიშვნელობის“ კონცერტი გამართა ნინო ქათამაძესთან ერთად და მიშას ტელე-

ვიზიტთან კარგა ხანს იკეცა საკუთარი (თუ სხვის მიერ ნაკარნახევი) გადამწყვეტილების გამო!

თუ როგორ „დაისაჯა“ თვითონ პატრიარქი იელოველთა ატამანების, პედერასტების, მაქებრებისა და ჩვენი სამშობლოსადმი უსახლგრო სიძულვილით აღვსებული ხელისუფლების მიერ, ეს ტელეკომპანია „იმედზე“ გასულ სიუჟეტშიც აისახა, როცა ასეთი ფრაზა გაუღერდა: „საპატრიარქო სახიფათო თამაშებში ჩაერთო“.

ალბათ, საინტერესოა, რა ხდება და რა მიზეზით აღარ გადის „ინფორმაცია“ რეკლამა ისეთ „პოპულარულ“ არხებზე, როგორც „რუსთავი 2“, „რუსთავი 3“, „რუსთავი 4“ და ა.შ.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა გახდა რეკლამის შეწყვეტის მიზეზი, „რუსთავი 2“-ის პიარისა და მარკეტინგის სამსახურში (ტ. 20-11-11-5) გვიპასუხეს:

— ჰო, აღარ გადის ეგ რეკლამა, აღარ გაგრძელდა...

— რატომ, გადახდილი თანხა ამოეწურა ფონდი „ინფორმაცია“?

— არ ვიცი, უბრალოდ, მართლა არ ვიცი, ვიცი მხოლოდ ის, რომ აღარ გადის ეთერში, კარგად ბრძანდებოდა.

„საქართველო და მსოფლიო“ ტელეკომპანია „იმედზე“ იმავე შეკითხვით დარეკა, მაგრამ, როგორც განვიხილავთ: ტელეკომპანია „იმედში“ სარეკლამო საეთერო დროს ყიდულობს და თვითონვე განაგებს ფირმა „თაჩ მედია“, რომელთანაც დაკავშირება არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა:

— ფონდი „ინფორმაცია“ რეკლამები მოძველდა, ამიტომ

აღარ გადის ეთერში. გააკეთებენ ახალს და შევიძინებთ, რა პრობლემაა? რატომ დაინტერესდებიან? — შეგვეკითხა ახალგაზრდა გოგონა, რომელმაც საკუთარი ვინაობა რატომღაც არ გვითხრა...

— სულ ეგ არის მიზეზი და სხვა არაფერი?

— დიხ, მეტი არაფერი. აი, თქვენი პირადად, არ მოგებრძობა ერთი და იგივე რეკლამის ყურება თვეების განმავლობაში? ყველაფერს თავისი დრო და წესი აქვს, გენაცვალე, დაძველდა რეკლამა და მოიხსნა ეთერიდან, აქ მეტი მიზეზი რა უნდა იყოს, გაუგებარია, რა? კარგად იყავით...

აი, ძვირფასო მკითხველო, თურმე რატომ გამქრალა ეკრანიდან რეკლამა „დარეკეთ 30-30“, მაგრამ საინტერესოა, ამ ჩვენს ქვეყანაში ნაცრის ულვეი საბადოებია, თუ რა ხდება, ნამდუღუნე დიდი „ლაფათი“ რომ გვაყრიან თვალებში?

თუკი პაატა ზურაბიანი მოსკოვში იმღერებს, ამით რა, იგი ქვეყნის მოღალატეა და საკუთარ სამშობლოში კეთილმოხილური ზრახვების განხორციელებაში ხელი უნდა შეუშალოს ამ უსამშობლო ავაზაკებმა? ანდა ჩვენი პატრიარქი „იმათი“ დასაშინტაჟებელია წამდაუნუმ, ვისაც არ უნდა, ვისაც არ ეგების და ვისაც უფლება არ აქვს, პრეტენზია ჰქონდეს ზნეობაზე, სიყვარულზე, სიბრძნესა და მაშულიშვილობაზე? რა სინდისით აყენებენ მის დამოკიდებულებას ეჭვის ქვეშ და უკიჟინებენ: „სახიფათო თამაშებში ჩართვას“ მოევიო?

ესაუბრა ირინე ბოგოსაშვილი

ეს ინჩა ქსანოვოვ, ელი?

ვახ! ეს რა სტრანნი რამე გავიგე, კაცო! გაგიგონია? გამოსულა ეს ჩვენი პრეზიდენტი, სერჟიკა, რა, სარქისიანი, ხო იცი? ხოდა, გამოსულა და უთქვია, რო, კაცო, საქართველოში შესსოტ პიდისიატ ტრი (653) სომხური ეკლესია ყოფილაო, ეს ჩვენი, არმიანსკი ატლასის ცნობითაო, ისე კიდევ რამდენია, ვინ იცისო!

ხოდა, ამიტომაო, მოდიო, — სერჟიკამა თქვა, ამას უთხრა რა, მიშას, — რო სომხურ ენას, მოდი, რეგიონალის სტატუსი მიანიჭე ჯავახეთშიო! და საქართველოში სომხური ეკლესიის ეპარქია აფიციალუნა დაარეგისტრირეო! ჩვენაო საქართველოში სომხური ძეგლები უნდა დავიცვათო!

ვახ! ეხლა ეს ამბავი, მე, როგორც სომეხ კაცს, უნდა მიხაროდეს, მაგრამ არ დაგავინყდეთ, რო მე თბილისელი სომეხი ვარ და ამიტომ ცოტა გაუგებრობაში ვარ!

ეგ ჯიგროლი ინფორმაცია, რო ამოვთ, საქართველოში 653 სომხური ტაძარიაო, მაგრამ ჩვენს სომხებს, ხო ბრძენი ნაროდი ვართ, მოდი, აბა, დავფიქრდეთ — ოფიციალურაო, საქართველოს საპატრიარქოს ქართული ეკლესია არაა ქართული ეკლესია არაა ქართული... დაფრეც... თუფი, შენი... და-ფიქ-სირებული

ამდენი ცალი! მაშინ გამოდის, რო საქართველოს ეკლესიების 80 პროცენტი სომხური ყოფილა, აი!

კაცო, ეგრეც რო იყოს, თუ ვინდა, რო მეზობელთან კაი ურთიერთობა შეინარჩუნო, არ უნდა უთხრა! ხო ხედავ, დალოცვილო, რო არ ანგრევს, უფრთხილდება, უკრავს, აშენებს, არემონტებს, ეფერება და შენ კიდევ ეუბნები, ეგ ჩემია და თავი დაანებეო!

ჰამაც, რო იძახი, რო ეგ სომხური ეკლესიებიაო, ერთი დაკუმენტი მაინც მანახე, რო დავიჯერო, რაღა! ეგ კიდევ, ყველაზე მთავარი — კაცი, თუ კაცი ჰქვია, უმადური არ უნდა იყოს! ის თუ გახსოვს და არ გავინყდება, რო საქართველოში ყველა მეფე სომეხი იყო, ყველა ტაძარი სომხურია და ყველა კლასიკოსი მწერალი სომეხია, ის რაღა გავინყდება, რო ამათი დავით მეფე რო არა ყოფილიყო, მეთორმეტე საუკუნეში

თურქები (ბოდიში მამითხოვნია და) დროშასავით გავაფრიალებდნენ წინდაცვეთილ ტარზე. ქართული ეკლესიები კი არა, ჩვენი, საკუთარი, მართლა ჩვენი როა, ის ეწმიაძინი გვექონდა სანატრელი! ერთი დავითი დროზე არ მოსულიყო და სად გავიკეთებდნენ მავ არმიანსკი ატლასს, მაგასაც ვნახამდით!

და შენ კიდევ მაგით უხდი სამაგიეროს? მე, ხო გუუბნები, თითონაც სომეხი ვარ, მაგრამ ჩემი წინაპარი ყარაჩოხელი იყო და სიმართლე სულის თუ თვალის სინათლეაო, — გამიგონია!

არა, ნუ, რა უნდა ვთქვა ეხლა — აშფოთებული ვარ ევროსაიუზის დამკვირვებელი ვიცი!

რეგიონული ენაო, კაცო! და ეპარქიაო! ვახ! ამას რო ჩემი მეზობელი რაფო და ედიკა იძახოდნენ, კიდევ რა უჭირდა! მაგრამ პრეზიდენტი, კაცო?! ბარემ ჯავახეთის ავტონომიაც მოგეთხოვა, რაღა! აი, მეტის ღირსებიც არიან ეს ქართველები, რა! შუა თბილისში სომხური ეკლესიები და თეატრი გაგვიხსნეს, ზემოთაროზე შამოგვსევეს, ცივი ნიაგი არ მოგვაკარეს! ჩვენ ვებნებოდით, ქართული ანბანი სომეხმა კაცმა შექმნაო,

ისინი კიდევ ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ, ნეტა რას ამობენო, იძახოდნენ! მარტო ერთმა კაცმა, ილია ჭავჭავაძემ ამაილო ხმა და ისიც თითონ გასალეს, ჩვენ არც მიგვიშვეს!

ჰაპაჩემმა, დიდმა გენადამ, უთხრა ერთხელ თავის მეზობელს, ქართველს: სომეხი ოქროთ რო იქცეს, ჯიბეში არ უნდა ჩაიღო!

რატომ? — იმ მეზობელმა ჰკითხა.

— იმიტომ, რო ხელს რო ჩაიყოფ იმ ჯიბეში, შეიძლება (ბოდიში მამითხოვია კიდევ ერთხელაც) ქაქი დაგხვდესო!

იმ მეზობელს კიდევ გვეცივნა და — კაცო, შენ თითონ სომეხი არა ხარ? ამეებს რათ ამოვო!

გიყო არ იყო ეხლა? დალოცვილო, კაცი გაფრთხილებს და დაუჯერე რაღა! შაუშვი რა, მაგ კახური ღვინით გამობრუებულ გოგრაში! აი, ეგრეა რა! არა ვვარგია, ვართ ეს კავკასიელები! სუ იმას იძახიან, სომეხებმა ერთმანეთის გატანა იციანო! კი, იცოცხლე, ვიცი გატანა, ოღონდ მანქანით! სხვა ყველაფერში ისევ ქართველები გვჯობნიან, კაცო, აბა ნახე — არჩვენებზე



ჩვენთანაც იმამუნეს, ამათთანაც! ჩვენ გამოვევლით, დაგვოცოთ ერთმანეთი, დავნით მსოფლიოში ულამაზესი ქალაქი ერევანი, დავამტვრიეთ ერთმანეთს თავები და პრეზიდენტით მაინც სერჟიკა დარჩა!

ამათთან გამოიდნენ, იყვირეს, იმღერეს, იცეკვეს, დაბრუნდნენ, ლექსები თქვეს და პრეზიდენტით მაინც მიშა დარჩა!

შედეგი ორივეგან ერთი იყო და ეხლა თქვენა თქვით, რომელი ჯობია — თავპირის-მტვრევა თუ ქეიფი? თუ მაინც პრეზიდენტი ისევ პრეზიდენტი დარჩება, არა ჯობია, ერთმანეთს მოვეფეროთ, ჩავეხუტოთ, დავლიოთ და ეგრე ჯიგროლათ გავატაროთ ჩვენი ცხოვრება? ჯობია!

ოხა! ეგე, კინალამ შარი ავიკიდე — სუ დამიმსგავსეს ამ ქართველებმა, რა!

მოდი ეხლა მოვრჩეთ, საწამ კიდევ რამე წამამცდენია! და სუ ბოლოს გეტყვით კიდევ — აბა, სომეხებმა რო ერთმანეთის გატანა ვიცოდეთ, მე ეხლა ამ ნეროლს უნდა ვწერამდე და ქართველები კითხულობდნენ?

ეს ნერილი ქართველს უნდა დეენერა, მაგრამ არც ქართველებსა ჰყავთ პატრიონი და არც სომეხებს! P. S. და კიდევ, ძალიანა გთხოვთ, რა — ჩემზე თუ რამეს იტყვიან ან დასწერამთ, ქსენოფობია არ დამაბრალეთ — ჩემ ცოლს ქსენია ჰქვია და ამიკლებს მერე შაყირით: ეგე, თურმე ჩემი გვეწინაო! შაბამ! კარგა იყავით!

გაბა (გენად) ბაიტიანი

ვის გამო ჩაკავს მასშტაბის ზარი

უხსოვრი პრესა მიხეილ სააკაშვილის გარეხვის შესახებ

რამდენიმე დღის წინათ მიიწურა ზაფხული — ზოგისთვის მკვდარი სეზონი, ზოგისთვის კრახის მომასწავლებელი ავბედითი რეკვა მასშტაბის ზარების: უცხოეთის პრესაში გახშირდა მიხეილ სააკაშვილის კრიტიკული დახასიათება, დაუფარავი ცინიზმის საგრძნობი დოზით გაჯერებული. სრული ობიექტურობისათვის — მხოლოდ მაგალითები — „შიშველი ფაქტები“, „მეფის სიშიშველი“ დასამტკიცებლად.

„სახელმწიფოს მეთაურმა მიხეილ სააკაშვილმა ვერაფერი ისწავლა. ერთი წელიწადი გავიდა, რაც მან სეპარატისტული რესპუბლიკის — სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ უგუნური სამხედრო აქცია წამოიწყო, რასაც რუსეთთან ომი მოჰყვა, მაგრამ მისგან არანაირი თვითკრიტიკის იმპულსი არ მოდის. ამაზე მისი რიტორიკა და ვითარების არარეალური შეფასება მიუთითებს. ვიდრე სააკაშვილი ქვეყნის სათავეშია, კონფლიქტის გონივრულ გადაწყვეტას არ უნდა ველოდეთ“... (ვოლფგანგ შმიცი, „კავკასიური ლეგენდები: მიხეილ სააკაშვილი ომიდან ერთი წლის შემდეგ“).

„საკაშვილი მამა აბრამის ბატონი სულაც არ არის, როგორცაც თავი მოაქვს“ (იქვე). და ასეთი მომაკვდინებელი დასკვნა: „საკაშვილი დამარცხებულია. მისი მიზანი, დაებრუნებინა აჯანყებული რეგიონები, ახლა შორეული პერსპექტივაა. საქართველოს ნატოში გაწევრება გადაიდო; საშინაო პოლიტიკაში დასუსტებულია; საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით — დიდად იზოლირებული; ვაშინგტონში სულ უფრო ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში დემოკრატიის დეფიციტია. მიხეილ სააკაშვილი სტრასბურგსა და ვაშინგტონში სწავლობდა. თავისუფლად საუბრობს ინგლისურად, არ აქვს უცხო-

ოელ ყურნალობის ურთიერთობის პრობლემა და ფლობს დასავლურ ტერმინოლოგიას, თუმცა ეს ქვეყნის დემოკრატიული სიმწიფის დასადასტურებლად საკმარისი არ არის“.

მკვახეაო! დაახლოებით ისეა, როგორც ერთ მოქმედულ ფრაზაში: „მნიშვნელოვან, მკვახე ცვიოდაო“.

მწარე იუმორი თანდათან სერიოზულ კრიტიკაში გადაიზრდება. სააკაშვილიდან არეკლილი კრიტიკა მის „გამსუქურებელზე“ — ბუმის ადმინისტრაციაზე გადადის. რუსული „გარდიანის“ რედაქტორი სერგეი როი მიიჩნევს, რომ ცხინვალის კონფლიქტმა „ნაკლები ბუნდოვანება დატოვა“ საგარეო ურთიერთობებში... (ე.ი. უფრო გარკვევა სიტუაციაო. — ა.ს.).

ავტორი იხსენებს, რომ პუტინმა ასეთი კრიზისებისთვის სპეციალურად შექმნილი ცხელი ხაზით ბუმთან დაკავშირებაც სცადა. „მეორე მხარე, უბრალოდ, არ უპასუხებდა: სამარისებური სიჩუმე — ცხადი ნიშანი იმისა, რომ ეს მხარე უშუალოდ მონაწილეობდა სააკაშვილის სისხლიან თამაშში“.

ამ სტრატეგია, ამტკიცებს როი, კავკასიის ბალკანიზაცია, რომლის პრინციპია ასეთია: „არ იბრძოლო უშუალოდ. შენი მტრის დასასუსტებლად მისსავე საზღვრებში არსებული სეპარატისტული მოძრაობები გამოიყენე“.



უცხოელი ანალიტიკოსი ასეთ გამოსავალს პოულობს, ეს იქნება „ახალი, უფრო საზრიანი პოლიტიკური რეჟიმი საქართველოში, რომელიც აღიარებს არსებულ სიტუაციას და რუსეთთან პრაგმატულ, შესაძლოა, თანამშრომლობით ურთიერთობას დაამყარებს“.

მაგრამ ეს გამოსავალი ცისფერ ფრინველს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალისტურ დასკვნას, ისეთ რჩევას, რომლის განხორციელება ჩვენს პირობებში შეუძლებელია, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მმართველების ხელში.

ამ ლაბირინთიდან თავის დაღწევა ჩირს იმის გამოც, ფიქრობს პოლიტოლოგი პიტერ კორიგი, რომ „აშშ-სა და ევროპას საქართველოს შიდა პოლიტიკური სტაბილიზაციის მიმართ აბსოლუტურად განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ იმ შემთხვევაში, როცა ამ სტაბილიზაციის ფასი დემოკრატიაა“.

პრესა და რადიო სულ უფრო იზოლირდება, ოპოზიციონერებს რეგულარულად აპატიმრებენ იარაღისა და ნარკოტიკების საეჭვო ბრალდებით, დემონსტრაციის თავი-

სუფლება ფაქტობრივად ლიკვიდირებულია“.

უყურადღებოდ არც ოპოზიცია რჩება, რომელსაც სერიოზულად აკრიტიკებენ მოუქმელობის გამო. მიიჩნევენ, რომ „ვარდების რევოლუციის“ პერიოდისგან განსხვავებით, ოპოზიცია ვერ ახერხებს ისეთი ფართო პოლიტიკური პროექტის შემუშავებას, რომელიც დღევანდელი სისტემისგან განსხვავებული იქნება და ხელისუფლების ცვლილებაზე დასავლეთის არსებით მხარდაჭერას მოიპოვებს“.

ლაიონელ ბინერი („საკაშვილის რეჟიმის ბედის ცვლილება“) სერიოზულად არის დაეჭვებული აშშ-საქართველოს ურთიერთობის ხარისხის გამო და აცხადებს: „ზედმეტად დიდი ფონის ხომ არ დადო კავკასიის ამ პატარა, გახლეჩილ ქვეყანაზე შეერთებულმა შტატებმა?“ ამ დასკვნის ორჭოფულ ფორმაში („ხომ არ“) კატეგორიულადაა რომ ქარბობს, შეუიარაღებელი თვალთვალ ჩანს: დადო და შეცდა!

ბინერი დარწმუნებით აცხადებს, რომ ავვისტოს „ხანმოკლე ომმა“ საქართველო

დასავლეთელ მეგობრებს, განსაკუთრებით კი, შეერთებულ შტატებს სულ უფრო დაამორა“.

იმ ზარის რეკვა, რომელიც წერილის დასაწყისში ვახსენეთ, იმედგადასურულ დაპირებებსავე იხმის: „საქართველო... საკუთარი წარსული რაობის ნაგლეჯად იქცა“; „ობამას ადმინისტრაციასთან ემოციური კონტაქტების ნაკლებობამ საქართველოს ისეთი განცდა დაუტოვა, თითქოს სივრცეში გარეთ მარტოდმარტო დატოვეს“; „დღეს ვაშინგტონს მორალური მხარდაჭერის გაცემა შეუძლია, მაგრამ სამხედროსი — არა“; „საკაშვილი... არსებითად წარუმატებელი პრეზიდენტია“; „საკაშვილიმ გარისკა და დამარცხდა, მასთან ერთად დამარცხდა საქართველოც“.

ვის გამო რეკავს ზარი, ალბათ, გარკვეულია, მაგრამ მხოლოდ ემოციური სიმძაფრის ველში რომ არ დავრჩეთ, შემოვთავაზებთ ერთი ანალიტიკური წერილის დასკვნით ნაწილს (ივან კრასტევი, „ავვისტოს ქვემეხები: უმნიშვნელო მოვლენა მნიშვნელოვანი შედეგებით“), რომელ-

საც ბევრისმტკემელი ქვესათური აქვს: „დაკრძალვის შემდეგ“.

„რუსეთ-საქართველოს ომის შეფასებისას ერთ კითხვას უნდა გავცეთ პასუხი: გვაძლევს კი ამ ომის შემდეგ დაბადებული სამყარო უკეთეს შანსს ლეგიტიმური და სამართლიანი ევროპული წესრიგის დასამყარებლად, თუ პირიქით, ამ წესრიგის მიღწევას ნაკლებად შესაძლებელს ხდის? ამ კითხვაზე ორი შესაძლო პასუხი არსებობს: უკიდურესად პესიმისტური და ზომიერად ოპტიმისტური“.

პესიმისტები იმის მტკიცებას დაინებენ, რომ რუსეთ-საქართველოს ომის უმნიშვნელო მოვლენად გადაქცევით დასავლეთი კრემლს ახალი-სახლი, რათა მისი „წარმატება“ პოსტსტაბილური სივრცის სხვა ადგილებშიც გაიმეოროს და ამით ევროპულ წესრიგზე იმედებს ილუზიად აქცევს.

ოპტიმისტები უფრო იმ მოსაზრებისკენ იხრებიან, რომ რუსეთ-საქართველოს ომით ერთდროულად ორი პროექტი ჩაიშალა: რუსეთის მცდელობა ევროპაში გავლენის სფეროების პოლიტიკის აღდგენის შესახებ და დასავლეთის მცდელობა, აქმენების ევროპა რუსეთის გარეშე.

თუ პესიმისტები მართლები არიან, ჩვენ ხანგრძლივი ღამის ადრეულ სტადიაში ვიმყოფებით. თუ ოპტიმისტების მოსაზრებაა სწორი, ამ ორი პროექტის გარდაცვალება იმას ნიშნავს, რომ დღეს სწორედ ის დროა, როცა მესამე პროექტის შემუშავებაზე უნდა დაიწყოთ ფიქრი.“

ვილაც უთუოდ ფიქრობს მესამე პროექტზე, მაგრამ ეს ვილაც ჩვენს ხელისუფლებაში რომ არ არის, სამწუხარო ფაქტია.

არამაზ სანაბლიძე

როსა «საშენი მასალები მოიპარებოდა»



სიკლიდან „ქანკეი“

რეპლიკა თავისთავად რა ჟანრია, იმის მაგიერი რა უნდა იყოს?! შევეცდები, ავიხსნათ. პატივცემული მიხეილ სააკაშვილი ახლახან ახალი სასტუმრო „რედისონის“, სართულგამრავლებული ყოფილი „ივერიის“, საზიემო გახსნაზე სიტყვით გამოვიდა, ისევე, როგორც ყოველთვის, რამე თუ გაიხსნება საქართველოში — ასკინკილას სათამაშო მოედანი, კენძის სტადიონი, შარაგზის მარჯვენა გასახვევი თუ მესამე კორპუსის მეოთხე სადარბაზო. „რედისონი“ გაგვიკვირებია?!

უნდა კაცს და გამოდის. თავს არ მოვიკლავთ ქართველები, ვისაც პრობლემების იმხელა გროვა დაგვხვავებია, რომ იმის ქვემოდან ხმა არ ისმის გაჭირვებული ხალხის: ისეთი მასა რომ დაგანვება, აი, იმ მთის ოდენა, ბათუმის თავზე პრეზიდენტი მოჭრას რომ უპირებს, იმასლა ფიქრობ, ნეტავი, აქედან ცოცხალი გამოიძვრინა და ხმის ამომღების დედაც ვატყუო.

ყველაზე დიდ პრობლემად საქართველოში სილატაკესა და გაჭირვებას მიიჩნევენ. სწორია, მაგრამ ვითომ ის ნაკლები უბედურებაა, როცა პრეზიდენტი — ერის დროშა და წინამძღოლი

— ისეთი ქართულით ამეტყველებდა, რომ ჯერ კარგად უნდა დაფიქრდე და შემდეგ შეიძლება გაიგო, რისი თქმა სურდა პატივცემულს.

ვუბრუნდები „რედისონს“, ყოფილ „ივერიას“ და ვისმენ (თუ მომიყურა? — როგორც გურიის იტყვიან), რომ საზიზლარი კომუნისტების პერიოდში „საშენი მასალები მოიპარებოდა“. მოიპარებოდა, როგორც მტერი, რომელიც ჩვენს მოცოცავს?! „მტერი ჩვენ ვერ დაგვოცავს“?!

წარმოსახვის რაგინდ დიდი უნარი გქონდეს, ვერ წარმოიდგენ კოლიზიას — როგორ მოიპარება საშენი მასალები.

იპარავდნენო, იქნებ, ამის თქმა სურდა? თქვი მერე, ვინ გომლის!

მოიპარებოდაო! „ჩვენ ვაკეთებთ იქ განვითარებას“ (გუდაურზე ლაპარაკისას რომ გავახარა), იმ გზით ხომ არა? ან, ეგებ, იმ გზით, რომლის „განვითარების გაცემა“ ვერ მოვასწარით და ჯერ კიდევ დარჩა „დინოზავრის ნაკვალევები“?!

მე ამ მარგალიტებს ვიმყოფინებ, დანარჩენი თქვენთვის მომირთმევი, ისეთები, როგორც, მაგალითად, „ცხენის უკანა ნაწილის“ მიშვერავა „ივერიის“ ჩასახლებული ლტოლვილებისთვის და დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქის ბოლოს ისეთ ადგილზე გადატანა, საიდანაც ეს უზრდელობა მთელი თბილისის სახილველად გადაიქცა.

შემოაბრუნე პუნე, მეფეო დავით, და დასძარ ქიზიყისკენ, რომლის „ჩამოხეულკედლებიანი საბჭოთა სოფელი სიღნაღი“ ალაშენა მიხეილმა და ტურისტების საყვარელ ადგილად აქცია.

ისტორიული ქალაქიაო, იტყვი შენ სიღნაღზე, მაგრამ

ჩვენს ტელეორატორს ასე დასჭირდა და ასე ბრძანა — საბჭოთა სოფელი!

რამდენჯერ უნდა დავგამადლოს სიღნაღი? „...სუთჯერ, ექვსჯერ, შვიდჯერ, მაგრამ — რვაჯერ?!“ (რეპლიკა „შუა ქალაქიდან“).

მსგავსად ამისა, შენც რომ მოქცეულიყავ, მეფეო, „გალობანი სინანულისანი“ დასაწერად ვერ მოიცილდი.

ჩვენ კი ვიმეორებენ, გვასმენინებენ და ისევ გვასმენინებენ, რომ „თბილისის აეროპორტი ყველაზე თანამედროვე აღმოსავლეთ ევროპაში“.

თბილისის აეროპორტს აეზადა სახურავი? „ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — სასაცილოა!“ და თავისმართლებს ასეთ მომავლდებულ არგუმენტს წარმოვადგენენ: პარიზის შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტს, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტმა გახსნა, კედელი ჩამოენგრა და 30 კაცი იმსხვერპლაო.

„ასეთი რამ ხდება“.

ხდება, რა თქმა უნდა, ხდება! მოხდა საფრანგეთის რევილუცია, ყველაზე სისხლი-

გურამ ნიკოლეიშვილი:

ანაკლიის და ყულავის ტერიტორიებს ქიმიური ნივთიერებების ტვირთოზიდებისა და ქიმიური ჭურჭლის «სასაფლაოდ» იყენებდნენ

მართალია, დღეს ყველაფერი რუსულის ხსენება აკრძალულია, მაგრამ „გავაკადნიერდები“ და გენიალური რუსი მწერლის მიხეილ ბულგაკოვის ერთ-ერთ შედეგზე „ძალის გულზე“ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას: მოგეხსენებათ, პროფესორი ბორმენტალისა და მისი ასისტენტის მიერ სამედიცინო-სამეცნიერო ექსპერიმენტის შედეგად ლოთი, უხამსი და მანანა (ბომჟი) მამაკაცის სხეულში ძალის გადანერგული გულის წყალობით კაცობრიობას რვოლუციონერი შარიკოვი მოევიწინა, რომლისთვისაც ზრდილობიანად მოქცევა, თავაზიანი საუბარი, ჭამა და, საერთოდ, ყველაფერი ზნეობრივი ერთობ მიუღებელი იყო!!! მკითხველს, ალბათ, ისიც ახსოვს, რომ „ძალკაცა“ შარიკოვს, რაც არ ეზარებოდა, ეს იყო „ბალაღაიკის“ დავა, „ჩასტუმპების“ სიმღერა და მათ შანგებზე „ჩიკა-ჩიკა რამაიას“ ცეკვა! მოკლედ, ბატონ შარიკოვს, დღევანდელი ენით რომ ვთქვა, „შოუ“ იზიდავდა, შოუ, სადაც მხოლოდ მას უკრავდნენ ტაშს!!!



ური ნივთიერებების ტვირთ-მზიდებისა და ქიმიური ჭურ-ვეების ხელოვნურ „სასაფლა-ოდ“ იყენებდნენ!
ამ ადგილებში მდინარეებს — ენგურსა და რიონს უხვად შემოაქვს ზღვაში ნატანი შლაკები, რაც ასეთი ტიპის „სასაფლაოებისათვის“ „ზედ-გამოჭრილი“ იყო, რადგან მა-თი „წყალობით“ ნებისმიერი ნაკვი წყალქვეშა გრუნტში „იმარება“. ყველაზე მეტი ბუნებრივი ნატანი მდინარე ენგურს კი სწორედ ანაკლი-ასთან ჩააქვს და ეს ადგილიც ჩამონერილი, უტილიზაციის-თვის უვარგისი გემებისა და ჭურვების ჩასაძირად ამიტომ იყო შერჩეული

„ძალკაცას“ სუსტი სქესი-სადმიც განსაკუთრებული ძალღური დამოკიდებულება ჰქონდა და მკითხველს, ალ-ბათ, ის ეპიზოდებიც ემახს-სოვრება, რა დღეში ჰყავდა შარიკოვს პროფესორი ბორ-მენტალის მოსამსახურე გო-გონა, რომელსაც თავისი ცხოველური ვნებების დასაკ-მაყოფილებლად ხან ერთ კუთხეში მიიმწყვდევდა, ხან — მეორეში.

კის თვალსაზრისით — დამ-ღუპველი, გვეუბნება ბუ-ღაკოვი და მაგალითისთ-ვის ექიმი ბორმენტალისა და მის მიერ „კაცადქცეული ძალის“ ისტორიას გვთავა-ზობს, სადაც ცხადად ჩანს, კაცობრიობა რა საფრთხის წინაშე დადგებოდა ასეთი „ნაჩალნიკ-პრავიტელის“ მომრავლების შემთხვევაში, თუკი შარიკოვის შექმნილი საუკრიბო სხვა ექიმბაძე-ღებს რა დაღვეს დედამინის ზურგზე!

აქედან გამომდინარე, ერთმა ახალმა თბილისურმა ანეკ-დოტმა არ დაახანა: მსოფ-ლიო მედიკოსთა სიმპოზიუმზე სხვადასხვა ქვეყნის ექიმე-ბი თავიანთი მიღწევებით წარდგენ კოლეგების წინაშე. იაპონელები ჰყვებიან: შარ-შან უსიცოცხლო, დანერგ-ზებული ხელის მტვეანი მოგ-ვიტანეს. მივაკერეთ იგი უხე-ლო პაციენტს და დღეს, ჩვენ მიერ ჩატარებული ექსპერი-მენტის წყალობით, პაციენტი მას, როგორც ბუნებრივს, ისე ხმარობს! გერმანელმა ექი-მებმა თავის ტვინის გადანერ-გვით მოინონეს თავი და თან დასძინეს: დღეს ჩვენი პაცი-ენტი ნორმალური განვითა-რების ადამიანზე ერთი საფე-ხური თითქმის ყველა ქვეყ-ნაში უამრავი ადამიანი დადის გადანერგული გულით, თირ-კმელით, კუჭით, თმით და ა.შ., მაგრამ, როგორც ეტყო-ბა, ბულგაკოვისეული შოში და სიფრთხილე (გადანერგი-ლი ორგანოების მიმართ) კვლავაც აქტუალურია და,

თავთ მათთვის. „ჩვენ ერთმა ახალმა ქართველმა და მისმა მეგობარმა ამერიკელებმა ერთი კვერცხი შემოგვანერგეს, მივაკერეთ მას ახალგაზრდა ყმანვილის თავი და... დღეს ამ ექსპერიმენტის ნაყოფი ალ-ექსანდრიის შუქურასავით ანათებს მთელ კავკასიაში“, — უთქვამთ ქართველებს. ექსპერიმენტალურ მედი-ცინას თავი დავენებოთ და სა-ანაკლიის მიერ ამასწინათ ანაკლიაში „დაგუგუნებული რეჩი“ გავიხსენოთ:

ანდა აფხაზები, მაინცდამა-ინც აქეთ — ანაკლიაში რა-ტომ ჩამოვლენ დასასვენებ-ლად, იქნებ, უფრო ფართოდ გავვიშალო თემა?
ჯერ ერთი, საკურორტო ზო-ლის მშენებლობაცა და ტუ-რიზმის ინფრასტრუქტურის განვითარების გეგმაც ბუნე-ბრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით დგებოდა ყოველთვის და აჭარა რომ უხ-ვნაღვლეიანი, არ იცოდით?

მიხეილ ბულგაკოვის უბ-ადლო ლიტერატურული ენა („მპატიოს“ დღევანდელმა ხელოსნულმა, მაგრამ „ძა-ღლის გულ“ და სხვა მრავა-ლი რუსული შედეგებიც დე-დანში მაქვს ნაკითხული), ნა-ნარმოების შინაარსი და მთლიანობაში მისი პათოსი (ჩემი აზრით) სხვა არაფერია, თუ არა შიში და სიფრთხილე აკვიტებული (შესაძლოა, და-ნაშაულებრივიც) სახიფათო ექსპერიმენტების მიმართ!
თუკი ექსპერიმენტი მე-დიცინის თვალსაზრისით გამართლებულია, პოლიტი-

ორგანოების ტრანსპლანტა-ციით და ურთულესი მიკრო-ქირურგიული ოპერაციებით ვერავის გააკვირვებ. მსოფ-ლიოს თითქმის ყველა ქვეყ-ნაში უამრავი ადამიანი დადის გადანერგული გულით, თირ-კმელით, კუჭით, თმით და ა.შ., მაგრამ, როგორც ეტყო-ბა, ბულგაკოვისეული შოში და სიფრთხილე (გადანერგი-ლი ორგანოების მიმართ) კვლავაც აქტუალურია და,

„ასეთი ქვიშა (ხელიდან ხელში ქვიშას იყრის და დიდი სპეციალისტივით აფასებს, — ი.გ.) მე მსოფლიოს არც ერთ სანაპიროზე არ მინახავს, ევ-როპაში — მითუმეტეს! დაი-მასხვრეთ ჩემი სიტყვები: აქ, ანაკლიაში 2-3 წელიწად-ში ისეთ კურორტს ავაშე-ნებთ, რომლის ბადალი მთელ ევროპაში არ იქნება (ხელის-გულზე დაყრილ ქვიშას ალ-ტაცებით და სიყვარულით დასცქერის)! ნალექების რაო-დენობა, ბათუმთან შედარე-ბით, ანაკლიაში 4-ჯერ ნაკ-ლებია და ამიტომ ტურისტე-ბის მოსაზრებად ეს ადგილი ერთ-ერთი უნიკალურია! აქედ-დან რამდენიმე კილომეტრში რუსი ოკუპანტები დგანან და სწორედ მათ ჯინაზე ჩვენ, დიას, მათ ჯინაზე, არა მარ-ტო მთელი მსოფლიოდან, არამედ აფხაზეთიდანაც მი-ვიღებთ დამსვენებლებს და დიამასხვრეთ ჩემი სიტყვე-ბი, რომ ეს მალე მართლაც ასე მოხდება!“

„სადაც ყოფილი „ივერია“, როგორც თბილისის ცას აფა-რებული მალევიჩის „შავი კვადრატი“, შუშის კედლებში ჩატანებული ჩვენი სირცხ-ვილ-ნამუსით, და დავით მე-ფის ძეგლის ნაფუძარზე აგ-ღია ლოდი, რომელსაც ანე-რია: „აქ დაიდგება...“

ნელს რომ ვითომ 3 მილი-ონამდე დამსვენებელი გვე-ავდა, ეგ იმის ბრალი იყო, რომ „ღარბ“ სომხებს და „მდიდარ“ ქართველებს სხვა-გან ნასასვლელი არ დაუტო-ვე პირადად შენ, დე ფაქტო პრეზიდენტმა მიხეილ საა-კაშვილმა!
ახლა ანაკლიაში რომ „და-ჰკარ ბარი“ და აქ „კურორ-ტის აღმშენებლობა მიბრძა-ნებიაო,“ — განაცხადე,

ანი სახელმწიფო გადატრია-ლება. თბილისშიც რომ იგივე მომხდარიყო, მერე ვინ იტყო-და — „ჰა, ჰა! სასაცილოა“?
— „Шутишь, парниша“, — იტყოდა პასუხად ელოჩკა შჩუკინა-ლუდოევკა, რაც ქართულ სლენგზე ნიშნავს — „მიშა მაგარია!“

რელით გამოცემულ წიგნში ამოვიკითხე. ეს წიგნი „რუსი ფილოსოფოსები დემოკრა-ტიასა და რევოლუციასზე“, ნ. ბერდაიევი, ს. ფრანკი, ს. ბულგაკოვი, ბ. კრისტინოვი, 1994 წელს გამოიცა დემოკრა-ტიის ეროვნული ფონდის (ვა-შინგტონი, აშშ) სახსრებით.

ტელეორატორს?
მე მხოლოდ ვკითხულობ. თუ რაიმე მინიმუმას აღმოაჩენთ, სემიონ ფრანკს მოჰკითხეთ და ყველა პრეტენზიით მიმართეთ მისი და სხვა ფილოსოფოსთა ესეების ქართულად მთარგმ-ნელსა და გამომცემელს — მშვედობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიურ ინს-ტიტუტს ამერიკელ დამფინან-სებლებთან ერთად.

შენს პირს ჰალსტუხი და „გრეჩისას“ „ბებოს“ კაკლის მურაბა, ჩემო მიშკო, მაგრამ მეც და ძალიან ბევრსაც რომ გაგრა, სოხუმი, ლიძია, ბიჭ-ვინთა და რინა გვენატრება, იქ გვინდა ჩასვლა და შენგან დასვენება, რით გვანუგებებ?

პირველი და მეორე მსოფ-ლიო ომების შემდეგ ანაკლი-ისა და ყულავის ტერიტორი-ებს სამხედრო გემების, ქიმი-

ჩვენ აქ თავს ვურტყამთ კე-დელს, რადგან ცერცვის სა-ყილად სამყოფი სახსრები, აბა, სადა გვექვს?! ორატორი კი თავის ამპლუაშია და მჭევრმეტყველებს, რაღაც ნ თვის „ცდაზე“: უნდოდა ეთქ-ვა — დაცდა, ანუ — დაყოფ-ნება.

იდეა, რომელზეც ჩვენი ერთ-გული მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ, ამ წიგნში წარმოდგე-ნილ რუს ფილოსოფოს სემიონ ფრანკს ეკუთვნის. ესეში „დეს-პოტიზმის ფილოსოფიური ნაწამდღვრები“ იგი ხაზგასმით ლაპარაკობს შუშის კედლებში-ბის დომბაშზე და მიიჩნევს, რომ სწორედ ეს დომბაშია ის მთავარი საყრდენი, რომელსაც ეფუძნება ყველა სოციალური სისტემა, ყველა რელიგია“ (ფი-ლოსოფოსი კათოლიციზმს გა-ნიხილავს მაგალითად, — ლ.გ.) და ა.შ. იგი ამტკიცებს, რომ სწო-რედ უცდომლობის იდეა დეს-პოტიზმის ჭეშმარიტი და უღ-რემესი ნაწამდღვარი. იგი „უღუ-ღებულყოფს ადამიანთა შო-რის თანასწორუფლებიანობას და მორწმუნეს (ამ იდეით შევს-რობოს, — ლ.გ.) ანიჭებს მი-ნაგან უფლებას, ადამიანებზე დესპოტურად იბატონოს“ (იხ. დასასრულებული წიგნი, გვ. 137-158).

დგას ყოფილი „ივერია“, როგორც თბილისის ცას აფა-რებული მალევიჩის „შავი კვადრატი“, შუშის კედლებში ჩატანებული ჩვენი სირცხ-ვილ-ნამუსით, და დავით მე-ფის ძეგლის ნაფუძარზე აგ-ღია ლოდი, რომელსაც ანე-რია: „აქ დაიდგება...“

შენს პირს ჰალსტუხი და „გრეჩისას“ „ბებოს“ კაკლის მურაბა, ჩემო მიშკო, მაგრამ მეც და ძალიან ბევრსაც რომ გაგრა, სოხუმი, ლიძია, ბიჭ-ვინთა და რინა გვენატრება, იქ გვინდა ჩასვლა და შენგან დასვენება, რით გვანუგებებ?

პირველი და მეორე მსოფ-ლიო ომების შემდეგ ანაკლი-ისა და ყულავის ტერიტორი-ებს სამხედრო გემების, ქიმი-

მკითხველი რომ არ მოვაც-დინო, სათქმელის ბოლოს გავდივარ და დაუფარავად გვეუბნებით, რომ მშობლიური ენისადმი ასეთი დამოკიდე-ბულება სულაც არ არის სა-ღალობო და საცინარი.

უამრავი ახსნა მოქმდებნება ამგვარ გალიმატიას — ლექ-სიკური მარაგის სიმწირიდან მოყოლებული, აგდებული დამოკიდებულებით დამთავ-რებული, და ყველა ექნება სერიალური საფუძველი, მაგრამ ჩემი ყურადღება ერ-თმა გამორჩეულმა დასკვნამ მიიპყრო, რომელიც ამათი იდეოლოგიის გია ნოდის მი-ერ შედგენილ, მისივე რედაქ-ტორობითა და შესავალი წე-

მიველ, ვნახე: არაფერიც არ ანერია. ლოდი.
რა უნარია „რეპლიკის მა-გიერ“?
დაგვირდით და გიპასუხ-ებთ: როცა ტელევიკრანიდან მოისმენ იმას, რითაც „რედი-სონის“ გახსნაზე ვაგვაბედ-ნიერეს და ორატორული ხე-რობის, — ლ.გ.) ანიჭებს მი-ნაგან უფლებას, ადამიანებზე დესპოტურად იბატონოს“ (იხ. დასასრულებული წიგნი, გვ. 137-158).

შენს პირს ჰალსტუხი და „გრეჩისას“ „ბებოს“ კაკლის მურაბა, ჩემო მიშკო, მაგრამ მეც და ძალიან ბევრსაც რომ გაგრა, სოხუმი, ლიძია, ბიჭ-ვინთა და რინა გვენატრება, იქ გვინდა ჩასვლა და შენგან დასვენება, რით გვანუგებებ?

პირველი და მეორე მსოფ-ლიო ომების შემდეგ ანაკლი-ისა და ყულავის ტერიტორი-ებს სამხედრო გემების, ქიმი-

რას შეხება ყულავს, იქ გაუიწეული სპაერო სამხედრო კალაში დიდკალ ჭურჭებს აგდებდნენ, რადგან „ჭაოზის“ პრინციპით, „მასა“ დროთა განმავლობაში უსკარისკან მიიწიდა და, აქედან, „ჭურჭების სასაფლაოს“ გარშემო დასახლებული მოსახლეობისთვის არ წარმოადგენდა.

— ბატონო გურამ, ანაკ-ლიაში ჩაძირული გემები დღეს თუ წარმოადგენს რაი-მე საშიშროებას, თუნდაც იმ კუთხით, რომ ზოგიერთი მათგანი ქიმიური ნივთიერე-ბების ტვირთმზიდები იყო?
— რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ არ ვიცით, რა ნივთიერებების გადაზიდები იყო ის გემები? ანაკლია და მისი აკვატორია რომ „გემების სასაფლაოა“, ყველა პროფესიონალმა სამ-ხედრო იცის და, როგორც იტყვიან, მე ახალს არაფერს ვამბობ.

ირინე ბოგოსაშვილი

უკანონო პატივსაცემი მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ითხოვს

მკვლელობაში ბრალდებული ემზარ ჯაყელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიის მოსამართლემ ეკა არეშიძემ დარბაზიდან გაათავისუფლა. მას პროკურატურა 35 წლის სერგო კირთაძის მკვლელობაში სდებდა ბრალს, თუმცა პროკურატურამ საქმეში მტკიცებულებების არარსებობის გამო ჯაყელის ბრალეულობის სასამართლოში დამტკიცება ვერ შეძლო. ჯაყელის ოჯახის წევრების განცხადებით, უკანონო პატივსაცემი ყოფნის პერიოდში მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გართულდა და მორალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ, თუმცა კონკრეტული თანხა ამ ეტაპზე არ სახელდება.



ლი პირველად მან ნახა, მაგრამ ვერ ამოიცნო. „დაახლოებით დილის ოთხ საათზე სახლიდან სამსახურში წასასვლელად გამოვედი. უპატრონო ბავშვთა სახლის ეზოს რომ მივუახლოვდი, მზარეულმა ქალებმა დამიძახეს და მიიხრეს, — ნახე ეზოში რა გვინდა. მივადი, სათბაველა ავანთი და მიცვალავალი დავინახე, თავდაღამ ებლო... არც სახეზე შემიხედავს და არც სუნთქვა მისმოდა.“

საქმე აღიძრა სს კოლეგიის 108-ე მუხლით — განზრახ მკვლელობისათვის, რაც 7-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მკითხველს შევახსენებთ, რომ მკვლელობა 5 წლის წინათ წყნეთის უპატრონო ბავშვთა სახლის ეზოში მოხდა. პოლიცია ჯაყელს 5 წლის მანძილზე ეძებდა და მისი დაკავება 2008 წლის 3 ნოემბერს მოახერხა. ბრალდებული დაკავებულად სასამართლოს დასრულებამდე დუმილის უფლებით სარგებლობდა და წარდგენილ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ თვლიდა.

ფორია ჯაყელისა და კირთაძის ხმაელადა საუბარმა გამოაღვიძა. ისინი საერთო ნაცნობის, ვინმე „შუტკას“ გამო კამათობდნენ. ჯაყელმა კირთაძე გარეთ გაიხმო, კირთაძე გასვლამდე მამფორიასთან შევიდა, ქურთუკი აიღო და სხხოვა, დაეძინა; გასვლისას დაუბარა, რომ მალე დაბრუნდებოდა... დაწყებული კამათი გარეთ გასვლის შემდეგ ჩხუბში გადაიზარდა.

ისევე სახლში შებრუნდა. დილით ქუჩიდან ჩოჩქოლი შემოესმა, გარეთ გასულმა მოკლული კირთაძე იხილა. ბრალდებული ჯაყელი წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს მსვლელობის პროცესშიც დუმილის უფლებით სარგებლობდა. მისი ადვოკატი კი ირწმუნებოდა, რომ მკვლელობის ღამეს ჯაყელი საერთოდ არ იმყოფებოდა წყნეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთადერთმა

ორჯერ დაუქმებ, მაგრამ პასუხი არ გამცა. მაშინვე დარაჯთან მივედი და ვუთხარი, პოლიციასა და სასწრაფოში დაერეკა. მე კი სახლში გამოვბრუნდი და დედაჩემი და მეზობლები გავაღვიძე... ნინო მამფორიაც გამოვიდა,

პოლიცია პირდაპირ მეუბნებოდა, რომ მივახსნა ისეთი ჩვენება, როგორც ჯაყელის დანაშაულს დაამყარებდა. მათი სახელები და გვარები არ მახსოვს, მაგრამ ერთ-ერთი გამოძიებელი იყო.

განაწყენებულმა ჯაყელმა შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, კირთაძეს გულმკერდის არეში დანიშნა ჭრილობა მაყენა, რის გამოც იგი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ჯაყელი შემთხვევის ადგილიდან მიიძალა,“ — მკვლელობის ამ ვერსიას თბილისის პროკურატურის საპროცესო განყოფილების პროკურორი მიხეილ ჩხეიძე ამტკიცებდა. მისივე მტკიცებით, 2003 წლის 8 თებერვალს, დაახლოებით დილის ოთხ საათზე, ნინო მამფორიას გაეღვიძა. კირთაძე სახლში არ დახვდა, მის მოსაძებნად გარეთ გავიდა, თუმცა სიბნელებაში ვერაფერი დაინახა და

მომემ ირაკლი შავგულიძემ, რომელსაც ბრალდება ეყრდნობოდა, სასამართლოში ჩვენება შეცვალა, რისთვისაც იგი პროკურატურამ ჩვენების შეცვლისათვის დააკავა. შავგულიძის ჩვენებით, ემზარ ჯაყელი მისი ბავშვობის მეგობარია. როგორც თავად იხსენებს, მოკლუ-

მკვდარი რომ ნახა, ტირილი დაიწყო. თურმე იმ საღამოს კირთაძე მასთან ყოფილა და ჯაყელს გაუცხობდა. ნინომ მიიხრეს, რომ კირთაძე ჯაყელმა მოკლა. ნინო მამფორია ჩემი გარდაცვლილი ბიძაშვილის ცოლი იყო. ა. კირთაძე ნინომ თავის ნათესავად გამაცნო.

სახელმწიფო ბრალდებალი სასამართლოს უმტკიცებდა, რომ 2003 წლის 7 თებერვალს ემზარ ჯაყელმა სერგო კირთაძე მოკლა.

პროკურორი საბრალდებო დასკვნაში წერს, რომ მკვლელობის მოტივი უბრალო შეკამათება გახდა. „2003 წლის 7 თებერვალს, დაახლოებით 12 საათზე, ნინო მამფორია შინ მეგობართან სერგო კირთაძესთან ერთად დაბრუნდა. სახლში შესვლისთანავე მათთან სტუმრად მივიდა ნახევარმდგომარეობაში მყოფი ემზარ ჯაყელი, რომელმაც მისვლის მიზეზი იმით ახსნა, რომ ქუჩაში პოლიცია დაახლოვდა და მასთან შეხვედრას მოერიდა. ჯაყელმა და კირთაძემ ერთმანეთი გაიცნეს, ისაუბრეს. ნინო მამფორია კი ამ დროს მეორე ოთახში შვილს აძინებდა და თვითონაც ჩაეძინა. ცოტა ხანში მამ-

აფხაზეთიდან დევნილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ინვალიდები ოთხი წელია, ხელისუფლებისგან პასუხს ელიან

აფხაზეთიდან დევნილი მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ინვალიდებმა, რომლებიც ამჟამად ზუგდიდში ცხოვრობენ, ოთხი წლის წინათ განცხადებით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და პრემიერ-მინისტრს (ამჟამად მათგან მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი თანამდებობაზე), მაგრამ პასუხის ღირსნიც არ გამხდარან, ამიტომაც ვეტერანმა დევნილებმა გადაწყვიტეს, „საქართველო და მსოფლიოს“ საშუალებით ისევე შეესხენიანთ თავიანთი გულისწინა ხელისუფლებისათვის.

„ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილებს, პირველ რიგში, ჩვენი წინაპრების საძვალეში დაბრუნება გვსურს. სამწუხაროდ, ვეტერანები უყურადღებოდ ვართ მიტოვებული. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 60 წლისთავზე ჩვენი ხსენებაც არ იყო. უბრალოდ, მოლოცვაც დაავიწყდათ, ჯილდოს გადაცემაზე აღარაფერს ვამბობ. აფხაზეთში კი ვეტერანებს სახლში მიუტანეს 60 წლისთავის აღსანიშნავი მედლები და ფულადი თანხა საჩუქრად. აქ კი კვლავ გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება ვეტერანებზე და ომში დაღუპულთა ქვრივებზე პენსიის ძირითადი კანონის მიღება. 1996 — 1997 წლებში დაგვიპირდნენ, რომ 2004 წლის იანვრიდან ვეტერანების პენსია 129 ლარი გახდებოდა. 2003 წლის 31 დეკემბერს ეს კანონი, ანუ მე-60 მუხლის ამოქმედება 2005 წლის იანვრამდე გადაიდო. 2004 წლის 29 დეკემბერს ვადა 2006 წლის პირველ იანვრამ-

დე გადაიხსნა, ხოლო 2006 წლის დამდეგს პენსიის გაანგარიშებზე მე-60 მუხლი საერთოდ ამოიღეს. ამგვარად გაქრა დაპირებული 129 ლარი! ჩვენი, ვეტერანთა, რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება, რადგან ყველანი 80 წელს ვართ გადაცილებულები, ამიტომ გეჭირდება განსაკუთრებული ყურადღება, საარსებო მინიმუმი. მაქსიმუმ 5 წელიწადში, ალბათ, სანთლით საძებარნი ვიქნებით. ძალიან ბევრი ვეტერანი გარდაიცვალა საკვებისა და მკურნალობის სახსრების უქონლობით“ — ნათქვამია ოთხი წლის წინათ დაწერილ განცხადებაში, რომელსაც ხელს 31 ვეტერანი დევნილი აწერდა, მათგან ცხრა უკვე გარდაიცვალა. თუ ხელისუფლებამ მართლაც არ იზრუნა ამ ომგამოვლილ, ფაშისტების დამარცხებულ ადამიანებზე, მართლაც, რამდენიმე წელიწადში ისინი ზეციურ საქართველოში დაიკვიდრებენ ადგილს.

ლადო ქირია

სიმატლის თქმისთვის მონაწილე სასამართლოს უნობასთან დააკავს

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 3 სექტემბერს მომხდარი ფაქტი, ალბათ, დიდხანს დარჩება ქართული მართლმსაჯულების „უბადლო შედეგად“. მოწმე სიმატლის თქმისათვის დაკითხვიდან 5 წუთში პოლიციელებმა ძალის გამოყენებით დააკავეს.

ეს ამბავი აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას სასამართლო პროცესზე მოხდა, რომელიც იარაღის შექმნა-შენახვის მოტივით არის დაკავებული. მოსამართლე დავით კეკელიძე, პროკურორი დიტო ხვიტია და ვახანიას ხუთი ადვოკატი (მათ შორის, ლალი აფციაური) ითქმის 2 საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ მთავარ მოწმეს, ვლადიმერ ვახანიას კარის მეზობელს — ჯამბულ ჩიქოვანს (ადვოკატ ჯონი ზარანდიას განმარტებით, ჩიქოვანი მოიქცა ისე, როგორც ჩიქოვანებს ეკადრებოდა), რომელმაც საკუთარი თვალთი იხილა ვლადიმერ ვახანიას დაკავების უმსგავსო პროცესი.

ჯამბულ ჩიქოვანს მოულოდნელად თავს დაესხნენ პოლიციელები და ძალის გამოყენებით უამრავი ხალხის თვალწინ ნივილი-კივიის ფონზე ჩატენეს მანქანაში და სამხარეო პოლიციაში გააქანეს. შესვენების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ადვოკატებმა იერიში პროკურორ დიტო ხვიტიაზე მიიტანეს. მათი განცხადებით, ჯამბულ ჩიქოვანის დაკავება კანონის უხეში დარღვევით მოხდა, რომ მსგავსი რამ მათ არც უნახავთ და არც სმენიათ, დიტო ხვიტია კი „ოლიმპიური სიმშვიდით“ უსმენდა ადვოკატების ბრალდებასა და ჯამბულ ჩიქოვანის ახლობლების წყევლას-კრულვას.

აღფთოვებულმა ადვოკატებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს სასამართლო დარბაზი, პროცესის გაგრძელებაზე უარი განაცხადეს ვლადიმერ ვახანიამაც, რომელმაც ხმაელა აღნიშნა, რომ მისი დაკავების ოქმი თავიდან ბოლომდე გაყალბებულია. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სიმატლისმთქმელ ჯამბულ ჩიქოვანს ჩვენების შეცვლის ბრალდებით 2-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. არადა, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომ ჩიქოვანის მიერ მიცემული პირველი ჩვენება და ხელმოწერა გაყალბებულია. მსჯეტემბერს განახლდა სასამართლო სხდომა. უნდა დაეკითხათ, ასევე, მთავარი მოწმე მინდია მაქაცარია, მაგრამ პროცესზე იგი არ გამოცხადდა, რადგან მასაც იგივე ბედი მოელოდა, რაც — ჯამბულ ჩიქოვანს, რადგან თუ სიმატლის იტყოდა არა იმას, რასაც პროკურორი აძალბებდა, მასაც დაი-

ჭერდნენ. ამის დადასტურება იყო ის, რომ სასამართლოს ტერიტორიაზე უამრავი პოლიციელი იმყოფებოდა. ადვოკატებმა დააყენეს საკითხი, რომ საწამ არ იქნება გარანტია მოწმის დაცულობისა და უსაფრთხოებისა, მის მოსვლას აზრი არ აქვს, რადგან მოსამართლე დავით მითხოვა მისი იძულებითი წესით გამოცხადება სასამართლოში.

მსჯავრდებული ვახანიას ხუთივე ადვოკატმა დააყენა საკითხი პროკურორ დიტო ხვიტიას აცილების შესახებ, რადგან იგი მოწმეებზე ახორციელებდა ზეწოლასა და მუქარას. მოსამართლე დავით კეკელიძემ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მაშინ ადვოკატებმა თვით კეკელიძის აცილების საკითხი დააყენეს, რადგან იგი მიკერძოებული და სუბიექტურია და ასეთი პიროვნება ობიექტურ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. კეკელიძემ თავისი თავის აცილების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და განაცხადა, რომ ის არის ობიექტური და ვერ ხედავს მისი და პროკურორის აცილების აუცილებლობას.

სიტყვით გამოვიდა ვლ. ვახანია და აღნიშნა, რომ მის მოწმეებზე ხორციელდება ზეწოლა და მუქარა. პირველად ჯერ დააპატიმრონ მთავარი მოწმე თენგიზ კალანდია (მას ნარკოტიკი ჩაუდეს), მერე — მეორე მოწმე ჯამბულ ჩიქოვანი, ახლა უნდა დააპატიმრონ მინდია მაქაცარია და ასეთი პირობებში სასამართლო პროცესის ჩატარებას არავითარი აზრი არ აქვს.

ვახანია და ადვოკატები, ასევე, ახლობლები სასამართლოსგან ობიექტურობას არ ელიან, ისინი მოითხოვენ თვით სამართალმცველებს — ხვიტიას, კანკასა და შენგელიას დასჯას, რადგან მათ ფაქტი გააყალბეს.

ლადო ქირია, ზუგდიდი

საქართველოში პატივების რისკის კოლოსალური ზრდა «აიპაის» პროგრამას და უსსოურ განვითარებას უკავშირდება

პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე
განცვიფრებას ვერ მალავს იმის გამო, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს ხელისუფლება რამდენიმე ახალი საპრობლემის აშენებას ახერხებს და ყოველივე ამის უკან უცხოური გრანტებისა და პატივების რაოდენობის კიდევ უფრო გაზრდის საშიშროებას ხედავს.



დიმიტრი ლორთქიფანიძე: ეროვნულ უსსოურებაზე უნდა იფიქროს, რომ მათი დადასტურება არის თბილისი და არა – ბაქო ან ერევანი

— ბატონო დიმიტრი, ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, რომ ციხეებში პატიმართა მასობრივი ნაშენება გამეფებულია...
— დიახ, მასობრივი პერმანენტული ნაშენება ის, რომ ოც დაგილზე გყავს 50 პატიმარი; ნაშენება ისიც, რომ მათ უკეტავ ე.წ. კარმუშკას, აკლეს უანგბადის იმ მინიმუმს, რომლითაც ადამიანმა, გამოძლიანარე თავისი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებიდან, უნდა ისუნთქოს! როცა ადამიანს ყოველდღიურად, საღამოს 8 საათიდან დილის 11-12 საათამდე, ამ ვითარებაში ამყოფებ, ეს ნაშენება, შეფარული, ბნელი ტერორი და, როგორც მოგახსენეთ, მას პერმანენტული ხასიათი აქვს! ციხეების გადატვირთვის პრობლემა რომ არახალია, ცხადია; მაგრამ მინდა, გითხროს, რომ, როდესაც ჩემს მოლოდინს კოლეგებს შეგხვდები, სირცხვილით თავი სად წამოღებ, არ ვიციოდი...
— რატომ?
— საბჭოთა საქართველოს დროსაც კი პატიმართა რაოდენობა 11 ათასს არასციფნია და ეს მაშინ, როცა მოსახლეობის რაოდენობა 5,5-6 მილიონს აღწევდა! დღეს, როცა 20 ათასზე მეტი პატიმარი ჩვენში, სამსუნხაროდ, კითხვას არავინ სვამს: რაშია საქმე, რა ხდება, რატომ გვყავს ამდენი პატიმარი? ვახსოვთ, პრეზიდენტმა პარლამენტის ტრიბუნაზე რომ მოუწოდეს საბურთალოს მუშაკებს: ნულო-

ვანი ტოლერანტობა, არავითარი პირობითი სასჯელი და ყველანი ციხეში? ე. ი. რა განსაზღვრება გახდა სტიმული იმისა, რომ დამოუკიდებელი სამართლის ფუნქცია აღასრულა ერთადამიანმა, ერთმა პირმა — საქართველოს პრეზიდენტმა, რაც ორი სიტყვით გამოხატა: «ყველა ციხეში!» და, მართლაც, ასე აღმოჩნდა! აბა, სხვა რას უნდა მივაწეროთ 20 000 ადამიანის საპრობლემის გამოკეტვა?
— სხვათაშორის, პატიმართა რაოდენობის გაზრდას ექსპერტები უცხოურ გრანტებს უკავშირებენ; თქვენ რას ფიქრობთ, მართლაც ასე?
— ეს მოსაზრება, რა თქმა უნდა, ახლოსაა რეალობასთან და მოგახსენებთ, რატომ: «აიპაის» პროგრამა, მოგეხსენებათ, პირველი ნაბიჯი იყო ნატოში გაწევრების, ანუ «მაპის» მიღებამდე! «აიპაისი» განსაზღვრული იყო, რომ საქართველოს უნდა ეთავადა აუშენებინა ახალი სასჯელის რეალობითი დაწესებულებები, რაც, თავისთავად, ცუდი არ იყო იმ გადასახედებიდან, რაც ჩვენს საპრობლემებში ხდებოდა. ევროსტანდარტით აშენებული ამ ტიპის ახალი დაწესებულებები, რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, მაგრამ რაოდენობრივად ამ ყველაფერმა არახალი სახე რომ მიიღო, ამაზე დაფიქრებდა კი ნამდვილად ღირს! დღეს მართლადმცველებს: ნულო-

ლაითურში კიდევ ერთი ახალი საპრობლემი შენდება დაახლოებით 20 000 პატიმარისათვის! საჭირო თანხების მოზიარება მშენებლობისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თითქმის წარმოუდგენელია. როგორც ჩანს, არსებობს სხვა თანხებიც, რითაც ეს მშენებლობები ასე წარმატებულად ფინანსდება. მაგ., ევროკავშირის გრანტებით უკვე აშენდა რუსთავის №6 და შენდება რუსთავის №1 დაწესებულებები, თანაც, გამალებული ტემპებით! მშენებლობაში, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია, მაგრამ არ მინდა, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ციხეებში ვიხილო და ის ტენდენცია გაგრძელდეს, რაც დღეს დაპატიმრებული ან დასაპატიმრებელი ადამიანების კუთხით არსებობს!
— ამბობენ, რომ სექტემბრიდან პატიმართა ახალი ამისტია იგეგმება... შესაძლოა, ეს პუმანური აქტი არჩევნებსაც უკავშირდება...
— აბა, რატომ, როგორც ცნობილია, განთავისუფლებული პატიმარებიც და მათი ნათესავებიც ხელისუფლებისათვის, «ხმათა» კარგი რეზერვია...
— შეგახსენებთ, რომ შეწყალვის კომისიას არ აქვს უფლება, მიიღოს ისეთი განცხადებები, რომელთა აღწერის საფუძველზე დაწესებული იქნა პატიმარი, ამაზე დაფიქრებდა კი ნამდვილად ღირს! დღეს მართლადმცველებს: ნულო-

ვლისთვის კი — სასჯელის მესამედი. 2008 წლის დეკემბერში პრეზიდენტის უშუალო ხელმოწერითა და უშუალო მონაწილეობით შეწყალებული იქნა 300 პატიმარი, კანონით დაშვებული იმ წესებდაქვემდებარებული პატიმარების გარდა, რომლებიც ნახევარ ვადაში უნდა ყოფილიყვნენ შეწყალებულები! მოგვიანებით კი პრეზიდენტმა ბრძანა, რომ: «ამის შემდეგ სიების შეცურება-შემოცურება» აღარ იქნება, მაგრამ კითხვას ვასუსხი, თუ რატომ მოხდა ეს — არ გაცემულა! არადა, პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ პატიმართა შორის ძალიან ბევრი იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სასჯელს იხდიდნენ 109-ე, 103-ე, 179-ე, 178-ე მუხლებით და ა.შ. ისიც ვახსოვთ, ალბათ, რომ ხელისუფლებას ჩვენი და საზოგადოების ძალიან მკაცრი კრიტიკის შემდეგ უხერხულობები შეექმნა.
— ბატონო დიმიტრი, ლაპარაკია, რომ 28 პოლიტიკური პატიმარი შესაძლოა, სულ მალე გაათავისუფლონ. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამის თაობაზე?
— ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ფედერაციამ ვეროპატიმარს უკვე გაავაზნა პირველი სიგნალი იმის შესახებ, რომ საქართველოში «საპილოტო საქმეების» გადასინჯვა უნდა დაიწყო! მათ დასკვნაში პირდაპირ წერია შემდეგი: ამ პატიმართა პირები ძალიან ახ-

ლოსა ადამიანის უფლებების დაცვის იმ დეკლარაციის დარღვევებთან, რომლის შემთხვევაშიც პირი შეიძლება ჩათვლილი იყოს პოლიტიკური პატიმარი! ანუ ეს ფედერაცია პირდაპირ კი არ დებს დასკვნას, რომ ჩვენ გვყავს პოლიტიკური პატიმარები, მაგრამ პირდაპირი წესით კი მიუთითებს, რომ ევროსაბჭოს აძლევს რეკომენდაციას და ჩვენს ხელი-საფულეებსაც, რათა ამ ადამიანების საქმეები ხელახლა გადაისინჯოს! ხელისუფლება კი სირაქლემსავით იქცევა, მაგრამ მე ის უფრო მიკვირს, სად არიან სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, რატომ არ იღებენ იმ გამოწვევას, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ფედერაციამ გააუღერა? ვიმედოვნებ, რომ ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაცია, როგორცაა «ჰუმან რაით ვოლტი» და «ემენსტი ინტერნეიშლი» დაიწყებენ ამ საკითხზე მუშაობას და დადებენ შესაბამის დასკვნას!
— სხვათაშორის, თქვენ მიერ ჩამოთვლილი ორგანიზაციების უშუალო რეკომენდაციებით ახერხებულა უამრავი პატიმარი განთავისუფლდა...
— 9 თებერვალს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილხამ ალიევის მეუღლის მეჭობიან ალიევას უშუალო თაოსნობითა და თანამონაწილეობით 17 000 პატიმარი იქნა შეწყალებული! მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებამ 5 წლის განმავლობაში ეს უკვე მესამედ გააკეთა... საქართველოს ხელისუფლება პატიმარების რიცხვის შემცირებას, რატომღაც, არ ჩქარობს და შესაძლოა, პასუხი კითხვაზე «რატომ?» სწორედ იმ მავნებელ სექტემბერში, რაც ციხეების მშენებლობებს და მასთან დაკავშირებულ «გრანტებსა» თუ სხვა მაქინაციებს გულისხმობს!

— მაინტერესებს, ომბუდსმენის პოსტზე თქვენი კანდიდატურა რატომ ჩავარდა და რა უძლოდა ამას წინ? თუ ქალაქის ჭორებს დაუჯერებთ, ლორთქიფანიძის ნაშენებლობა «პედერასტრუქტურა» მისი უარყოფითი და მოკიდებულების ბრალი იყო მონადირის სანადიროდ გამოშვება არ აწყობდა; ასეა? — მოდი ყოველგვარი მიკვებ-მოკვივების გარეშე გეტყვი, კარგი? — სიამოვნებით... — მინდა, იცოდეთ, რომ ჩემს კანდიდატურას საკმაოდ გავლენიანმა დეპუტატებმა დაუჭირეს მხარი. ნება მიბო-

დევილიზაცია ჩინოვნიკების მიერ დატარებული შეფარების თანხას ითხოვენ

სამეგრელოს რეგიონში მყოფი დევნილების სახელით დევნილთათვის პატივცემულმა ადამიანებმა ივანე ფვანიამ, ალექო ვეკუამ, გივი ხაბურზანიამ და არჩილ კვარაცხელიამ ორი წლის წინათ მიმართვა გაუზავნეს საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. დევნილები მათთვის განკუთვნილი შემწეობის თანხის მიღებას მოითხოვდნენ.
2000 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის დახმარების თანხა ჩინოვნიკებმა დაიტაცეს. ამას დაემატა 2003 წლის ოქტომბრის თანხაც.
მთლიანობაში ჩვენზე გაუცემელმა თანხამ 3,5 მილიონ ლარს გადააჭარბა. ამასთან, საფოსტო ბანკი სახალხო ბანკს მიუერთეს (რომელმაც დევნილების დახმარების გაცემაზე უარი განაცხადა). ამის გამო საფოსტო ბანკის ზუგდიდის განყოფილების მმართველი ქალბატონი

მანანა ჩიტაია დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმეც. ძიების პერიოდში დევნილები დაბარებული ვიკავით სამხარეო პროკურატურაში, სადაც დეტალურად იქნა შემოწმებული თითოეული დევნილის საბუთები.
2004 წლის ბოლოს, ხელახალი გამოძიების მიზნით და შემწეობის თანხების ანაზღაურების პირობით, ხელახლა დაიწყო აღრიცხვა. საბუთების შედგენა (ასლების გადა-

ღება, მინისტრისთვის გასაცემი განცხადებებისათვის სპეციალური ბლანკი) 6-12 ლარი დაგვიჯდა. მიუხედავად ამისა, საქმეს დღემდე რეაგირება არ მოჰყოლია, დამაშავეები კი არხეინად დასეირნობენ. ბატონო მიხეილ, უმორჩილესად გთხოვთ, მოახდინოთ სათანადო რეაგირება ჩვენ მიმართ განხორციელებულ უსამართლობაზე — ისედაც დატანულ დევნილებს კიდევ უფრო გავვიწროვებენ, გთხოვთ, ავგინაზღაუროთ მითვისებული თანხა, — ნათქვამია მიმართვის წერილში.
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2007 წლის 9 ოქტომბერს ეს წერილი საქართველოს ლტოლვილთა და განასახლების სამინისტროს გადაუგზავნა. 2007 წლის 25 ოქტომბერს მინისტრის მოადგილემ ირაკლი

გორგოძემ ასეთი პასუხი გასცა დევნილებს: «აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოების მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდგომ ლტოლვილთა და განასახლების სამინისტრო შეისწავლის თქვენ მიერ მიუღებელი შემწეობის თანხების საკითხს და მიიღებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს».
თითქმის ორი წელია, დევნილები ამაოდ ელოდებიან ამ «გათვალისწინებულ ზომებს». ამ წერილის ავტორებს მათი მოთხოვნის დაკმაყოფილების იმედი აღარ აქვთ, მაგრამ «საქართველო და მსოფლიო» საშუალებით ერთხელ კიდევ დააფიქსირებს მათი კანონიერი მოთხოვნა.

ლადო ძირია ზუგდიდი
ესაუბრა ირინე ბოროსაჟილი

არნო ხიდირბეგიშვილი: ბრუდე სარკაეზის სარეფო, ანუ

აქუ, ბაბუ და სხვები...

ბავშვობაში რომელ ჩვენგანს არ ჰყვარება სიცლის ოთახის სტუმრობა? გასსოვთ, რამდენს ვიცინოდით საკუთარ თავზე — საკუთარ ანარეკლზე მრუდე სარკეში?

დღეს კი პოლიტიკურმა ელტამ და ჩვენმა მასმედიამ იმ ზომამდე დააზომბირეს ქართველი საზოგადოება, რომ ადამიანები აღარ ენდობიან საღ გონებას და მომხდარს მხოლოდ იმ მრუდე სარკეებიდან აღიქვამენ, რომლებიც ხელისუფლებამ ყოველი მხრიდან აღუმარათა: დამახინჯებული ანარეკლის სინამდვილე მიჩნევის ან მან საკუთარ თავზე ან აღარ ვიცინოდით — არამედ ვგრძობდებით — კი, მაგრამ, ვინ დაბავშვინჯავენ ასე?!

მათ! — გვაბაზუბოს მრუდე სარკეების სამეფოს ხელმწიფე და სიტუაციის მიხედვით მიგვიტოვებს ხან ჩრდილოეთისკენ, ხან — კრნანისკენ: არ ბინდივართ?! მაშინ მათთან, გონჯამთან დარბამით! — ჭკუას გვახსნავს ხელმწიფე და უნდა ითქვას, რომ ეს პიარტექნოლოგია ამართლებს...

სული, „სმეშია“ კომისია ჰუმანიტარული მიზნით — დაბრუნების ლტოლვილები მათ მიწაზე და მოექებნა 08.08.08 ომის შემდეგად უზოუკლოდ დარბეული (?). მკვდრად ჰგებოდა კომისიამ თავად შესვა საკუთარი „სულის მოსასხენიებელი“ (ეტიკობა, დასახული ამოცანები შესრულებულად მიიჩნია ან ზოგიერთი „ობიექტული“ დააფრთხო „ლუსტრაციის კანონმა“...). ახლა ისინი თავს „ფორუმს“ უწოდებენ და ერთმანეთს სტუმრობენ უფრო გლობალური მიზნებით — დარბეული კონფლიქტი კავკასიაში (!!) და დაახლოვდნენ რუსი და ქართველი საზოგადოებრიობა (როგორღაც ზომუნდა ჩააბარონ ანგარიში გამოყოფილ თანხებზე?). თუმცა, თუ ქართველ და რუს საზოგადოებრიობად მხროლობა დაუშინს ან „ოზრატხვინიკას“ მივიჩნევთ, მაშინ „დაახლოება“ მათ უკვე გამოუვიდათ...



უდგენლად გაიხარა, როცა ახლახან აქუ პირდაპირ ეთერში მიიწვია ბაბუ! შემოთავაზებული სანახაობა მხოლოდ მრუდე სარკეში შეიძლება მოგვლანდოს: აქუ (რომლის ლექსიკონი „13 სკამის“ პერსონაჟ ელოჩკა-კაციაძის სიტყვიერ მარაგზე მდიდარ როლია) ბაბუს „არის მაგას“ უწოდებდა და სთხოვდა, „საქართველო გადარჩინე — დარიკა პორბანოვისთვის, ჩასულიყო მოსკოვში, სწვეიოდა კუტინს და ეთქვა, რომ საქართველო უკვე ითხანებება გორბაჩოვის ბინაღურ იდეას — აღიაროს აფხაზეთი და სხვასთან ოსეთი უფადრად. სანის სუბიექტული აქტივობის და დახმარებით, რომელმაც ანტირუსული რიტორიკით დინხანია, ყველა სამთავრობო ტელეარხი დაჯაბნა, ყველაფერი ნათელია. გასაკვირი როდია, რომ აქუბარდია აფხაზეთსა და ოსებს მიიჩნეოს ავაზაკთა, კრიმინალთა და იდიოტთა ჯგუფი, რომლებიც უნდა მოგვეყვიდა (რამდენიმე ოსი „IOAP“-ში — ასე უწოდებს ის სამხრეთ ოსეთს დე ფაქტო ხელისუფლების დასახმობად) და ბრჭყვიალა მძევებით პაპუასებით მოგვეცეყებინა (აფხაზები, რომელთა დროშას საქართველოს ფედერაციაში აფხაზეთის შესუსვლელმა მუდამ ნინდანინიციის, რას უნდა ელოდეს მათ განარსებულ ვითარებაში;

სულელებს და სსრკ); რომ საქართველოს ფედერაციული მოწყობა გორბაჩოვის იდეაა; რომ რუსეთი სადაცაა ნაწილ-ნაწილ დაიშლება (!?).

რომ საკავშირმა დაუშვა შეცდომა, როცა 2008 წლის აგვისტოში ცხინვალში შევიდა და ომი დაიწყო.

შევიარცხე, „რატომ-ლანს დაპიწყდა“, რომ თავად დაუშვა შეცდომა, როცა 1992 წლის აგვისტოში სოხუმში შევიდა და ომი დაიწყო და რომ მაშინდელი ომის მსხვერპლი შეუძარბეულად მიატი იყო!

რომ 1993 წელს მას შეეძლო საქართველოსთვის თითქმის მთელი აფხაზეთის დაბრუნება (გარაგმა გაგრაში ერთი რუსული დივიზიის შეყვანა და აფხაზეთისთვის გაგრაში დაიწყო ტერიტორიის დათმობა, ხოლო აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორიის ჩვენთვის დაბრუნება შესთავაზა!), მაგრამ მან ეს არ გააკეთა;

აშშ-ში ადამიანებზე ექსპერიმენტების ჩატარება მათი თანხმობის გარეშე 1947 წლიდან აკრძალულია. მაშინ ნიურბერგის პროცესების შედეგად თითო ნაცისტური ექიმებისათვისაც კი შემუშავდა 10 „წმინდა პრინციპი“, რომელთა მიხედვითაც ნებისმიერი ექსპერიმენტის ჩასატარებლად აუცილებელია ცდის ობიექტის ნებაყოფლობითი თანხმობა და აუცილებელია ფიზიკური თუ სულიერი ტკივილის თავიდან აცილება. შენგის კონვენციითაც საშუალო ტყვეებსა და პატიმრებზე სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარება აკრძალულია. წელს გამოქვეყნებული ცე-



„უკრაინის ნავთობგაზი“ დეფოლტის ზღვარზეა

„უკრაინის ნავთობგაზი“ სექტემბრის დასაწყისში საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შედგენილი 2008 წლის ანგარიში გამოაქვეყნა. მასში ნათქვამია, რომ 1,6 მილიარდ დოლარამდე ვალის რესტრუქტურისათვის თაობაზე კომპანიამ უცხოურ ბანკებთან მოლაპარაკებები დაიწყო. „ნავთობგაზი“ უცხოური ინვესტორების სულ 1,8 მილიარდი დოლარი მართებს.

რე-უს ინსტრუქციების თანახმად, ექიმები და ფსიქოლოგები ყველა ეგრეთ წოდებულ გაფართოებულ დაკითხვას ესწრებოდნენ. ნლეულს, გარეშე გამოიყენებოდნენ. „ექიმები ადამიანთა უფლებებისათვის“ თავიანთ მოხსენებაში ამ ყოველივეს უკანონო ექსპერიმენტების პრაქტიკას უწოდებენ.

„ექიმები ადამიანთა უფლებებისათვის“ ახლა ოფიციალური გამოძიების დაწყებას მოითხოვენ, რათა ზუსტად დადგინდეს ცსს პროგრამაში ექიმების როლი, მათი რაოდენობა, ქმედებები და ის, თუ კონკრეტულად რომელ პრაქტიკებს იყენებდნენ ცდებისათვის.

ანგარიშიში აღნიშნულია, ასევე, რომ კომპანიამ დაარღვიო საკრედიტო შეთანხმების ის ნესები, რომელთა დარღვევის შედეგად მან დროზე ადრე უნდა გაისტუმროს ვალეები. ერთ-ერთმა კრედიტორმა ისარგებლა კიდევაც ამით და ფულის დაბრუნება მოითხოვა. შესაძლოა, ეს „Standard Bank London“-საც ეხებოდა. მან 2007 წლის ნოემბერში „ნავთობგაზს“ გრძელვადიანი კრედიტის სახით 200 მილიონი დოლარი მისცა. უკმაყოფილო ბანკმა პირობების დარღვევის შესახებ 31 ივნისს განაცხადა. კონცერნის ფინანსური მდგომარეობა, როგორც ეს ზემოხსენებულ

ანგარიშიშია ასახული, ბანკებსა და ობლიგაციითა მფლობელებს ოპტიმიზმის შანსს არ უტოვებს: კომპანია ამ გასული წელი 250-მილიონიანი ზარალითა და 4,5-მილიარდიანი საერთო ვალით დაასრულა (სახელმწიფო ბანკებისა და საავტოტოების ვალეების ჩათვლით). მთელი 2009 წლის განმავლობაში „ნავთობგაზი“ იმპორტირებული გაზისათვის „გაზპრომის“ ვალეებს სახელმწიფო ბანკის ხარჯზე ისტუმრებდა. საერთო ჯამში „ნავთობგაზმა“ 2010 წლამდე კიდევ 570 მილიონი დოლარი უნდა გაადახადოს.



იანუკოვიჩმა პირობა დადო, რომ უკრაინაში მეორე სახელმწიფო ენა რუსული იქნება

რეგიონების ოპოზიციური პარტიის ლიდერი ვიქტორ იანუკოვიჩი უკრაინის პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ რუსული უკრაინაში მეორე სახელმწიფო ენად იქცეს. ამის შესახებ მან ოდესის საოლქო ტელერადიოკომპანიის პირდაპირ ეთერში განაცხადა.



იანუკოვიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სურს, უპასუხოს პრემიერ იულია ტიმოშენკოს, რომელმაც ლგოვში განაცხადა, რომ რუსული უკრაინაში მეორე სახელმწიფო ენა არ უნდა იყოს. „მე-

ით, რუსულის მეორე სახელმწიფო ენად გამოცხადებისათვის საჭიროა 226 ხმა და „პრეზიდენტის ხელმოწერა აი, ამ ხელით“. ამ დროს მან, რასაკვირველია, საკუთარი მარჯვენის დემონსტრირება მოახდინა და მიანიშნა, რომ გაპრეზიდენტების შემდეგ ხელს მოახერხა აღნიშნულ კანონს.

როგორც ცნობილია, ტიმოშენკომ ცოტა ხნის წინ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია გამოხატა და ბრძანა, რომ უკრაინაში ერთადერთი სახელმწიფო ენა უკრაინული იქნება. საქმე ისაა, რომ ლგოვში უკრაინელი ნაციონალისტები ჭარბობენ, ოდესაში კი — რუსულენოვანი მოსახლეობა.

კრიზისი ბანკირების სისხარბით საზრდოობს

ანგელა მერკელი თვლის, რომ ახლანდელი ეკონომიკური კრიზისი ბანკირებისა და მმართველების სისხარბემ შვა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი პირობას დებს, რომ სამომავლოდ ამ ფენისათვის ისეთ წესებს დაამკვიდრებს, რომ ამჟამად შექმნილი სიტუაცია აღარასდროს განმეორდეს.



ახლანან სახელმწიფოს მეთაური ქალაქტირიონისა-სარჩევნო მიტინგზე გამოვიდა და შეკრებილებს ამჟამინდელი რეცესიის დაწყების მიზეზების საკუთარი ხედვა გააცნო. მისი აზრით, კრიზისი სისხარბემ და იმ რისკმა გამოიწვია, რომელსაც ბანკირები არ მოერიდნენ და კომპანიის მეგაფერთათვის „ბონუსების გადახდისას სრულად დაკარგეს კონტროლი“. ახლა კანცლერმა გადაწყვიტა, რომ მსგავსი სიტუაციის გამეორების შანსი აღარავის დაუტოვოს და ამისათვის თვით ბანკირებისა და ბანკების მმართველთათვისაც დაადგინა წესები, რომელთაც გვერდს ვერავინ აუვლის. „შეუძლებელია, რომ საერთაშორისო ბანკების მალალ საფეხურებზე ჯიბებს ისტელეზდნენ და მოქალაქეების ჯიბეები ცარიელ-

კრიზისის მიზეზთა და მისი სახეობის რეცესიის წინასწარ შეცნობისა თუ მისი თავიდან აცილების შეუძლებლობის შესახებ საკუთარი მოსაზრებები გამოაქვეყნა ლონდონის ეკონომიკის სკოლის სპეციალისტთა ჯგუფმა. „კრიზისის პერიოდის, მასშტაბისა და სერიოზულობის წინასწარ განსაზღვრისა თუ მისი თავიდან აცილების შეუძლებლობის მრავალი მიზეზი აქვს. მათგან უმთავრესი ისაა, რომ დიდი ბრიტანეთის, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს უბრწყინვალესი გონებები, რომლებიც დაგვეხმარებოდნენ, მოქმედი სისტემის რისკები მთლიანობაში აღგვექვა, კოლექტიური წარმოსახვის უკმარისობას განიცდიან“, — განაცხადეს მათ.

„უფრო ადრე ეკონომისტები განმარტავდნენ, რომ დაბალ-მაშპროცენტო განაკვეთებმა კრედიტები გააიფარა და საერთო ეიფორიის შედეგად ყველა სამშრომობა ჩრდილში მოექცა. ამ დროს ზოგიერთი ქვეყანა (მაგალითად, აშშ) კომპანიებსა და ახლო აღმოსავლეთის ნავთობის მწარმოებელ ქვეყნებისაგან ნასესხები თანხების გამო.

ევროკავშირი ეკლესიის პირისპირ აღმოჩნდა

მალტის, იტალიის, გერმანიის, პოლონეთისა და ჩეხეთის ხელისუფლებებმა განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან დისკრიმინაციასთან ბრძოლის დირექტივას — დოკუმენტს, რომელიც ევროკომისიაში მზადდება.

დირექტივა კრძალავს სექსუალური უმცირესობების მიმართ არათანაბარ უფლებებიან დამოკიდებულებებს და, ამასთან, აღიარებს ყველა რელიგიური დაჯგუფების თანასწორობას. მანამდე დოკუმენტის გამო უკმაყოფილება გამოთქვა კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელმაც ის „რელიგიის დათრგუნვის“ ახალ ინსტრუმენტად შეაფასა. ბრიტანეთის კათოლიკე ეპისკოპოსების განცხადებით, ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ ეკლესიას უფლება აღარ ექნება, სა-

ეკლესიო ღონისძიებათა მონაწილეებისაგანაც კი ქრისტიანული სწავლების შესაბამისი ქცევა მოითხოვოს. თავად ევროკომისია ამ დირექტივის მიღებას 2009 წლის დასასრულისათვის იმედოვნებდა, მაგრამ ეკლესიისა და მთელი რიგი სახელმწიფოების პოზიცია, საგარეულოდ, დღის წესრიგში დააყენებს დოკუმენტის გადახედვის საკითხს. მით უფრო, რომ დოკუმენტის მისაღებად ევროკავშირის ყველა ქვეყნის თანხმობა აუცილებელია.



მასობრივი პარკინა

ნელს აშშ-ში უფრო მეტი ბანკი გაკოტრდა, ვიდრე გასული 10 წლის განმავლობაში. ამერიკელმა ფინანსურმა რეგულატორებმა 14 აგვისტოს ალაბამას „Colonial Bank“ დახურეს. ეს ყველაზე მასობრივი გაკოტრება იყო ამერიკული საკრედიტო დაწესებულებების წლებანდელ გაკოტრებებს შორის, ვინაიდან ორგანიზაცია 25,8 მილიარდი დოლარის აქტივებს მართავდა. იმავე დღეს კიდევ ოთხი ბანკი დაიხურა, წლებანდელი იანვრიდან აგვისტომდე აშშ-ში დახურული ბანკების საერთო რაოდენობამ 77-ს მიაღწია. ეს რიცხვი ერთნახევარჯერ აღემატება მთელი გასული ათწლეულის საერთო მაჩვენებელს.



„Colonial Bank“-ის კრიზისი კალიფორნიული ბანკ „IndyMac“-ის შარშანდელ კრახს ჰგავს. ორივე გიგანტის აღსასრულის მიზეზი ზედმეტი აქტიურობა და იპოთეკურ ბაზარზე რისკების არასათანადოდ შეფასება გახდა. ეს ორივე ბანკი აშშ წამყვანი საკრედიტო ორგანიზაციების წარმომადგენელი იყო, მაგრამ, მათ შორის განსხვავებაც არის.

2008 წლის ივლისში ბანკ „IndyMac“-ის გაკოტრებას მენაბრებების პანიკა და მთელი საბანკო სისტემის სერიოზული შეფუცხულება მოჰყვა. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ საკრედიტო კრიზისის მწვავე ფაზის დაწყებამდე ხდებოდა და ამიტომ სერიოზულად შეაშინა მსგავსი მასშტაბების გაკოტრების ისტორიებს შეუჩვეველი ამერიკელები. ახლა პარასკევობით ბანკების დაკეტვის შესახებ განცხადებები მხოლოდ საწყენია. მენა-

ბრებების პანიკისა და დეპოზიტების მასობრივი გატანის თავიდან აცილების საკითხები უკვე მოგვარებულია — დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაცია (FDIC) უკვე მოელაპარაკა ჩრდილოეთ კაროლინის ბანკ „BB&T“-ს და გაკოტრებული დაწესებულებების აქტივებსა და პასივებს სწორედ ის გადაიბარებს.

არის კიდევ ერთი განსხვავება: ამერიკული სამართალდამცავი ორგანიზაციები ეჭვობენ, რომ „Colonial Bank“-ის მმართველები უკანონო მაქინაციებით იყვნენ დაკავებული. ამ დაწესებულებაში ბუღალტრული აღრიცხვების წარმოების დაშვებული შენაღობის კანონდარღვევების ფაქტების აღმოსაჩენად 4 აგვისტოს გამოძიება დაიწყო, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, აქვს თუ არა რაიმე კავშირი ამ დარღვევებს ბანკის გაკოტრების ფაქტთან.

„Colonial Bank“-ის მიერ კონტროლირებადი 25,8 მილიარდი დოლარის აქტივებიდან 22 მილიარდი „BB&T“-ს გადაეცემა და ამ ფაქტის წყალობით ეს უკანასკნელი აქტივების მიხედვით აშშ უმსხვილეს დაწესებულებათა ათეულში შევა. დარჩენილი აქტივები FDIC-ს გადაეცემა, მაგრამ მას გაკოტრებული ბანკის სიდიდესთან შედარებით მცირე რაოდენობის ანაბრების დაბრუნება მოუწევს — სულ 2,8 მილიარდი დოლარის.

თავად FDIC-ს არასასიამოვნო პერსპექტივები ელის. აშშ-ში, როგორც უკვე ვთქვით, მხოლოდ ერთ კვირამ „Colonial Bank“-ის გარდა კიდევ ოთხი ბანკი გაკოტრდა. „Community Bank of Arizona“, „Union Bank“, „Dwelling House Savings and Loan Association“ და „Community Bank of Nevada“ მართალია, გაცილებით მცირე მასშტაბებს დასჯერდნენ, მაგრამ მათი დახურვა სადაზღვევო ფონდს 900 მილიონი დოლარი მაინც დაუჯდა. არადა, წელი ჯერ კიდევ არ დამთავრებულია. საკრედიტო კრიზისის შედეგები კიდევ დიდხანს გააყვება აშშ-ის ბანკებს, მიუხედავად მათი მხარდასაჭერი უამრავი სახელისუფლებო პროგრამისა, რომელთა ფარგლებშიც ეკონომიკისა და საბანკო სისტემის გადასარჩენად ტრილიონობით დოლარი გამოიყო.

ახლა FDIC-ის მიერ შედგენილ რისკის სიაში 300-ზე მეტი ბანკია, არადა, კრიზისის მძაფრი ფაზის დაწყებამდე, გასულ შემოდგომაზე, ამ სიაში სულ 90-მდე ბანკი ეწერა. თუ გავითვალისწინებთ, რომ გაკოტრებული ბანკების რაოდენობა ლამის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, წლის ბოლომდე მათი რაოდენობა 100-ს გადააჭარბებს.

იმის გამო, რომ გაკოტრებული ბანკების უმეტესობა დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარის აქტივების მფლობელია, ეს კი სულაც

არაა ბევრი, კრიზისს თითქოს დიდი ზიანი არ უნდა მიეყენებინა ამერიკის ფინანსური სისტემისათვის. ასეთი წერილობითი განცხადებითაა შეტყობილებში რვა ათასს აჭარბებს, მაგრამ გაკოტრებების ნიადავი ამერიკაში თავად საბანკო სექტორის სტრუქტურას ცვლის. წერილი ბანკების გაკოტრების გამო კონკურენცია მნიშვნელოვნად მცირდება და კლიენტები კრედიტის აღებისას გაცილებით დიდ საპროცენტო განაკვეთს აწყდებიან. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანწილად აფერხებს ეკონომიკის აღდგენის პროცესს, რადგან ამერიკელები თავს ძვირადღირებული კრედიტებით სარგებლობის ნებას ვეღარ აძლევენ.

არის კიდევ ერთი საშიშროება, რომელზეც ანალიტიკოსები რეცესიის დასაწყისშივე ლაპარაკობდნენ. საქმე ისაა, რომ FDIC-ის რესურსები სულაც არაა ამოუწურავი. ყველა გაკოტრების შემდეგ კი ეს რესურსები მცირდება და მცირდება. კორპორაციის ექსპერტების პროგნოზით, FDIC-ის სადაზღვევო დანაშაულები 2013 წლისათვის 70 მილიარდ დოლარს გაუტოლდება, მაგრამ თუ აშშ ბანკების გაკოტრების ახალ ტემპებს გავითვალისწინებთ, ეს პროგნოზი კარგა ხანია, გადახედვას საჭიროებს.

FDIC კარგა ხნის გაკოტრებული იქნებოდა, 2008 წელს ფედერალურ ხელისუფლებას მისი ანგარიშები დამატებითი 100 მილიარდი დოლარით რომ არ შეეცხო. თუ ასე გაგრძელდა, ეს თანხაც არ იქნება საკმარისი დაზღვევების ასანაზღაურებლად. არადა, ანაბრების დაზღვევების პროგრამა რამდენიმე კვირითაც რომ შეჩერდეს, ეს ამერიკელებს მთელი საბანკო სისტემისადმი ნდობას დაუკარგავს. ამდენი უზედურების გადამკიდე ამერიკას სწორედ ესაა აკლია.

მოსკოვი მსოფლიოს დედაქალაქი გახდება?

მოსკოვი ახლო მომავალში ლონდონს, პარიზსა და ნიუ იორკს მსოფლიოს დედაქალაქის ტიტულს შეეცილება. Forbes-ის მონაცემებით, ყველაზე მეტი შანსი მოსკოვს აქვს.



ექსპერტებმა კვლევაში გაითვალისწინეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა ბაზრის ზრდის სისწრაფე, კაპიტალის მოდინება, სამუშაო რესურსების ზრდა, ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპები, ქალაქის გარეგნული იერსახის კარდინალური ცვლილება, სუპერთანამედროვე შენობების მშენებლობა, უკვე 10-მილიონიანი მეგაპოლისის სწრაფი ზრდა და სხვა.

მოსკოვის გარდა მსოფლიოს დედაქალაქის ტიტულისათვის იბრძვიან შანხაი, პეკინი, მუმბაი, სან-პაულუ, კალგარი, დუბაი, პეტრი, ჰიუსტონი, დალასი. ექსპერტების აზრით, გვერდზე არც ახლანდელი მეგაპოლისები — ტოკიო, ნიუ იორკი, ლონდონი, პარიზი, სეული, სინგაპური და ჰონკონგი გადგებიან და ღირსეულად დაცვენ თავიანთ უფლებებს.

პოლიტოლოგი აშშ აღსასრულს წინასწარმეტყველებს

„ამერიკის აღსასრული 2010 წლის ივლისში დადგება“, — ყოველგვარი ხუმრობის გარეშე აცხადებს პოლიტოლოგი და თავის წიგნში აშშ პრეზიდენტ ბარაკ ობამას უკანასკნელ საბჭოთა ლიდერს — მიხეილ გორბაჩოვს ადარებს.



„იმის ალბათობა, რომ 2010 წლის ივლისში შეერთებული შტატები არსებობას შეწყვეტს, ჩემი შეფასებით, 50%-ზე მეტია“, — განაცხადა პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული დიპლომატიური იგორ პანარინმა და დასძინა, რომ დაშლის პროცესი ნოემბერში დაიწყება. ამ უზედურების მიზეზთა შორისაა მზარდი აგრესია, ქარიშხალი კატრინა, არასრული ოჯახები, გადავსებული ციხეები და ჰომოსექსუ-

ალიზმი. ავტორი ასკვნის, რომ ამერიკული საზოგადოება ფსიქოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა.

„11 წლის მანძილზე ამერიკის საგარეო ვალი 7-ჯერ გაიზარდა, გორბაჩოვის პერიოდში კი — მხოლოდ გახუთმაგდა. ობამას სოციალური მუშაკის მენტალიტეტი აქვს — ლაპარაკი კარგად გამოსდის, მაგრამ არასდროს არაფერი უმართავს, ის ამერიკას კრახამდე მიიყვანს“, — ბრძანა პოლიტოლოგმა.

პიერ ლელუში: საქართველოსა და უკრაინის მიმართულიანობით ნატოს გაფართოების ინიციატივა შეუძლოა იყო

ევროპის საკითხებში საფრანგეთის სახელმწიფო მდივნის პიერ ლელუშის განცხადებით, რუსეთთან (როგორც ჩინეთთან) ურთიერთობა ხაზს უსვამს ევროპის ერთიანი გეოპოლიტიკური ხედვისა და მსოფლიოში მისი ადგილის განსაზღვრის აუცილებლობას. ჯერჯერობით ასეთი ერთიანი ხედავ არ არსებობს, „ხესახელმწიფოები სარგებლობენ ევროპული უთანხმოებებით და ევროპის ქვეყნებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განაწყობენ“.

ტომი განვერების სურვილთან დაკავშირებით კონსენსუსი მიღწეულია, მაგრამ სტრატეგიული სიტუაცია — არასტაბილური, უკრაინაში კი განვერების სურვილიც კი არაა ცალსახა. ამავე დროს, შეინიშნება ევროპასთან დაახლოების სურვილი, ამიტომ

ევროკავშირმა „უნდა განამტკიცოს უკრაინასთან კავშირი და შეარბილოს რუსეთთან მისი დაძაბული ურთიერთობა, რაც განსაკუთრებით გაზის სფეროში ვლინდება... უნდა გავაცნობიეროთ რისკები, რომელთა წინაშეც ევროპა ენერგეტიკული დამოკიდებულების გამო დგას და ამ პერსპექტივაში ახალი ურთიერთობების ფორმირება უნდა მოვახდინოთ ისეთ ქვეყნებთან, როგორც რუსეთი და ალჟირია“, — ბრძანა სახელმწიფო მდივანმა. ენერჯის ტრანზიტზე საუბრისას ლელუშმა, ასევე, აღნიშნა, რომ გაზის საკითხში თურქეთი ძალზე ეჭვიანურ თამაშს თამაშობს, ერთი მხრივ, რუსებთან, მეორე მხრივ — ევროპელებთან. მისი თქმით, თურქეთი შუამავალია ევროპასა და აღმოსავლეთს შორის, მაგრამ საკითხავია, შეძლებს კი შუამავალი, ოჯახის წევრი გახდეს? ლელუშის აზრით, თურქეთის ევროპასთან ინტეგრაციის ალტერნატიული გზა უნდა გამოინახოს.

„ჩვენ შევისწავლით მედევეის წინადადებას ერთობლივი უსაფრთხოების სივრცის შექმნისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმ ფაქტს, რომ რუსეთმა ცივი ომის შემდგომ დამცირება და უდიდესი გეოგრაფიული ცვლილებები განიცადა. რუსეთის საზღვარი 2000 კილომეტრზე მეტით შემცირდა. საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასული ქვეყნები ევროკავშირსა და ნატოში შევიდნენ“, — ბრძანა ლელუშმა.

ის დარწმუნებულია, რომ საქართველოსა და უკრაინის მიმართულიანობით ნატოს გაფართოების ინიციატივა შეუძლოა იყო. საქართველოში ნა-



ამერიკელთა ავიათავდასხმის შედეგად არანაკლებ 100 ავღანელი დაიღუპა. მსხვერპლთა რიცხვმა შესაძლოა, 400-ს მიაღწიოს.

აშშ სამხედრო საჰაერო ძალების პილოტმა რაკეტებით ორ ბენზინშიდსა და ირგვლივ მყოფ ხალხს დაუშინა. კოალიციური ძალები ამბობენ, რომ თალიბები დაბომბეს, მაგრამ ეს ტერიტორია ბოვეიკებისა არასდროს ყოფილა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც აქამდე უამრავჯერ მომხდარა. კოალიციურმა ძალებმა გადაწყვიტეს, ბოვეიკები მიწასთან გაესწორებინათ და ისევ მოსახლეობა შერჩათ ხელი. შედეგად, წინასწარი მონაცემებით, 95 ადამიანი უკვე დაიღუპა, მსხვერპლის საერთო რაოდენობა, სავარაუდოდ, 400-ს გაუტოლდება.

აშშ სამხედრო საჰაერო ძალების პილოტმა რაკეტებით ორ ბენზინშიდსა და ირგვლივ მყოფ ხალხს დაუშინა. კოალიციური ძალები ამბობენ, რომ თალიბები დაბომბეს, მაგრამ ეს ტერიტორია ბოვეიკებისა არასდროს ყოფილა. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც აქამდე უამრავჯერ მომხდარა. კოალიციურმა ძალებმა გადაწყვიტეს, ბოვეიკები მიწასთან გაესწორებინათ და ისევ მოსახლეობა შერჩათ ხელი. შედეგად, წინასწარი მონაცემებით, 95 ადამიანი უკვე დაიღუპა, მსხვერპლის საერთო რაოდენობა, სავარაუდოდ, 400-ს გაუტოლდება.

რამ გადინდა კომპანია Pfizer-მ 2,3 მილიარდი დოლარი?

ამერიკული ფარმაცევტული კომპანია Pfizer თანახმაა, 2,3 მილიარდი დოლარი გადაიხადოს, ოღონდ კი მისი თაღლითობის საქმე სასამართლოს გარეშე მოგვარდეს. ეს ამერიკის იურიდიულ ისტორიაში რეკორდული საჯარიმო თანხაა.



ფარმაცეპტული გიგანტი მთელ მსოფლიოში ცნობილი და უმეტესწილად მას პრეპარატ „ვიაგრას“ შემუშავებით იცნობენ. ახლა კი ის დამნაშავეს სკამზე იმ საკუთარი პრეპარატების რეკლამირებისათვის, რომლებსაც ტესტირება არ გაუვლია რეკლამაში მოხსენიებული დაავადებების მკურნალობის კუთხით და, შესაბამისად, ამ დაავადებებთან განკურნების ლიცენზია არ აქვს. კომპანიის ერთ-ერთმა ქვეგანყოფილებამ აღიარა, რომ წამლების რეპრეზენტაციის მდივანის დასაბრუნებლად გამოიყენა. ახლა, როგორც ამერიკის ხელისუფლებამ ირწმუნება, კორუპციული ეთიკის ნორმებზე ხელის მოწერა მთელ

კონკრეტულ მოწვევებს. ამ შეთანხმების მოთხოვნით კი კომპანიის ინტერნეტსაიტზე უნდა დაიდოს სრული და დეტალური ინფორმაცია მისი მოღვაწეობის შესახებ, რაც, ცხადია, ბევრს დაინტერესებს. თანხა 2,3 მილიარდი დოლარი მიღებულია ჯარიმების ერთმანეთზე მიმატების შედეგად. 1,195 მილიარდი დოლარი კომპანიამ ზემოხსენებული თაღლითობისთვის უნდა გადაიხადოს, 105 მილიონი დოლარი ერთ-ერთი ქვეგანყოფილების გადასახადი, დანარჩენი მილიარდი კი ბრალდების ნეიტრალიზაციისათვის იქნება საჭირო. გაიდა ზემოხსენებულისა, კონკრეტულ ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენ-

ნელთათვის ქრთამის მიცემა-შიც ედება, რათა მათ პაციენტებისათვის აღნიშნული კომპანიის მედიკამენტები გამოეწერათ. ამ საქმის გამო ძიება ექვსი ფიზიკური პირის ბრალდების საფუძველზე დაიწყო. კომპანიის მიერ გადახდილი ჯარიმიდან ისინი 102 მილიონ დოლარს მიიღებენ. მანამდე კომპანია მზად იყო ჯარიმების გადასახდელად, რათა მისდამი ხალხის ნდობის შემლახავი პრობლემები მოეგვარებინა. 2008 წლის მე-4 კვარტალში Pfizer-ის შემოსავლები 90%-ით შემცირდა და მხოლოდ 268 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს ხელისუფლებასთან გარიგებისათვის 2,3 მილიარდი დოლარის გადადებას გამოიწვია. როგორც ჩანს, კომპანიის ხელმძღვანელებმა ჯარიმის თაობაზე მანამდე იცოდა, ვიდრე ამას აშშ იუსტიციის სამინისტრო განაცხადებდა. შეგახსენებთ, რომ კონკრეტულ Pfizer-ის სკანდალები არასდროს აკლდა. მას რეგულარულად ადანაშაულებენ პრეპარატების გამოცდებში ისე, რომ პაციენტებმა არაფერი იციან ცდების გვერდითი მოვლენებისა და შესაძლო გართულებების თაობაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია მსგავს ბრალდებებს მუდამ პროვოკაციას უწოდებდა და დღემდე არაფერი იცოდა, რით მთავრდებოდა ხოლმე აღნიშნულ საკითხებზე გამართული სასამართლო პროცესები.

ჩინეთში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის გრაფიკი პირდაპირ შესაბამისობაშია ორგანოთა გადაწვევის ოპერაციების გრაფიკთან, ვინაიდან, როგორც გაირკვა, დონორთა ორგანოების უმეტესობას ჩინეთში სიკვდილით დასჯილი დამნაშავეებს კვეთენ. ჩინეთის ჯანდაცვის სამინისტრომ ეს ვერსია უკვე ოფიციალურად დაადასტურა და აღიარა.




ჩინეთში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯის გრაფიკი?

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ სასტიკად დაგმო აღნიშნული მრავალწლიანი პრაქტიკა და ბრძანა, რომ აპირებს, უარი თქვას სიკვდილით დასჯილთა ორგანოების გამოყენებაზე. ამჟამად ჩინეთში წელიწადში მილიონნახევარი ტრანსპლანტაციის ოპერაცია კეთდება და მათი 65%-ის დონორად სიკვდილით დასჯილები გამოიყენებიან.

რა დაგვიჩვენებს ახალ კლიმატთან ადაპტაცია?

გაერომ სათანადოდ ვერ შეაფასა ის დანახარჯები, რომელთა გაღებაც კაცობრიობას გლობალური დათბობის გამო მოუწევს. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ მის ჩარჩო კონვენციაში მოტანილია პროგნოზი, თითქოს 2030 წლისათვის ყველაზე უარეს ცვლილებებთან ადაპტირება კაცობრიობას წელიწადში 70-100 მილიარდი დოლარი დაუჯდება.



სათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებული არ არის.

მაგრამ ახლა ბრიტანელი მეცნიერების ჯგუფმა, რომელსაც პროფესორი მარტინ პერი ხელმძღვანელობს, განაცხადდა, რომ მინიმალური თანხა 300 მილიარდი დოლარი იქნება. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირება წყალ-მიწის რესურსების დაზარალების, ახალ და მწვავე დაავადებებთან ბრძოლას, დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენასა და კიდევ მრავალ მნიშვნელოვან ხარჯს მოიცავს. წარმოების, ტურისტული ინდუსტრიისა და ენერჯეტიკის

სად დაფრინავდა იაპონიის პირველი ლედი?

იაპონიის მომავალი პრემიერ-მინისტრის მეუღლე ირწმუნება, რომ უცხოპლანეტელებს შეხვდა და მათთან ერთად ვენერაზეც გასივრნა. ეს დაახლოებით 20 წლის წინათ მოხდა. სანამ მიუკი პატრიამას ეძინა, კოსმოსურ ხომალდზე მისი სული ფრინავდა. ვენერა მშვენიერი და ძალიან მწვანე ადგილი ყოფილა, როგორც შარშან გამოცემულ და ამ ამბისადმი მიძღვნილ წიგნში წერს მიუკი.



მეზობელ პლანეტაზე გასივრების შემდეგ გამოღვივებული მიუკიმ ყველაფერი თავის იმჟამინდელ ქმარს უამბო, მაგრამ ამ უკანასკნელმა ჩათვალა, რომ მიუკის ყველაფერი დაესიზმრა და მომხდარს ყურადღება არ მიაქცია. სამაგიეროდ, უცხოპლანეტელებთან მოსივრე ქალბატონი ღრმად დადრწმუნებული იყო, რომ მისი ახლანდელი ქმარი და იაპონიის მომავალი პრემიერ-მინისტრი იუკიო პატრიამა მომხდარს დიდი გავებით მოეკიდება.

მომავალი პირველი ლედი იაპონელი პოლიტიკოსების ცოლებისათვის აბოლოუტურად უცხო ექსცენტრიკული ქცევითაა ცნობილი. ის ქალთა მუსიკალური თეატრის ყოფილი მსახიობია, თავად იკერავს ტანსაცმელს, წერს წიგნებს კულინარიაზე და ვეგეტარიანელობას არ ღალატობს. კიდევ უარესი — ამტიკიცებს, რომ წინა ცხოვრებაში იცნობდა ტომ კრუზს, რომელიც მაშინ სწორედ იაპონელი იყო და ახლა სულაც არაა წინააღმდეგი, თავის წინა ცხოვრების მეგობართან ერთ-

თად ფილმში მიიღოს მონაწილეობა. შეხვედრისას კი ტომ კრუზს უბრალოდ ეტყვის, რომ დიდი ხანია, არ უნახავთ ერთმანეთი. შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო არჩევნებზე იუკიო პატრიამას დემოკრატიულმა პარტიამ უდიდესი დარტყმა

მიაყენა მრავალი წლის მანძილზე იაპონიის მმართველ ლიბერალ-დემოკრატიულ პარტიას. 16 სექტემბერს გამართულ კენჭისყრაზე პატრიამას პრემიერ-მინისტრად არჩევა ელის. ჰო, მართლა, 62 წლის პატრიამას დიდი ხნის წინათ თვალის უჩვეულო ფორმისა და უცნაური ქცევების გამო უცხოპლანეტელი შეაჩვენეს. მიუკიმ და იუკიომ ერთმანეთი აშშ-ში გაიცნეს. მიუკი იაპონურ რესტორანში მუშაობდა და ჯერ კიდევ არ იყო განქორწინებული თავის პირველ ქმართან. იუკიომ კი სწორედ მაშინ დაამთავრა სტენფორდის უნივერსიტეტი. ახლა მომავალი პრემიერი ხუმრობს, მამაკაცები გასათხოვარი ქალებიდან ირჩევენ, მე კი ყველა ქალიდან ავარჩიო.

რატომ აღარ იკლავენ ადამიანები თავს?

მიუხედავად გავრცელებული აზრისა, რომ რეცესიებთან დაკავშირებული სტრესები ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ კრიზისების დროს ყველაფერი პირიქითა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი კლებულობს.

ეს, გარკვეულწილად, დაკავშირებულია ფატალური შედეგებით დასრულებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შემცირებაზე. უმუშევრობის ზრდის კვალდაკვალი სამსახურისაკენ სულ უფრო ნაკლებად ადამიანს მიეჩქარება და ისინიც კი, ვისაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სამუშაო ადგილი, ცდილობენ, ბენზინი დაზოგონ და საზოგადოებრივი ტრანსპორტით იმგზავრონ. სიკვდილიანობის მაჩვენებელს ამცირებს სიგარეტის მოწვევაზე ეკონომიის გაკეთების მსურველთა რაოდენობის ზრდაც და ისიც, რომ ადამიანები ეკონომიკური კრიზისის პირობებში სულ უფრო ნაკლებად ეძებებიან ალკოჰოლს და იშვიათად იკვებებიან გადაჭარბებულად. სამაგიეროდ, აბოლოუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს მოარული აზრი იმის თაობაზე, თითქოს მძიმე სამუშაოს ჯერ არავინ მოუკლავს. სწრაფად განვითარებადი ეკონომიკის ერთ-

ერთი მახასიათებელი ისიცაა, რომ ადამიანები ეკონომიკური ზრდის პერიოდში ცდილობენ, რაც შეიძლება ბევრი გამოიმუშაონ და ამისათვის ხშირად რამდენიმე ადგილზე მუშაობენ. არადა, ჯანმრთელობაზე სასარგებლო ზემოქმედებას სწორედ ოჯახის წევრებსა და მეგობრებთან ერთად გატარებული დრო ახდენს. სხვა კვლევების შედეგებმა კი ცხადყო, რომ ავტოსაგზაო შემთხვევებით დაღუპულთა შემცირებული რაოდენობა სრულად ანაზღაურა მკვლელობებმა და თვითმკვლელობებმა. სუიციდის რაოდენობამ მხოლოდ უმუშევართა დასახმარებლად მიმართული სოციალური პროგრამების შედეგად იკლო. საერთოდ კი, განვითარებადი ქვეყნების ფართო დიპაზონის კვლევებმა დაამტკიცა, რომ დიდი ეროვნული სიმდიდრე სულაც არაა საზოგადოების კეთილდღეობის წინაპირობა.

ვინ დაიხრჩო პირველი ქალი?

ტილანდის დედაქალაქ ბანგკოკში პაკისტანელი საად ხანი შამსუდინის რეკლამირებისათვის კომპანია „Unilever“-ის მიერ მოწოდებული რეალიტი-შოუს გადაღებების დროს დაიხრჩო.



ერთ-ერთი წინააღმდეგობა დღეს გადაცურვა იყო. სწორედ ამ გადაცურვისას 31 წლის საადს ფეხი გაუშვდა და დაიხრჩო. მისი ნათესავები მომხდარში შოუს ორგანიზატორებს ადანაშაულებენ, ვინაიდან ამ უკანასკნელებმა ვერაფრით მოაგვარეს მასველებისა და შოუს მონაწილეთა უსაფრთხოების საკითხები.

რას გადაუჩინეს ალპინისტები?

ორი პოლანდიელი ალპინისტი ავსტრიაში ქვეყნის უმაღლეს წერტილზე, 3798 მეტრის სიმაღლის გროსგლოკნერის მთაზე ასვლისას ას მეტრზე მეტი სიმაღლიდან გადმოცვივდნენ.



დამნაშავე წინ მიმავალი ალპინისტი გახლდათ, რომელსაც ყინულზე ფეხი დაუცურდა, გადავარდა და მეწყვილეს თან გადაიყოლა. საბედნიეროდ, მთამსვლელები სასწაულებრივად გადაარჩნენ, თუმცა პირველი სავადმყოფოში მძიმე ტრავმებით მიიყვანეს, სამაგიეროდ, მის მეგობარს ნაკანრიც არ აღმოაჩნდა.



4 200 ევრო ფანის ქირად?



60-ს მიტანებული რესტორატორი სერჟიო მორესკო სტუმრებისათვის ანგარიშს ამზადებდა და თან ფიქრობდა, ჩეკის გამოწერისას 500-ევროიანი ფასდაკლება გაეთვალისწინებინა. ორი ბოთლი Chateau Petrus ხომ უკვე 10 000 ევროს უტოლდებოდა, დანარჩენი კერძი პურის ჩათვლით კი ლამის ათას ევრომდე ჯდებოდა. ცოტა არ იყოს, ოთხი სულის მსუბუქი ნახევრებისათვის „მძიმე“ თანხა აღმოჩნდა გადასახდელი.



სალამოს კაბაში გამოწყობილი ორი ქალი და უჭალს-ტუზო თეთრ პერანგებსა და შავ კოსტუმებში გამოწყობილი ორი მამაკაცი ფორტე დეი მარმის ახლოს ჩინკულაეს რესტორანს სალამოს ათი საათისათვის ეწვია. რუსმა ოთხეულმა ჯერ შეკვეთა მისცა რესტორნის მომსახურე პერსონალს, შემდეგ კი გადაიფიქრა და გაცილებით ძვირადღირებულ შემოთავაზებებზე შეაჩერა არჩევანი.

ავსტრალიაში სპეციალური მეთოდით დაჭერილი და რესტორანში ცოცხლად მიყვანილი კიბორჩხალები და უამრავი სხვა სახის საჭმელი და სასმელი საკმაოდ ძვირი სიახლოვება აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთმა

მამაკაცმა ჩეკის სანაცვლოდ საკრედიტო ბარათი გაუწოდა მომსახურე პერსონალს და პრობლემებიც ამ დროს დაიწყო. ბარათი ბანკომატმა არ მიიღო, არც სხვა ბარათი. ამ დროს ერთ-ერთმა ქალბატონმა ჩანთიდან 500-ევროიანი კუპონების მთელი შეკვრა ამოიღო, სულ 15 000 ევრო და რესტორატორს მიანახოდა, თან ლიმიტით მიამახა, ხურდა ფეხის ქირად დაიტოვეთო.

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ისინი ექვსმა ოფიციატმა გამოაცხილა რესტორნიდან, შემდეგ კი რუსების ოთხეულმა გეზი ფორტე დეი მარმისაკენ აიღო, სადაც რუსული კულტურის ფესტივალი იმართებოდა.

რა უნდა სატანს აკლასიის ჩაკლაში?



მიჩიგანის შტატში დეტროიტის გარეუბნის ეკლესიაში სარეკლამო კამპანია წამოიწყო და თავისი კეთილშობილური მიძინებისათვის სატანის გამოყენება სცადა.

ზეკონფესიური ეკლესიის მეტრო საუსის მსახურები დადიან და მთელ ქალაქში აკრავენ პლაკატებს ტექსტებით „მეტრო საუსი მკლავს“, „გული მერევა მეტრო საუსზე“. სარეკლამო სლოგანებს ხელს სატანა ანერს. გარდა ამისა, ინტერნეტსაიტზე განიშარტა, თუ რატომ ვერ

იტანს სატანა ეკლესიას. როგორც ეკლესიის პასტორმა განაცხადა, იდეის მიზანი ადამიანებამდე მიღწევა და ხმაურში გაღწევა იყო. მისივე თქმით, „ისოს სურდა, რომ ჩვენ შემოქმედებითად მივდგომოდით საკითხს და ნებისმიერ ფასად მოგვეზიდა ადამიანები“.

რა დაიჭირას ყაზახეთში?

ეს თავდაც ანტირესტორტო, მაგრამ ჯერ ვერ გაურკვევიათ. ალმა-ატას ზოოპარკის სპეციალისტები თვლიან, რომ მეთევზეების მიერ დაჭერილი სასნაული ქმნილება კარგა ხნის წინ გადაშენებულად შერაცხილი სახეობაა.

ყოველ შემთხვევაში, გადაშენებულიც რომ არ ყოფილიყო, მას ყაზახეთში ნამდვილად არაფერი ესაქმებოდა. ცხოველი ძალზე უსიამოვნო შესახედავია, სიგრძით დაახლოებით 90 სანტიმეტრს აღწევს, ბრტყელ, უხეშზედაპირიან სხეულს უამრავი ფეხი აქვს, ოღონდ სხეულის მხოლოდ ერთ მხარეს. აღმოჩენილი ურჩხული

ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შემორჩენილი თითქმის გადაშენებული ბინადარია, რომელიც არავინ იცის, როგორ აღმოჩნდა იმ ადგილას. საბოლოოდ ყველაფერი ჩინელ რესტორატორებს დაბრალდათ და ყველაზე სარწმუნო ვერსიად დადგინდა, რომ ეს საცოდავი არსება ყაზახეთში მისგან კერძის მოსამზადებლად ჩაიყვანეს.

ჩისტვის აპატიმრებენ დღეში სამჯერ?



კონცეპტუალის შტატის მცხოვრები ქალბატონი პოლიციამ ერთი დღის განმავლობაში სამჯერ დააპატიმრა.

29 წლის ლეიტსა მარტინესი დღით იმ საპარკმახეროს მენეჯერს ნაეჩხუბა, სა-

დაც მუშაობდა. მენეჯერი მას ფულის მოპარვაში ადანაშაულებდა და ამისათვის მისგან

სახის ჩამოკანწვრა მიიღო პასუხად. პოლიციამ „დამნაშავე“ დააპატიმრა და გარემოებათა საბოლოოდ გარკვევამდე გაათავისუფლა. ის იყო, საპარკმახეროს დაკეტვის დრო ახლოვდებოდა, რომ მარტინესმა თავის ძველ სამსახურში შეიარა და 900 დოლარის კოსმეტიკური საშუალებები და რამდენიმე კლიენტის საკონტაქტო ინფორმაცია მოიპარა. დანაშაულის ადგილის დატოვებისას პოლიციამ გააჩერა, რადგან ბოროტმოქმედის

მანქანას წინა ნომრები არ ჰქონდა და მოგვიანებით არც დაზღვევა აღმოჩნდა. სალამოს კი ქალბატონი მესამედ დააპატიმრეს, როგორც ქურდობაში ეჭვმიტანილი. საბოლოოდ მარტინესს თავდასხმაში, საზოგადოებრივი წესრიგის ორეზონანსი და დარღვევასა და ქურდობაში ედება ბრალი. მან გირაოს სახით 11 ათასი დოლარი გადაიხადა და სექტემბერში სასამართლოს წინაშე წარდგება.

როდის იწყება ფიქრი იდეალურ სხეულზე?

კვლევების თანახმად, ბავშვები 10-11 წლის ასაკიდან იწყებენ ფიქრს იდეალურ სხეულზე. კანადის ერთ-ერთი პროვინციაში 4000-ზე მეტი მოსწავლე გამოკითხა და გაირკვა, რომ, რაც უფრო გამხდრები არიან გოგონები, მით უფრო მეტად კმაყოფილი არიან საკუთარი გარეგნობით. ბიჭებს კი სურთ, რომ არც ძალიან გამხდრები იყვნენ და არც ძალიან მსუქნები.



ციით ზრდა არ შეინიშნებოდა. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ სასკოლო სისტემის ფარგლებშივე უფრო წარმატებულად განახორციელებენ ბრძოლას ჭარბწონიანობასთან, რაც ამერიკაში ყოველმესამე, კანადაში კი ყოველ მეოთხე ბავშვს აწუხებს.

კვლევის მესვეურნი აღაშფოთა ბავშვების ასაკმა, ისინი საკმაოდ ადრე იწყებენ საკუთარი სხეულის „მშვენიერებაზე“ ზრუნვას და არასწორ კვებას, რაც შესაძლოა, სავალალოდ აისახოს მათ ჯანმრთელობაზე. გამოკითხული გოგონების 7,3% კატეგორიულად უკმაყოფილოა საკუთარი გარეგნობით. ამგვარი განწყობა აქვს სიმბალესთან შესაბამისი წონის მქონეთა გოგონათა 5,7%-ს, შედარებით მსუქანთა — 10,4%-სა და ჭარ-

ბონიანთა — 13,1%-ს. სწორედ გოგონებს შორის გამოვლინდა შემდეგი კანონზომიერება: საკუთარი სხეულით ყველაზე მეტად უკმაყოფილოები არიან ისინი, ვინც სოფელში ცხოვრობს ან სხვებთან შედარებით საშუალოზე ნაკლები ქულები აქვს. ბიჭებს შორის საკუთარი გარეგნობით უკმაყოფილო 7,3%-ზე მეტი მოზარდი აღმოჩნდა, თუმცა მათ შორის ჭარბწონიანობისა და უკმაყოფილების ხარისხის თანაბარი პროპორ-

ავლანეთმა ოპიუმში გააიფა?

ავლანეთში მკვეთრად შემცირდა ოპიუმის წარმოება, მისი ფასი კი ათი წლის წინანდელამდე დეცა. ამასთან, ოპიუმის ყაყაჩოს მოსავალმა რეკორდულს მიაღწია — ერთ ჰექტარზე 56 კილოგრამი ოპიუმი აიღეს. ავლანეთი ამ წარმოების მთავარი მომწოდებელი იყო მსოფლიოსათვის.



მსოფლიოს ჰეროინის 90% სწორედ იქ იწარმოებოდა, გაეროს მონაცემებით კი უკანასკნელი წლის განმავლობაში იქ ოპიუმის კულტივირება 22%-ით შემცირდა, წარმოება კი — 10%-ით. მიუხედავად ამისა, ჰეროინზე მსოფლიო ფასი შედარებით სტაბილურად დგას არც თუ მაღალ ნიშნულზე, სკეპტიკოსები კი ირწმუნებიან, რომ წარმოების შემცირება ფასების გაზრდის წინაპირობაა. მეორე მხრივ, ექსპერტები ირწმუნებიან, რომ სასიხარულო არაფერია, ვინაიდან ავლანეთში ოპიუმის ყაყაჩოს

მოშენების შემცირების პარალელურად მისი დამუშავების ტექნოლოგიების დახვეწა მიმდინარეობს და ახლა ერთი და იგივე რაოდენობიდან გაცილებით მეტი ოპიუმი მიიღება, ვიდრე უწინ.

რა მოგვკლავს მოგავალში?

უახლოეს ათწლეულებში დედამიწაზე ყველაზე გავრცელებული დაავადება დეპრესია იქნება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, ფსიქოლოგიური პრობლემები გულსისხლძარღვთა დაავადებებსაც კი უკან ჩამოიტოვებს.



როგორც გვარწმუნებენ, დეპრესია მხოლოდ ცალკეულ ადამიანებზე კი არა, აბსოლუტურად ყველა ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური სტრუქტურების მდგომარეობასა და მთელ მსოფლიოში საერთო სიტუაციაზეც მოახდენს ზეგავლენას. ამ დროისათვის დადგენილია, რომ ფსიქოლოგიური აპლიკაციების სხვადასხვა ფორმით მსოფლიოში 450 მილიონი ადამიანი იტანჯება, მათი უმრავლესობა განვითარე-

ბად ქვეყნებში ცხოვრობს. 2030 წლისათვის კი დეპრესია თანამედროვე ცივილიზაციის ყველაზე გავრცელებული დაავადება იქნება. პროფესორი შეკპარ საკსენა, რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში საკმაოდ სოლიდური თანამდებობა აქვს, აუცილებლად მიიჩნევს ფსიქოლოგიური პრობლემებისადმი თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულების კარდინალურ გადახედვას. ჯერ კიდევ 100 წლის წინათ

დეპრესია დედამიწის მცხოვრებთა მხოლოდ 1%-ს აწუხებდა, XXI საუკუნის დასაწყისისათვის კი დაავადებულთა რაოდენობამ 20%-ს მიაღწია. ამ მაჩვენებლის ზრდას ხელს უწყობს სოციალური იზოლაცია, უმოძრაო ცხოვრების წესი და თანამედროვე ადამიანის მალაქალოგიური საკვები. შედეგად, დეპრესია აზიანებს ორგანიზმს თავის ტვინის ნორმალური ფუნქციონირების მოშლით, სიმსივნეების რისკის ზრდით და გულის დაავადება-

ინტერნეტი გაუჭრა?

Google-ის საფოსტო სერვისის მუშაობას ორიოდე დღის წინ პრობლემები შეექმნა და მიზეზები ჯერაც არაა ბოლომდე გარკვეული. გამოირიცხული არ არის, რომ სისტემა ჰაკერებმა დაზიანეს.




ძნელი წარმოსადგენია, რომ რამდენიმე პროგრამისტმა შორი მანძილიდან მანიპულაციების საშუალებით მუხლებზე დააჩოქეს მთელი ინტერნეტსერვისი, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედაც ასე მოხდა. ცნობილია, რომ ინტერნეტი დღესდღეობით სამდონეზე მუშაობს. პირველი ინფორმაციის საცავია, მსხვილი კომპანიები საკუთარ სერვერებს ყველაზე ძლიერი დაცვის სისტემებით აღჭურვილი მათი დაზიანებას ეცდებიან, მაგრამ ხანდახან ესეც ვერ შეეძლებათ. მეორე სტრატეგია კავშირის არსებობა,

რომელთა საშუალებითაც ხდება მონაცემთა გადაცემა. სატელეკომუნიკაციო კომპანიები კი უკვე ჩივიან, რომ გადასაცემი ინფორმაციის მოცულობა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ინტერნეტის მიერ ამ ზომის ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობები. მესამე ეტაპი კი საბოლოო მომხმარებლები არიან, რომელთა შორისაც ჰაკერებსაც ვხვდებით.

მიზა კუნალაშვილმა საქიფოდ ნასვლის მიზნიტ პთელი რჯასი „აპონვიტა“

მიზა კუნალაშვილი სტამბაში ისე გრძნობდა თავს, როგორც ბორის პაიჭაძე — მოედანზე. პოლიგრაფიული პროცესები მისთვის ანი და პოე იყო. თავისი საქმე უყვარდა. საოცარი მეხსიერება ჰქონდა. დიდად განსწავლული და მნივნობარი არ ყოფილა, მაგრამ რასაც წაიკითხავდა ან ყურს მოჰკრავდა, ნებისმიერ დროს სიტყვასიტყვით გაიხსენებდა. ჟურნალ „ნიანგში“ დაბეჭდილი ყველა მასალა — კრიტიკული წერილი, თემა თუ ნახატი-კარიკატურა — ზეპირად იცოდა, როდის და ვისი შესრულებული იყო. კითხვებზე — ვინ, როდის, რატომ, სად, როგორ — პასუხის გაცემის დიდოსტატი გახლდათ.



გაიზარდა და დავაჟკაცდა თბილისში, პლენხანოვზე, იქ, სადაც გორკის ცნობილი ბაღი იყო და „რიბნი“ მალაზია ვაჭრობდა (მხოლოდ უმაღლესი ხარისხის თევზითა და ხიზილალით). ალბათ, ამანაც განაპირობა მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება სმა-ჭამისადმი. საოცარი გემოვნება ჰქონდა. თვალის ერთი გადავლებით შეაფასებდა სუფრას და იჯახის დისახლისს. ეხერხებოდა მაგალითის მოყვანა და რაიმეს შედარება კვების პროდუქტების მიხედვით. ლაპარაკი თუ ჩამოვარდებოდა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, გეტყვოდა, კიდევ რამდენჯერ უნდა გეჭამა ყურძენი, პომიდორი, ლეღვი (არაბუნებრივი მოსავალი არ იგულისხმებოდა). ერთი სიტყვით, ჭამაში თანამედროვე ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ. შრომაში დაუღალავი და ერთგული იყო. ნოდარ დუმბაძე ეტყოდა ხოლმე: „მიზა, ძამა! შენ კუნალაშვილი კი არა, მე მგონი, კუნალაშვილი უფრო ხარ“. ნახევარი საუკუნის მანძილზე ხელმძღვანელობდა „ნიანგის“ ტექნიკური და პოლიგრაფიული რედაქტირების რთულ და საპატიო საქმეს. მდარე იუმორს ვერ იტანდა, შესანიშნავად იცოდა ჩვენი

ისტორია, სიტყვაკაზმული ქართული. ახლო მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ მწერლებთან, მხატვრებთან, ჟურნალისტებთან.

ერთ დღეს რედაქციაში ასეთი სპექტაკლი მოვანყვეთ: ჟურნალ „დროის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე გულიკო ბახტაძე დაღურეკა მიზას, რომ დაპატიჟებული არიან მაგარ პურმარილზე, მარტო ორნი, თან გააფრთხილა, არავისთვის არაფერი ეთქვა; სამ საათზე შემოსვალ ჩემთან და ნავალთო.

მიზა აფორიაქდა, დაიწყო მზადება. პირი დაიბანა, თმა დაივარცხნა, მაგიდიდან საჭირო ნივთები ააღაგა და უჯრავში შეინახა, მონესრიგდა. ამ დროს შედის მასთან ნოდარ დუმბაძის მდივანი და ეუბნება, რომ სამ საათზე კრება და უნდა მოემზადებინა მოხსენება პოლიგრაფიული მდგომარეობის შესახებ. მიზა გაცეცხლდა. მთელი რედაქცია ჩაფრთხილად ვმოქმედებთ. კრებისთვის ვემზადებით, ქალაქებს ვაფრიალებთ, საყვედურს გამოვთქვამთ — რა დროს კრება და ა.შ. ზუსტად

სამ საათზე ყველანი რედაქტორის კაბინეტში შევედით. მიზა ცოტა დაგვიანებით შემოვიდა და გაცეცხლილი თვალებით ჩვეულ ადგილზე დაჯდა. მაგრამ ვაი ამ დაჯდომას, ნემსებზე იჯდა. ნოდარი რაღაცას ათვალერებს, უჯრავში იქექება. ჩვენ ძალზე სერიოზული ვართ.

კრებას ესწრება გიზო ნიშნიანიძე, ზაურ ბოლქვაძე, ნოდარ მალაზონია, გარი მეტრეველი, ელგუჯა მერაბიშვილი, მარია გველესიანი, ნანა ჯანაშვილი, სონია ციციშვილი. გავიფიქრე, შესანიშნავად შეგვძლებია არტისტობა. გაჭიანურებული კრების დასაწყისი მიმამ ვერ აიტანა და თხოვნით მიმართა რედაქტორს:

— ნოდარ! ძალიან გთხოვ, ცოლი მყავს ავად და უნდა გამათავისუფლო!

ნოდარმა სიცოლი შეიკავა და უარის ნიშნად თავი უხმოდ გადააქნია. მიზა დაჯდა. რედაქტორმა კრება გახსნა. მიზა ხელმეორედ წამოდგა.

— ნოდარ, თუ ჩემი ძმა ხარ, გამიგე, შვილიც ავად მყავს, სასწრაფოდ უნდა წავიდე. ნოდარმა ძალ-ღონე მოიკრიბა და ვითომ გაბრაზდა: — ახლა დახოცე ყველა. კიდევ ვინაა ავად?! — ნოდარ, კაცურად გამიგე, ყოფნა-არყოფნის ამბავია, — იყვირა გამწარებულმა მიზამ.

— კრებაზე ჰამლეტის მონოლოგს მიკითხავ, ხომ? — იყვირა ნოდარმა. ამ დროს კაბინეტის კარი მოღიმარი სახით შემოაღო შეთქმულების მონაწილემ.

— მოდი, მოდი, გულიკო! ნაიყვანე მიზა პურმარილზე, თორემ ამონყვიტა მთელი იჯახი.

კრება მიმასთან ერთად ხარხარებდა.

ერთხელ რუმინეთის სატირისა და იუმორის ჟურნალის მთავარი რედაქტორი ბანოლეს აუნეანო გვესტუმრა. თარჯიმანი მოსკოვიდან ახლდა, ფრიად სიმპათიური ქალბატონი. ცეკას დავალებით მასპინძლობა მე დამეკისრა. ავტომანქანა და საჭირო თანხა მოგვარებული იყო. ღირსშესანიშნავი ადგილები დავათვალიერებინეთ. ყოველდღე რუსეთში ვსადილობდით, მაგრამ, როგორც შემდგომ გაირკვა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ბუქარესტიდან ჩამოსული კოლეგისთვის ერთი დღე აღმოჩნდა. ამ დღეს ჩვენი სასიქაფლო პოეტის იოსებ ნონეშვილის (1978 წ.) დაბადების 60 წლისთავის აღსანიშნავად რუსთაველის თეატრში საიუბილეო საღამო გაიმართა. თეატრის დარბაზში ნემსიც არ ჩავარდებოდა. მხოლოდ პარტურში წინა ორი რიგი ელოდებოდა პოლიტიკურის წევრებს.

მე და მიზამ სტუმრებს ბოდბი მოუწადეთ და ცოტა ხნით ვესტიბიულში დავტოვეთ. ამ სობაში გიგლა ფირცხალავაც შემოგვიერთდა. ბევრი ნვალეზის შემდეგ მეორე რიგში ხუთი ადგილი გამოგვიყვას. იქვე ახლოს, ცენტრში, ედუარდ შევარდნაძე დაჯდა თანმხლებ პირებთან ერთად. სტუმარმა იკითხა — ეს ვინ არისო. ჩვენ აუუხსენით და ძალზე გაუკვირდა. აღნიშნა, რომ პოეტის იუბილზე ჩაუშეს კუ არ მოვიდოდა.

მეორე განყოფილებამ გააოცა და ალაფროთვანა ჩვენი სტუმარი. ასეთი შთაბეჭდილებისა და სიამოვნების შემდეგ მცხეთაში, რესტორან „არმაზში“, ამოყვავით თავი. სუფრას, რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა. გიგლამ მეგობრულ მარჯი დახატა, ბევრი იცინეს. თამადად მიზა კუნალაშვილი ავირჩიეთ. ერთ-ლიტრანი ვაზა შამპანური შეავსო და რუმინელი სტუმრის სადღეგრძელო ფეხზე წამომდგარმა შესვა. შემდეგ იოსებ ნონეშვილს მიულოცა 60 წლისთავი. მოსკოველი სტუმრის — ქალბატონის სადღეგრძელო ხელზე კოცნით დააგვირგვინა. ერთი სიტყვით, ხუთი კაი ვაჟკაცის საჭმელი შეჭამა და მზოთლი შამპანური დალია.

ერთი წლის შემდეგ ჩვენი რედაქციის მთავარი მხატვარი ნოდარ მალაზონია ბუქარესტში ჩავიდა, რომელმაც ამბავი ჩამოიტანა, რომ რუმინეთის სატირისა და იუმორის ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა გამართულ ბანკეტზე განსაკუთრებული პატივისცემით ფეხზე მდგომმა მიზას სადღეგრძელო შესვა.

დაპატიჟებასთან დაკავშირებით ცალმხრივი იყო. მხოლოდ სახლში დავპატიჟებდა. როდის რა უნდა ეყიდა, კარგად იცოდა.

ერთხელ გარი მეტრეველმა მიზას გასაგონად გვიამბო (იმ დროს, როცა 1 კგ პომიდორი 15 მანეთი ღირდა): ჩემმა ცოლმა 20 კგ მაყიდინა ტომატის მოსახარმავადო. ეს რომ მიმამ გაეგო, ისე იყვირა, თითქოს მის ცოლს ჩაედიწის ეს „დანაშაულო“. ერთი სიტყვით, ძუნწი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ ასე ნამდვილად არ იყო. ეკონომიური და მოჭირნე გახლდათ. ზაზარს სამჯერ დაარტყამდა წრეს, სანამ იაფად და, თანაც, საუკეთესოს არ იყიდდა, ვერ მოისვენებდა. პურმარილისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, დამპატივებლებსაც არჩევდა. უნიჭოს, პლაგიატს და არაკაცს სასაუბრემოც კი არ შეჰყვებოდა.

მასხოვს, ოფიციატმა ბოსტნეულით განყოფილი დაჭირალი ქათამი მოიტანა. მაგიდაზე დადებული არ ჰქონდა, მიშამ შეამჩნია, რომ ერთი ნაჭერი აკლდა. — „ახლა მაგი ნაილე, აანყვე და ისე მოიტანეო“, — უთხრა ოფიციატს.

ერთხელ ნოდარ დუმბაძემ რიგითი ქეიფის დროს გამოაცხადა, მიზას ღვინის სმამი უნდა შევეჯიბროო. მიზას ჯერ გაეცინა, მაგრამ, რომ დაინახა ნოდარი არ ხუმრობდა, ერთ-ლიტრანი ვაზა შეავსო, დალია და ნოდარს გადაანოდა. რა თქმა უნდა, მთელი რედაქცია მხარს ნოდარს ვუჭერდა. სიმღერა ნამოვიწყეთ, მიზა ჭამაში იყო გართული. სასმისი ვითომ დაილია და ცარიელი ვაზა მიზას დაუბრუნდა. მეორეჯერ შევეუწყეთ პირამდე და მივართეთ. ნოდარის სადღეგრძელო წარმოთქვა და დაცალია. მეორეც ავასამე შეავსო. შევატყვეთ, რომ გაუჭირდა და „ნიჩიაზე“ წავიდა. შეთანხმდნენ. ნოდარმა სასე ვაზა გამოართვა და მიზას გამარჯვება მიულოცა. ეს სუფრის დამთავრებისას მოხდა.

შანი სინარულია

მედიაანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
<http://www.medianews.ge>

FACT
ACM Group
www.fact.ge

საინფორმაციო-კომუნიკაციო ბაზოცხაბა
საქართველო
საინფორმაციო
<http://www.geworld.net>

ინფორმაციული თანამგზავრი (ღე) ინფორმაციულ სამყაროში

პირველი
<http://www.pirweli.com.ge>

საქართველო ინტერნეტი ჩვენს საიტს
საინფორმაციო
პირველი ინფორმაციული ბაზოცხაბა
პირველი ინფორმაციული ბაზოცხაბა
<http://www.geworld.net>

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არამაზ სანაგულია, გონდო მკინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გორა ხაბთასი
რეალიზაციის მენეჯერი ღავით ზუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი მანია გონაშვილი (858 10 25 48)
გაზეთის ხელმძღვანელოზს თავესუფალი პრესის პრინციპაპით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net